ქრთამის აღებისთვის კიდევ ერთი მოსამართლე დააკავეს A2

ვინ და როგორ აგებს პასუხს უმიზნოდ და უკონტროლოდ დახარჯული მილიონებისათვის? A8

აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის კონცეფცია B5-B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 22 ოქტომბერი, 2004 წელი. №251 (800)

ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### „საქართველოს რკინიგზა" შეღავათებს ითხოვს



ზუსტად რამდენი სჭირდება საქართველოს რკინიგზას გაჯანსაღებისა და გამართულად მუშაობისთვის, დღეს ამ უწყებაში არავინ იცის.

A4

## უცხოეთი

### სანამ ბელორუსთა სახლებში სითბოა...

ჯორჯ ბუშმა ბელორუსის წინააღმდეგ სანქციები აამოქმედა და ალექსანდრ ლუკაშენკოს პირველად, ღიად უწოდა დიქტატორი. აქამდე, მსგავსი ეპითეტებით ოფიციალური ვაშინგტონი მხოლოდ სადამ ჰუსეინისა და ფიდელ კასტროს მსგავს ფიგურებს იხსენიებდა.

A5

## საზოგადოება

### „ყავარჭენი" გერმანული ენის შემსწავლელთათვის

A6

## სამართალი

### „ციხეს კანონი უნდა მართავდეს"



გოჩა ალფაიძე: "ციხეში სახელმწიფოს, კანონის მმართველობა უნდა იყოს და არა რომელიღაც კლანის, რომელსაც ქურდულ სამყაროს ეძახიან".

A7

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

# კრემლის გადაწყვეტილების მოლოდინში

ნინო გომართელი

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის ორი კანდიდატი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ უკვე პრეზიდენტად აღიარებული სერგეი ბაღაფში და კრემლის ფავორიტი რაულ ხაჯიმბა - უმაღლესი სასამართლოს განაჩენის მოლოდინშია. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილება დღეს უნდა იქნეს მიღებული, გუშინ კი რაულ ხაჯიმბას სარჩელის განხილვა მოწმეთა დაკითხვით განახლდა.

მთავარი მოწმე პროცესზე აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილი ხელმძღვანელი სერგეი სმირი იყო, რომელმაც დაკითხვის პროცესში აღნიშნა, რომ 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების დამტკიცებისას მასზე ზეწოლა ხორციელდებოდა, რაც კიდევ უფრო აშკარას ხდის ფაქტს, რომ კრემლი ჯერ კიდევ ხაჯიმბას გამარჯვებისთვის იბრძვის.

თავად ოპოზიციონერი ლიდერი, ჯერჯერობით, მოვლენების შეფასებისაგან თავს იკავებს.

**"მე მესმის თქვენი დაინტერესება, მაგრამ, ვიდრე უმაღლესი სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას არ გამოიტანს, მე მიმდინარე მოვლენებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ,"** – განაცხადა "24 საათთან" ინტერვიუში სერგეი ბაღაფშმა.

პარალელურად კი, რიგ საინფორმაციო საშუალებებში მეტად გასაოცარი (თუმცა ამავე დროს სავსებით დასაშვები) ინფორმაცია ვრცელდება. კერძოდ, კრემლი თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტობის ოპოზიციონერი კანდიდატისგან სერგეი ბაღაფშისგან, 3 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების აღიარების სანაცვლოდ, პრემიერ-მინისტრის პოსტზე არა მისი თანაგუნდელი ალექსანდრე ანქვაბის, არამედ მოსკოვის მიერ ხელდასმული ამჟამინდელი პრემიერის - ნოდარ ხაშბას დანიშნვას მოითხოვს.

ოფიციალური თბილისის მხრიდან სიჩუმის და შორიდან დაკვირვების ფონზე კი, გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესი **"უძრაობის მდგომარეობას უახლოვდება"**.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პარლამენტში მძღოლებით ინტერესდებიან

გიორგი ასანიშვილი

*პარლამენტში გუშინ ძალიან აქტუალური იყო ავტოტრანსპორტის თემა: საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში იმპორტირებული ავტომანქანების დაბეგვრის საკითხებზე იმსჯელეს, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა კი პირველი მოსმენით მოიწონა კანონპროექტი, რომლის საბოლოოდ მიღების შემდეგაც უსაფრთხოების ქამრების გამოყენება სავალდებულო გახდება, ხოლო მოძრაობის დროს მძღოლებს მობილური ტელეფონით საუბარი შეეზღუდებათ.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# სახელმწიფო ქონება და ისევ ინტერესთა შეჯახება

რამდენად ეფექტურად მართავს ახალი ხელისუფლება ძველ სახელმწიფო ქონებას?



*სახელმწიფო ქონება დღესაც პატრონს ელის.*

თამარ ხორბალაძე

*უკვე თითქმის ერთი წელია, ახალმა ხელისუფლებამ სახელმწიფო ქონება სამართავად გადაიბარა. ამ ერთი წლის განმავლობაში, ახალი ხელისუფლების მიერ მართული ქონება "ჩაბარებულზე" უკეთ ვერ გამოიყურება - საბოლოო ჯამში არც დავალიანებები შემცირებულა, არც შემოსავლები გაზრდილა, სამაგიეროდ დიდი ვნებათაღელვა ატყდა თავად ამ ქონების მართვის უფლებისთვის, სხვაგვარად რომ ვთქვათ - სახელმწიფო ლუკმების დათრევისთვის.*

დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, სახელმწიფო საწარმოები და მათი მართვის ქართული პრაქტიკა, საერთო აღიარებით, ყოველთვის იყო დაკავშირებული თანხების დიდი მასშტაბებით დატაცებასთან, კორუფციულ გარიგებებთან. ამიტომაც იყო, რომ კორუფციასთან ბრძოლის დროშით მოსული ახალი ხელისუფლება სწორედ ამ საწარმოების ირგვლივ აჟიოტაჟის ატეხვით და მათში მამალაძის თუ ჩხაიძის, ახვლედიანის თუ სხვათა ინტერესებზე საუბრით შეეცადა აეგო პიარი და დაეგროვებინა პოლიტიკური ქულები.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ისინი სამაგალითოდ დაისჯებიან

გუშინ უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა დედოფლისწყაროს რაიონში ჯართად დაჭრილი ტექნიკა აღმოაჩინეს. არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ ტექნიკა ვარგისი იყო და ექსპერტიზამ მასზე ყალბი საბუთები გასცა.

**"შოკირებული ვარ! ჩემი თვალით რომ არ მენახა ეს ტექნიკა, ვერ დავიჯერებდი, რომ ჩვენს დროში ამგვარი რამ ხდება,"** - აცხადებს პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე.

აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით წუხელ ძალოვანი უწყების მინისტრებმა კანცელარიაში საგანგებო ბრიფინგი ჩაატარეს. უშიშროების საბჭოს მინისტრის ვანო მერაბიშვილის ინფორმაციით, ტექნიკა საკმაოდ დიდი რაოდენობისაა. ძალოვანი უწყების პირველი პირები შეშფოთებას გამოთქვამენ მომხდარის გამო. **"როცა შეიარაღებულ ძალებს ჰაერივით სჭირდება ტექნიკა, გარკვეული ორგანიზაციების მიერ, ჩვენი ვარაუდით, ყალბი ექსპერტული დასკვნების საფუძველზე, ხდებოდა ტექნიკის ჩამოწერა და განადგურება... ჩვენ ყველანი, მთავრობა, პრეზიდენტის ხელმძღვანელობით და პრემიერ-მინისტრთან ერთად, პარლამენტი, რომელიც ჩვენს გვერდით არის, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ არცერთი ადამიანი (რომელიც აგრძელებს ამგვარ საქმიანობას) არ დარჩეს დაუსჯელი... დამნაშავეებმა უნდა დაინახონ, რომ ხელისუფლება მათ არ ეხუმრება. ეს არის სამშობლოს ღალატი და ჩვენ ამ ადამიანებს მწარედ ვანანებთ. კონკრეტულ შემთხვევაში სამხედრო ქვემეხის დაჭრა ხდებოდა იმ მომენტში, როდესაც გამწვავებული იყო ვითარება ცხინვალის რეგიონში,"** - ეს გახლავთ ფრაგმენტი თავდაცვის მინისტრის გიორგი ბარამიძის გამოსვლიდან.

**"მართალია თუ არა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით იუკურიძის გვარმაც გაიჟღერა?"** - ჟურნალისტის ეს შეკითხვა უპასუხოდ დარჩა. ძალოვანი უწყების ხელმძღვანელები, ჯერჯერობით, კონკრეტული გვარების დასახელებისაგან თავს იკავებენ: **"სამართალდამცავმა ორგანოებმა დაიწყეს ამ საქმესთან ახლოს მდგომი პირების დაკითხვა და ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა. ყველას გვარი ამოტივტივდება, ოღონდ მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ... ეს ადამიანები არიან ნაძირლები, მოღალატეები, ჩვენ მათ სამაგალითოდ დავსჯით,"** – ასეთია ქართველ ძალოვანთა საერთო პოზიცია.

*24 საათი*

# ხელისუფლება რუს ხალხს საჩუქარს უკეთებს და „ოპოზიციას" თავად ქმნის

ლევან გელაშვილი

ცოტა ხნის წინ რუსეთში ჩატარებული უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ქვეყანაში არ არსებობს ისეთი პოლიტიკური ოპოზიციური ძალა, რომელიც ქვეყნის ცხოვრებაზე რეალურ გავლენას მოახდენდა. თუმცა, მოსახლეობის უმრავლესობა (66 პროცენტი) თვლის, რომ ამგვარი ძალის არსებობა აუცილებელია. 21 პროცენტის აზრით კი, რუსეთს ოპოზიცია არ სჭირდება. გამოკითხვის შედეგებს ანალიტიკური ორგანიზაცია "ლევადა-ცენტრი"-ს სოციოლოგები ავრცელებენ.

მათივე მონაცემებით, გამოკითხულთა დაახლოებით 30 პროცენტი მიიჩნევს, რომ დღეისათვის რუსეთს მნიშვნელოვანი ოპოზიციური პარტიები და მოძრაობები ჰყავს, ხოლო 47 პროცენტის აზრით, ამგვარი ძალები ქვეყანაში საერთოდ არ არსებობს.

იმავდროულად, დაცემას განაგრძობს მმართველი პარტიის - "ედინაია როსიას" და მისი ხელმძღვანელის, ბორის გრიზლოვის რეიტინგიც. მას "როდინას" ლიდერმა დმიტრი როგოზინმაც კი გადაუსწრო, რომელიც გამოკითხულთა მხოლოდ 4 პროცენტის ნდობას იმსახურებს. არც ერთ რუს პოლიტიკოსს არ ენდობა მოსახლეობის თითქმის მესამედი (29 პროცენტი).

გაგრძელება A5 გვერდზე

## ამინდი

| | 22/10 | 23/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 13 | 15 |
| ქუთაისი | 15 | 17 |
| ბათუმი | 13 | 16 |
| სოხუმი | 12 | 16 |
| ფოთი | 14 | 17 |
| თელავი | 11 | 12 |
| ზუგდიდი | 16 | 17 |
| გორი | 9 | 10 |
| ახმეტა | 12 | 13 |
| ჭიათურა | 12 | 13 |
| გაგრა | 11 | 14 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8300 |
| ევრო | 2.3125 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3405 |
| რუბლი | 0.0629 |

A2 ამბები A3 მთავარი თემა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 - B6 კონცეფცია B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

## როდის გაიხსნება ლარსი?

ბესლანის ტრაგედიის შემდეგ რუსეთის მხრიდან ჩაკეტილი ზემო ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტი 15 სექტემბრის შემდეგ სულ ოთხჯერ, რამდენიმე საათით გაიხსნა. "ლარსის" გახსნა-დახურვას საკმაოდ სტიქიური ხასიათი ჰქონდა. დაახლოებით ერთი კვირის წინათ კი რუსეთის სასაზღვრო უწყების სახელით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლარსის გამშვები პუნქტი ყაზბეგისა და ვლადიკავკაზის მოსახლეობისთვის გახსნილი გახლდათ. თუმცა, ოფიციალური განცხადება თუ შეტყობინება ამის დასტურად, არც ჩვენს სასაზღვრო უწყებას, არც საგარეო საქმეთა სამინისტროს არ მიუღიათ. შესაბამისად, ქართული მხარე ლარსის გამშვებ პუნქტს რუსეთის მხრიდან გახსნილად არ თვლის. ზემო ლარსთან შექმნილი პრობლემების გამო საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია, ოფიციალური წერილით მიემართა რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის პირველი მოადგილისა და სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელ გენერალ-პოლკოვნიკ ვლადიმერ პრონიჩევისათვის.

20 ოქტომბერს საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან გაგზავნილ წერილში ნათქვამია: **"მგზავრთა ნაკადის სტატისტიკა (რომლებმაც საზღვარი გადალახეს) გვიჩვენებს, რომ საქართველოს მოქალაქეებს უმეტეს შემთხვევაში უარი ეთქვათ საზღვრის გადაკვეთაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, ქართული მხარე მიიჩნევს, რომ საზღვრის ასეთი არასისტემური გახსნა, არსებული საკონტროლო-გამშვები პუნქტის რეჟიმი, მოქალაქეებისადმი დამოკიდებულება, იმის მიხედვით, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეა იგი, არაადეკვატურია და ეწინააღმდეგება ყველა არსებულ საერთაშორისო ნორმას".**

საქართველოს სასაზღვრო უწყება პასუხის მოლოდინშია. 28 ოქტომბერს კი ბადრი ბიწაძე მიემგზავრება სოჭში, სადაც დსთ-ს სასაზღვრო უწყებების ხელმძღვანელთა სხდომაზე თავის რუს კოლეგა პრონიჩევს შეხვდება.

*24 საათი*

## ჩოხატაურელმა ბაზიერებმა ახალ გუბერნატორს თავი მოაწონეს

ეს თვალსასეირო სანახაობა აქამომდე არ მეხილა და ფრიად გამაოცა კიდეც. ჩოხატაურის ცენტრალური სტადიონი, რომელმაც ადრე ლელოს და ფეხბურთის თამაშით დაიგდო სახელი, ბაზიერთა რაიონულ პაექრობას მასპინძლობდა. ამგვარი შეჯიბრება ჩოხატაურში 1969 წლიდან ტარდება და რიგით 31-ე იყო. ჩოხატაურელ ბაზიერთა ნაკრები კი საქართველოს ჩვიდმეტგზის ჩემპიონი ყოფილა. ინტერესმოკლებული არ ყოფილა ტურნირის გახსნაც, ჩოხატაურელ ბაზიერთა თავკაცმა ნოე ჯიქიამ აქ შეკრებილ ასობით მაყურებელსა და 25 ბაზიერს შეჯიბრების წეს-კანონი შეახსენა და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ბაზიერთუხუცესი ადრე მეფის კარზე მიღებული კაცი იყო და ეს პატივი მათი საქმის გამგრძელებლებმა ღირსეულად შევიშნოვოთო. მალე აქ გურიის ახალი გუბერნატორი ჟანი კალანდაძე მობრძანდება, ჩვენი კუთხის კაცია და თავი კარგად ვაჩვენეთო.

გუბერნატორიც დროულად მოვიდა და გაჩაღდა შეჯიბრებაც, რომლის მონაწილე უასაკო ყრმებისა თუ ხანმოთეული ბერიკაცების დაგეშილ-გაწვრთნილი ქორ-შავარდენთა და მიმინოთა უმეტესობა თავის საქმეს ზედმიწევნითი სიზუსტით და, რაც მთავარია, თვინიერად ასრულებდა. მხოლოდ სამმა-ოთხმა მათგანმა არ შეისმინა მწვრთნელ-მასწავლებლების ბრძანება და ლაჟვარდოვან ზეცას მიაშურა ასწლოვანი აკაციების მიღმა. აქ ყველა ჯურის ფრინველს იხილავდით. ერთმანეთს ცვლიდნენ ნარდი მიმინო (ერთწლიანი), კაპოეტი (შედარებით ასაკრული, შინნაზარდი), ქორი, მარჯანი, ალალი, შევარდენი.

შვიდ ათეულ წელს გადაცილებულ ვეტერანებს ვლადიმერ ბერძენიშვილს, ამირან სიმონიშვილს, ზაურ ქუტიძეს ტოლს არ უდებდნენ სრულიად უმრწმესნი - 11-12 წლის ანზორ და გვანცა ვაჩეიშვილები, ნანული რამიშვილი, გოგა მეფარიშვილი და სხვები. გამარჯვებულნი ოქტომბრის მიწურულს საქართველოს ბაზიერთა 29-ე ჩემპიონატში გამოცდიან თავიანთ ქორ-შავარდნებს.

ტრადიციისამებრ, შეჯიბრების მანძილზე ბაზიერთა მიერ მონადირებული მწყერი არბიტრთა მაგიდასთან გროვდება და ადვილი მისახვედრია, ამავე ტრადიციის ძალით ვის სუფრასაც დაამშვენებდა.

შესვენებისას შეკრებილ მაყურებლებსა და მოასპარეზეებს სიტყვით მიმართა გურიის გუბერნატორმა ჟანი კალანდაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მისი დიდი სურვილია, გურიაში შესაფერისი გარემო შეიქმნას სპორტის ეროვნული სახეობების აღორძინება-განვითარებისათვის. ამ მიზნით სასურველი იქნება, ამ სახეობებში საქართველოს სხვა რაიონებთან გაპაექრება. მას გადაწყვეტილი აქვს, უახლოეს მომავალში სპორტის ცალკეულ სახეობებში ამხანაგური შეხვედრები გამართონ მეზობელ აჭარის გუნდებთან.

**თამაზ ხარაიშვილი**
*ჩოხატაურიდან*

## სსფ-ს მისია შეხვედრებს განაგრძობს

თბილისში ვიზიტად მყოფი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას შეხვდა. შეხვედრიდან გამოსულ მისიის ხელმძღვანელს პაოლო ნეოჰაუსს კომენტარი არ გაუკეთებია. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა კი განაცხადა, რომ მისიასთან დღევანდელ შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა ჟვანიამ ახალ საგადასახადო კოდექსზე და 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე ისაუბრა. "ფონდის მისიას არც ბიუჯეტთან და არც კოდექსთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია," – ირწმუნება ნოღაიდელი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში მეორე კვირაა, იმყოფება. ვიზიტის ბოლოს მისია მემორანდუმს დატოვებს. იმ შემთხვევაში, თუ ეს დასკვნა დადებითი აღმოჩნდება, საქართველო დეკემბერში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის ფარგლებში ფონდის მეორე ტრანშს - 20 მლნ. დოლარს მიიღებს.

*ინტერ-პრესი*

## „დაიმლერ კრაისლერი" წინააღმდეგია

მერსედესის მარკის ავტომობილების დისტრიბუტორი არ მიიღებს მონაწილეობას ტენდერში, რომელსაც საქართველოს პარლამენტის სატენდერო კომისია კვირას გამართავს. ამის შესახებ განაცხადა "დაიმლერ კრაისლერის" ოფიციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში ლაშა ლომიძემ. პარლამენტი 18 მსუბუქი ავტომობილის შეძენაზე აცხადებს ღია ტენდერს და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დილერებს იწვევს. სატენდერო კომისიის განაცხადის თანახმად, პარლამენტი შეიძენს მხოლოდ 2004 წელს გამოშვებულ ავტომობილებს 2 წლიანი გარანტიით და ამ პერიოდში უფასო დიაგნოსტიკური მომსახურებით. პარლამენტის სამეურნეო-საფინანსო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ზაურ ჯიოშვილმა განაცხადა, რომ პარლამენტს 600 000 ლარზე მეტი ღირებულების შესყიდვის განხორციელება ეკრძალება, შესაბამისად პარლამენტი მანქანებს შეიძენს ფასდაკლებით. ასეთი პირობა მიუღებელი აღმოჩნდა "დაიმლერ კრაისლერისთვის" და ტენდერში მონაწილეობაზე უარი თქვა.

*პრაიმ-ნიუსი*

## პარლამენტში მძღოლებით ინტერესდებიან



ავტოტრანსპორტის თემამ გუშინ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრებიც გვარიანად ააღელვა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

უსაფრთხოების ქამრების სავალდებულო ხმარება და საჭესთან ჯდომისას მობილურ ტელეფონთან განშორების პერსპექტივა ზოგიერთ დეპუტატში პროტესტის გრძნობას ბადებს. ისინი ვარაუდობენ, რომ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები სასურველ შედეგს არ გამოიღებს და ნეგატიურ პროცესებს გამოიწვევს: კორუფციის წყარო გახდება და მძღოლებს გააღიზიანებს.

ერთი მხრივ, პრეზიდენტის ინიციატივით, გაუქმდა ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერება და ამით კორუფციის ერთ-ერთი ხვრელი ამოიქოლა, მეორე მხრივ კი, შემოგვაქვს მივიწყებული ძველი (უსაფრთხოების ქამრები), რითაც საპატრულო პოლიციას ცდუნებისკენ ვუბიძგებთ და ავტოინსპექტორების დონეზე დაგვყავს, - საკომიტეტო მოსმენის დროს ასეთი მოსაზრება რამდენჯერმე გაისმა.

კანონპროექტის მიხედვით, უსაფრთხოების ქამრის გაკეთება მძღოლის გვერდით მჯდომი მგზავრისთვისაც სავალდებულოა. დეპუტატები ვერ თანხმდებიან, მის (მგზავრის) მიერ კანონის დარღვევის შემთხვევაში ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა: პირადად მას თუ მძღოლს. იურიდიული კომიტეტის წევრთა უმრავლესობა იმისკენ იხრება, რომ თანამგზავრის უპასუხისმგებლობისთვისაც პასუხი მძღოლს მოეთხოვოს.

უსაფრთხოების ქამრებთან შეგუებაზე მეტად, დეპუტატებს მობილურ ტელეფონებთან დროებითი (მანქანის მართვის დროს) განშორება უჭირთ. არადა, ამ შემთხვევაში საქმე ეხება შეზღუდვებს და არა აკრძალვას, - დასაშვებია მობილური ტელეფონით სარგებლობა ყურსასმენის გამოყენებით, აგრეთვე - "უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში". კერძოდ, თუ მძღოლს მისდევს ბოროტმოქმედი, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და აღნიშნულის შესახებ საჭიროა პოლიციის ინფორმირება, ან თუ მგზავრი გახდა ცუდად და აუცილებელია სამედიცინო დაწესებულებასთან დაკავშირება...

როდესაც მობილური ტელეფონით სარგებლობის შეზღუდვის აუცილებლობაზეა ლაპარაკი, ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად ის მოჰყავთ, რომ მძღოლს ყურადღება ეფანტება, ცალი ხელი დაკავებული აქვს და ამით ავარიის ალბათობა იზრდება. ამასთან დაკავშირებით, კანონპროექტის მოწინააღმდეგეებს კონტრარგუმენტი მზად აქვთ: **"ხომ შეიძლება, მძღოლს ხელში მობილურის ნაცვლად სხვა რამე ეჭიროს და ამან დაუფანტოს ყურადღება?"**

**"მობილურ ტელეფონზე მეტ საფრთხეს მძღოლს დამუქებული მინები უქმნის,"** - არწმუნებდა გუშინ კოლეგებს დეპუტატი რომან კუსიანი. მისმა დაჟინებამ გაჭრა: გადაწყდა, რომ წარმოდგენილ კანონპროექტს ეს საკითხიც "მიებმება".

დეპუტატებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა საჯარიმო სანქციების საკითხშიც. კანონპროექტის მიხედვით, უსაფრთხოების ქამრების იგნორირებისთვის და მანქანის მართვის დროს მობილური ტელეფონით საუბრისთვის მძღოლი 5 ლარით უნდა დაჯარიმდეს. თუმცა, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს ნინო კალანდაძეს მიაჩნია, რომ ამ კანონდარღვევებისთვის დაწესებული ჯარიმის ოდენობა 20 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს...

სხვათა შორის, კანონპროექტის ეფექტურობაში თავად მის ავტორებსაც ეპარებათ ეჭვი. **"ილუზიაა იმის მტკიცება, თითქოს, საწყის ეტაპზე კანონის ახალ მოთხოვნებს ყველა დაემორჩილება,"** - აცხადებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი გიორგი ჩხეიძე.

ავტოტრანსპორტის თემამ გუშინ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრებიც გვარიანად ააღელვა.

ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ძველი, ამორტიზებული ავტომობილების იმპორტისთვის დაწესებული გადასახადი მცირდება, ახალი ავტომანქანების დაბეგვრა კი იზრდება. ამ სავარაუდო სიახლემ ოპოზიციასა და სახელისუფლებო ძალებს შორის არსებული ზღვარი მთლიანად წაშალა: გუშინ ფიქრია ჩიხრაძეცა და მარინა მოლოდინიც ერთნაირი შემართებით იცავდნენ ცნობილი საავტომობილო ფირმების დილერთა ინტერესებს. ისინი დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ ახალი საგადასახადო ნორმის მიღების შემთხვევაში, ცნობილი კომპანიები და ინვესტორები საქართველოდან გაიქცევიან.

**"იმ ფირმებს, რომლებსაც საქართველოში ახალი მანქანები შემოჰყავთ, ძალიან შევაშინებთ. 10-20 ახალი მანქანის გაყიდვიდან მიღებული გაზრდილი გადასახადი ბიუჯეტს ბევრი ვერაფრით წაადგება, ცნობილი ფირმების საქართველოდან წასვლა კი დიდ ხმაურს გამოიწვევს,"** - აცხადებდნენ ჩიხრაძე და მოლოდინი. ოპონირებას მათ სალომე სამადაშვილი უწევდა, რომელმაც კოლეგა ქალბატონებს შეახსენა, რომ **"50-ათას დოლარიანი მანქანა ფუფუნების საგანია, ფუფუნების საგნები კი ყველა ქვეყანაში ძვირი სიამოვნებაა".**

## ქრთამის აღებისთვის კიდევ ერთი მოსამართლე დააკავეს

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გივი ჯაბანაშვილი მესამე მოსამართლეა, რომელიც ამ ბოლო ხანებში ქრთამის აღებისთვის დააკავეს.

საქართველოს უშიშროების სამინისტროს კონსტიტუციური წყობის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა არ დაუშვეს მოსამართლის მხრიდან 10 ათასი დოლარის საფასურად უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა. ოღონდაც, როგორც აღმოჩნდა, დაკავებული მოსამართლე მხოლოდ შუამავლის ფუნქციას კისრულობდა. კერძოდ, გუშინ სპეციალურად ამ ფაქტისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე უშიშროების მინისტრის მოადგილემ ბათუ ქუთელიამ განაცხადა, რომ ჯაბანაშვილის თქმით, მას ეს თანხა თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლისთვის უნდა გადაეცა.

**"ხვალ თბილისის საოლქო სასამართლოში უნდა განიხილონ სპირტის კონტრაბანდასთან დაკავშირებული ერთ-ერთი საქმე. სწორედ ამ საქმესთან დაკავშირებით აიღო ჯაბანაშვილმა ქრთამი, რომელიც მას თბილისის საოლქო სასამართლოს აღნიშნული საქმის განმხილველი კოლეგიის მოსამართლისთვის ვაჟა ქაცანაშვილისთვის უნდა გადაეცა,"** - აღნიშნა ქუთელიამ.

მისივე თქმით, ჯერჯერობით, ვაჟა ქაცანაშვილის ბრალეულობის საკითხი არ განიხილება, რადგან მიმდინარეობს გამოძიება.

რაც შეეხება გივი ჯაბანაშვილს, მის წინააღმდეგ, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისთვის, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და მას რვა წლამდე პატიმრობა ემუქრება.

*24 საათი*

## კრემლის გადაწყვეტილების მოლოდინში

პირველი გვერდიდან

მოხსენებაში ანანმა აღნიშნა, რომ ივლისიდან მხარეებს პოლიტიკურ დონეზე კონტაქტები არ ჰქონიათ. გარდა ამისა, შეწყვეტილია მიმდინარე კონტაქტებიც, რომელშიც სხვა მხარეებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ამასთან, გაერო-ს გენერალური მდივანი ელის, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ აფხაზურ მხარეს **"გაუჩნდება პოლიტიკური ნება, უპირობოდ და მოლაპარაკების გზით, გადაწყვეტილების ძიების განზრახვით, დაუბრუნდეს გაერო-ს მიერ სამშვიდობო პროცესის განვითარების მიზნით შექმნილ ფორუმებს."**

ამავდროულად, კოფი ანანმა მოუწოდა საქართველოს, დარჩეს ერთგული მის მიერ დეკლარირებული მისწრაფებისა, მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით მოაგვაროს კონფლიქტი.

**"სრულებით დარწმუნებული ვარ, რომ სამშვიდობო პროცესი წინ მხოლოდ იმ შემთხვევაში წაიწევს, თუ ორივე მხარე გულწრფელად მიიღებს მონაწილეობას მოლაპარაკებებში, რომელზეც კონფლიქტის საკვანძო მიზეზი – ქართულ სახელმწიფოში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი იქნება განხილული,"** - აღნიშნა გაერო-ს გენერალურმა მდივანმა.

**"აფხაზეთის საგარეო პოლიტიკა არც ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ შეიცვლება,"** – თქვა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ნოდარ ხაშბამ საქართველოს საკითხებზე მომუშავე გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან ჰაიდი ტალიავინთან გამართულ შეხვედრაზე.

**"აფხაზეთი ყოველთვის იყო და დღესაც არის რუსეთზე ორიენტირებული,"** – ხაზი გაუსვა მან.

ამასთანავე, ხაშბამ დაადასტურა ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების განახლების მზადყოფნა, **"გაერო-ს მხრიდან ზღვაზე ქართული მხარის დესტრუქციული მოქმედებების სათანადო შეფასების შემდეგ".**

გუშინ ტალიავინი აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტს ვალერი არშბასაც შეხვდა, რომელმაც მოლაპარაკებებზე აფხაზეთში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას **"არასაკმარისად სტაბილური"** უწოდა. არშბამ იმედი გამოთქვა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებისგან დამოუკიდებლად, **"ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესი გაგრძელდება."**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "დიდ ეროვნულ გაერთიანებას" და მის ლიდერს მანანა არჩვაძე-გამსახურდიას პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას წინააღმდეგ საოლქო სასამართლოში სარჩელი შეაქვთ.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ქვრივი პრემიერ-მინისტრს ღირსებისა და პატივის შემლახველი განცხადებების გაკეთებაში ადანაშაულებს და მისგან ამ განცხადებების საჯაროდ უარყოფას მოითხოვს. მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ ანალოგიური მოთხოვნით სასარჩელო განცხადებები ჯერ მთაწმინდა-კრწანისის, შემდეგ კი ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოებში შეიტანა, თუმცა არც ერთ შემთხვევაში მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მანანა არჩვაძე-გამსახურდიას განცხადებით, "დიდი ეროვნული გაერთიანების" მომხრეები რამდენიმე თვეა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შენობასთან სტრატეგიული ობიექტების გასხვისების წინააღმდეგ აქციებს მართავენ, "პრემიერ-მინისტრმა კი მათ შეურაცხყოფა მიაყენა, როცა განაცხადა, რომ აქციის მონაწილეებს 5-5 ლარს უხდიან".

*ინტერ-პრესი*

■ ■ ■

**თბილისი.** ყოფილი პარლამენტარის ირაკლი ბათიაშვილის განცხადებით, ხელისუფლება რევოლუციის განხორციელებას საპატრიარქოს ფარგლებშიც გეგმავს.

ბათიაშვილის მონაცემებით, ხელისუფლების მითითებით საპატრიარქოსა და პირადად პატრიარქის წინააღმდეგ უშიშროება ამუშავდა.

"უშიშროების თანამშრომლები საპატრიარქოს თვალყურს ადევნებენ. ამ მეთვალყურეობის მიზანს კი პირველ რიგში ქართული ეკლესიის კომპრომეტაცია წარმოადგენს," - განაცხადა ბათიაშვილმა გუშინ ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე.

*ინტერ-პრესი*

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საქართველოს სამდღიანი ოფიციალურ ვიზიტით სომხეთის სამთავრობო დელეგაცია ეწვევა, პრეზიდენტ რობერტ კოჩარიანის მეთაურობით.

დღესვე კოჩარიანი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს შეხვდება. დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან. სავარაუდოდ, 23 ოქტომბერს ქოჩარიანი თბილისობის დღესასწაულშიც მიიღებს მონაწილეობას.

*ინტერ-პრესი*

■ ■ ■

**თბილისი.** 29 ოქტომბერს თბილისში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მე-11 სხდომა გაიმართება.

საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად საქართველოს ეწვევიან უფროსი თანამდებობის პირები და BSEC-თან დაკავშირებული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მინისტრთა საბჭოს მომზადების მიზნით 27-28 ოქტომბერს თბილისში BSEC-ის უფროს თანამდებობის პირთა კომიტეტის შეხვედრა გაიმართება.

*ინტერ-პრესი*

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში აკაკი წერეთლის სახელობის განახლებული სკვერის გახსნის საზეიმო ცერემონიალს დაესწრო.

პრეზიდენტის განცხადებით, მომავალში ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ მსგავსი და უკეთესი სკვერები თბილისში მრავლად იყოს.

"სახელმწიფო შემოსავლების 80 პროცენტი წელს საგარეო ვალების გასტუმრებას მოვახმარეთ. მომავალ წელს ამის აუცილებლობა აღარ იქნება და იმედი გვაქვს, რომ ქალაქის კეთილმოწყობაზე ბევრად უფრო მეტი თანხების გამოყოფას შევძლებთ. მარტო გზების კეთილმოსაწყობად მომავალ წელს 60 მლნ. ლარის გამოყოფას ვგეგმავთ," - განაცხადა სააკაშვილმა, რომელმაც სკვერში შეკრებილ მოსახლეობას 24 ოქტომბრის შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლების კანდიდატის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ყოფილი გამგებლის თემურ ჭეიშვილის მხარდაჭერა სთხოვა.

პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ თუ ჭეიშვილს დეპუტატად აირჩევენ, ის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებისკენ მიმართული კანონების შექმნაში.

*ინტერ-პრესი*

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ქვეყნის მთავრობასა და პარლამენტს შორის სიტუაციის გამწვავებას არ აპირებს და ნებისმიერი კონსტრუქციული დიალოგისთვის მზადყოფნას გამოთქვამს.

პრემიერისთვის მიუღებელია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების წარმომადგენლებს შორის დაძაბული ტონით საუბარი. "მივესალმები, თუ პარლამენტთან ერთად ბიუჯეტის პროექტის თითოეულ დებულებას განვიხილავთ და ერთიან პოზიციას დავაფიქსირებთ" - აღნიშნა გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" მიმდინარე გარემოსდაცვით კონფერენციაზე ზურაბ ჟვანიამ, რომელიც 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს ხვალ მინისტრთა კაბინეტთან და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს.

ამასთან, პრემიერ-მინისტრმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ტელედებატებში იწვევს.

*ინტერ-პრესი*

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციათა საბჭოს წევრი ორგანიზაციები მოძრაობა "დაბრუნებაში" გაერთიანდნენ. კონსულტაციების შედეგად "დაბრუნებაში" 6 პოლიტიკური ორგანიზაცია გაერთიანდა, რომელთა შორისაა სოხუმის გარნიზონის მეომართა კავშირი "ჯიხა" და აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციათა ლიგა.

*ინტერ-პრესი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარულავა. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დეპარტამენტები: ... [illegible]

# სახელმწიფო ქონება და ისევ ინტერესთა შეჯახება

## რამდენად ეფექტურად მართავს ახალი ხელისუფლება ძველ სახელმწიფო ქონებას?

პირველი გვერდიდან

თუმცა, რევოლუციის შემდეგ სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით აგორებულ სკანდალთა რაოდენობამ მოსალოდნელ მასშტაბებს აშკარად გადააჭარბა:

პირველი სკანდალი რკინიგზასთან გახლდათ დაკავშირებული, როცა დიდი ზარზეიმით დანიშნული, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არჩეული მენეჯერის კანდიდატურა მთავრობის ხელმძღვანელობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და, ამიტომ, რკინიგზის შეფად ლევან ვარშალომიძე, პრაქტიკულად, თავად პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის მიერ დაინიშნა.

ამით დამთავრდა ახალი მთავრობის მიერ გამოცხადებული პოლიტიკა სახელმწიფო ქონების განსაკუთრებული "ღიაობით" მართვის შესახებ. მას შემდეგ, ერთი მხრივ, გაჩაღდა ღია და აშკარა ბრძოლა სამეთვალყურეო საბჭოების და მენეჯერების შესაცვლელად (მაგალითად "მადნეულის" თუ "საქართველოს ეროვნული ზარაფხანას" შემთხვევაში), მეორე მხრივ კი, იქ, სადაც მოხერხდა, მმართველები და სამეთვალყურეო საბჭოები უხმაუროდ შეიცვალა. შეიცვალა ისე, რომ სერიოზული პიარის აგება, "ახალი კადრების" მოყვანასთან დაკავშირებით, თავად მთავრობას აღარ უცდია და თუ ეს ფაქტები ზოგან მაინც გახმაურდა, ისევ და ისევ - ამ ახალი კადრების მცდელობით. შესაბამისად ისიც, თუ რამდენად ღიაა გადაწყვეტილებების მიღების და მართვის პროცესი ამ საწარმოებში, მმართველების პირად თვისებებსა და განწყობაზე გახლავთ დამოკიდებული.

თუმცა, სახელმწიფო ქონების მართვასთან დაკავშირებით სიტუაციის "დალაგება" სახელმწიფო საწარმოების მმართველთა ერთჯერადად შეცვლით არ დასრულებულა. მაგალითად, "მადნეულს" ამ ერთი წლის განმავლობაში უკვე მეორე მმართველი ჰყავს, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში "გაკოტრების მმართველად" დანიშნული ქაშაკაშვილი კი კარგა ხანია, სახელისუფლებო დაპირისპირების ეპიცენტრშია.

თუმცა, მეორე მხრივ, თუ ზოგიერთ შემთხვევაში ხელისუფლებამ სახელმწიფო საწარმოების მმართველების შეცვლა განსაკუთრებულად იჩქარა, ზოგან, მაგალითად ისეთ სტრატეგიულ საწარმოში, როგორიც ფოთის პორტია, ძველ მმართველს სულ თვენახევრის წინ შეელივნენ.

თვალშისაცემად განსხვავებული იყო ყოფილი მმართველებისადმი მიდგომაც. მაგალითად, თუ რკინიგზის შეფი კაკო ჩხაიძე, რომელიც შევარდნაძეების ინტერესების გატარებაში იყო "შემჩნეული", ხმაურიანი ოპერაციის შედეგად, დიდი ამბით დააკავეს და ფულიც ხმაურით გადაახდევინეს, ფოთის პორტის ყოფილი შეფი, რომელსაც, თავის მხრივ, ახვლედიანის ინტერესების ლობირებას მიაწერდნენ, სავაჭრო-სამრეწველო პალატას ჩაუყენეს სათავეში და პრეზიდენტის ვიზიტებისას ქართული დელეგაციის ერთ-ერთ სახედ აქციეს.

გარდა მმართველობის თვალსაზრისით არსებული, რბილად რომ ვთქვათ, "გაუგებრობებისა", საგულისხმოა, რომ რევოლუციის ერთი წლის თავზე ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველია, კონკრეტულად როდის და რა ფორმით მოხდება და მოხდება თუ არა საერთოდ ისევ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1800 საწარმოს პრივატიზება. ბენდუქიძის შეპირებები სახელმწიფო ქონების სასწრაფოდ, აუქციონის წესით და ღიად პრივატიზების შესახებ, მხოლოდ იმით დასრულდა, რომ მეტ-ნაკლებად სერიოზული საწარმოებიდან ერთი სასტუმრო გაიყიდა აუქციონზე, პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისდა "თბილავიამშენი" და მსგავსი მოლაპარაკებები, ყოველგვარი გამჭვირვალე აუქციონების გარეშე, მიდის კავშირგაბმულობის სფეროში. არსებული ინფორმაციით, პრაქტიკულად გაყიდულია ბათუმის პორტის ძირითადი ნაწილი და ა. შ.

ჯერაც სახელმწიფოს ხელში დარჩენილი საწარმოები კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ისევ საგადასახადო დავალიანებებში არიან ჩაფლულნი და ვერც მზარდი დივიდენდებით დაიკვეხნიან. ცხადია, კარგი მენეჯმენტის შემთხვევაშიც, იმ მემკვიდრეობის გამოსწორება, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ სახელმწიფო საწარმოებში არსებული სიტუაციის სახით მიიღო, საკმაოდ ძნელია. ამიტომ სახელმწიფო ქონების მართვის უფრო დეტალურ შედეგებზე საუბარი, სავარაუდოდ, წლის მიწურულს გახდება შესაძლებელი. მანამდე კი "24 საათი" სახელმწიფო ქონების მართვასთან დაკავშირებით დღეს არსებული რამოდენიმე პრობლემის მიმოხილვას შემოგთავაზებთ.

## სახელმწიფო ქონების მოგება მცირდება




*მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი შვიდი წელიწადია, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების საერთო რიცხვი არ იცვლება (შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო საკუთრებაში დღეს 1800-ზე მეტი საწარმოა), ყოველ წელს სულ უფრო მცირდება ამ საწარმოებიდან ბიუჯეტში ჩარიცხული დივიდენდების რაოდენობა. ფინანსთა სამინისტროს ბოლო მონაცემებით, ამ დროისთვის ხაზინაში, დივიდენდის სახით, დაახლოებით 6 მილიონ 350 ათასმა ლარმა მოიყარა თავი. წლევანდელი გეგმის შესრულების შემთხვევაში, დარჩენილ სამ თვეში ბიუჯეტში კიდევ 7 მილიონის მობილიზებაა საჭირო.*

ეთერ მამულაშვილი

ამ ფაქტს, შესაძლოა, ორი ახსნა მოვუძებნოთ: ერთი ის, რომ სახელმწიფო საკუთარ ქონებას უკვე კარგა ხანია, არაეფექტურად მართავს, რის გამოც მისი წმინდა მოგება და, შესაბამისად, ბიუჯეტში ჩასარიცხი დივიდენდებიც, წლიდან-წლამდე მცირდება,

და მეორე მიზეზი – საწარმოთა ხელმძღვანელი პირების მიერ რეალური მოგების დამალვა და ამ გზით დივიდენდების შემცირება.

თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოთა მოგების წილის სახელმწიფოსთვის არასრულად განაწილება ან საერთოდ დამალვა, გასულ წლებში დამკვიდრებული "ტრადიცია" უფრო იყო, (მაგალითად 2002 წელს სს."მადნეულმა" 18 მილიონი ლარის პროდუქცია აწარმოა) მაშინ, როცა მან წმინდა მოგება მხოლოდ 233 ათასი ლარი აჩვენა.

წლევანდელ შედეგებზე დეტალურად საუბარი წლის დასრულების შემდეგ გახდება შესაძლებელი, თუმცა გარკვეული "წინასწარი მონაცემები" უკვე არსებობს:

წელს, სექტემბრის ჩათვლით, ცენტრალურ ბიუჯეტში ჩარიცხულია 5.807.515 ლარის დივიდენდი. სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენები იანვარ-სექტემბერში დაახლოებით 50 საწარმომ გადარიცხა, აქედან ძირითადი გადამხდელები, ისევე როგორც გასულ წლებში, სს. "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია", შპს "საქართველოს რკინიგზა" და სს "თბილავიამშენი" იყვნენ, რომელებმაც, შესაბამისად, ბიუჯეტში დივიდენდის სახით 3 მილიონ 250.000, 1 მილიონ 050.000 და 570.000 ლარი გადაიხადეს.

დანარჩენი საწარმოების მიერ წელს 9 თვეში ჯამურად გადახდილმა დივიდენდებმა კი, დაახლოებით, 1 მილიონ 500 ათასი ლარი შეადგინა.

2000 წლიდან მოყოლებული, სახელმწიფოს მიმართ საწარმოთა დავალიანება ამ ნაწილში 10 მილიონ ლარს აღწევს. აქედან 8 მილიონზე ოდნავ მეტი ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილებაა. ეს ციფრები დარჩენილი სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილის დროულად გასხვისების საჭიროებას, ალბათ, ერთხელ კიდევ ადასტურებს. თუმცა, მასობრივი პრივატიზაციის აუცილებლობას გასულ წლებში მაშინდელი საბიუჯეტო სტატისტიკაც მოწმობდა.

საწარმო, რომელსაც წლების განმავლობაში დივიდენდის სახით მხოლოდ 200 ლარის გადახდა ევალება და ამასაც ვერ იხდის, ცხადია, წამგებიანია და "თავიდან მოსაშორებელი". ასეთები კი სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ საწარმოებს შორის დღეს არცთუ ისე ცოტაა.

რეალური მოგების დამალვა ან შემცირება, მისი ჩრდილოვან ეკონომიკაში მოქცევა და წმიდა მოგების არამიზნობრივი რეინვესტირება – ეს სახელმწიფო საწარმოთა ხელმძღვანელი პირებისადმი წაყენებული ის ძირითადი ბრალდებებია, რომლებსაც დამოუკიდებელი ექსპერტების გარდა, საწარმოთა მართვის სააგენტოც ეთანხმება.

წმიდა მოგებიდან დივიდენდების ბიუჯეტში გადახდას მოქმედი კანონმდებლობა ყველა იმ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ საწარმოს ავალებს, რომლებმაც მიმდინარე წელი მოგებით დაასრულეს. ასეთი საწარმოების რიცხვი, როგორც სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოში ირწმუნებიან, 1800-დან ნახევარზე მეტია. აქედან 360 საწარმო დივიდენდს ცენტრალურ ბიუჯეტში უნდა რიცხავდეს.

კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: მაშინ, როცა ქვეყანაში მასობრივი პრივატიზაციის პროცესი ჯერ კიდევ არ დაწყებულა, მისაღები დივიდენდების წლევანდელი გეგმა შარშანდელ შესაბამის მაჩვენებელს, დაახლოებით ერთი მეხუთედით ჩამორჩება. შესაბამისი უწყებების პროგნოზით, წლის ბოლომდე ცენტრალურ ბიუჯეტში 13 მიიონ 125.000 ლარმა უნდა მოიყაროს თავი. გასულ წელს კი დივიდენდების ჩარიცხვის გეგმა და შესრულებაც 16 მილიონს ოდნავ აჭარბებდა.

## სახელმწიფო საწარმოები ვალებში იხრჩობიან

### ვინ დაფარავს სახელმწიფო ქონების ვალებს?

ეთერ მამულაშვილი

*სახელმწიფო ქონების საუკეთესო პერსპექტივად, ეკონომიკის მინისტრი ბენდუქიძე, სასწრაფო პრივატიზაციას ასახელებს, თუმცა, ჯერჯერობით, ამ მიმართულებით მასშტაბური ქმედებები არ ხორციელდება. ამასთან, მართალია, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ჯერ არ აკონკრეტებენ, თუ რამდენი ლარით გამდიდრდება ქვეყნის ბიუჯეტი დიდი პრივატიზაციის შემდეგ, მაგრამ ექსპერტთა ერთი ნაწილის პროგნოზს თუ ვენდობით, დიდი ფულის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. ამის მიზეზად, სხვებს შორის, ისინი გასაყიდ ობიექტთა სერიოზულ საგადასახადო დავალიანებებს ასახელებენ.*

იმის საშიშროება, რომ მასობრივ პრივატიზაციას მაინც და მაინც დიდი ფისკალური ეფექტი ვერ ექნება, დღეს მართლაც არსებობს.

დაახლოებით ერთი თვის წინათ, ბათუმში, სასტუმრო "ინტურისტის" აუქციონი, რომელსაც ეკონომიკის მინისტრის გათვლებით ქვეყნის ხაზინა სულ მცირე სამი მილიონი ამერიკული დოლარით უნდა შეევსო, მყიდველების არ არსებობის გამო ორი კვირით გადაიდო. მართალია, ამ ცოტა ხნის წინ სასტუმრო გამოცხადებულ ფასზე 20 ათასი დოლარით მეტად გაიყიდა, მაგრამ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოლოდინი, რომ "ინტურისტით" ბევრი ინვესტორი დაინტერესებოდა, არ გამართლდა. ექსპერტები, აუქციონის გამოცხადების დღიდან, გასაყიდი ობიექტის მაღალ ფასზე მიანიშნებდნენ. თუმცა, "ინტურისტის" სიძვირე არ ყოფილა ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ბიზნესმენებმა სასტუმროს მიმართ ინტერესი დაკარგეს. ბოლო მონაცემებით, სასტუმროს კრედიტორული დავალიანება თითქმის ნახევარ მილიონ ლარს აღწევს. ამ დავალიანების მემკვიდრე კი, ავტომატურად, ობიექტის ახალი მესაკუთრე ხდება, რადგან როგორც ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ: **"ჩვენ ყველაფერს იმ ვალდებულებებთან ერთად ვყიდით, რაც ობიექტებს მოცემული მომენტისთვის გააჩნიათ".** ასეთი არცთუ სასიამოვნო ვალდებულებები კი გასაყიდად გამოტანილ თითქმის ყოველ მეორე ობიექტს აქვს.

ამა თუ იმ საწარმოს მიმზიდველობა კიდევ უფრო კლებულობს, როცა საუბარი უიმედო ვალს ეხება. დღეს სახელმწიფო საწარმოთა დაახლოებით 46 პროცენტს ეგრეთ წოდებული უიმედო ვალი აქვს, რომლის გადახდის პერსპექტივა არ არსებობს. როგორც წესი, ასეთი ობიექტების ფინანსური და ქონებრივი აქტივები ნულის ტოლია, ან იმდენად მცირეა, რომ ის სასამართლო ხარჯებსაც ვერ აუვა. ასეთ შემთხვევაში, მყიდველთა ინტერესი კიდევ უფრო ნელდება და შანსი, რომ ეს საწარმოები "კარგ ფასად" გაიყიდება, კიდევ უფრო მცირდება.

**"ასეთი ობიექტების გაყიდვით სახელმწიფო კაპიკებს მიიღებს,** – აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ, – **უმჯობესი იქნება, თუ ჯერ ამ საწარმოების ლიკვიდაციას მოვახდენთ და შემდეგ მათ დარჩენილ ქონებას – ჯართად და მათზე დამაგრებულ მიწას გავყიდით. ხშირ შემთხვევაში, ლიკვიდაცია ბევრად მომგებიანია თავად ამ საწარმოსთვის და, ზოგადად, სახელმწიფოსთვისაც".**

მსხვილი დავალიანებების მქონე სახელმწიფო საწარმოთა ტოპ-ათეული (1 აგვისტოს მდგომარეობით)

| ორგანიზაციების დასახელება | სულ ბიუჯეტისა და სახ.ფონდების ვადაგადაცილებული დავალიანება | | |
|---|---|---|---|
| | მათ შორის | | სულ |
| | ძირითადი | საურავი | |
| სს."თბილსრესი" | 38.354.400 | 80.617.500 | 118.971.900 |
| საქენერგო 2000 | 32.900.100 | 75.200.800 | 108.100.900 |
| რუსთავის მეტალურგიული კომბინატი | 26.921.900 | 79.629.400 | 106.551.300 |
| სს. "მადნეული" | 40.680.700 | 14.648.100 | 55.328.800 |
| "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" | 27.423.300 | 16.078.400 | 43.501.700 |
| სს."ჭიათურმანგანუმი" | 13.464.100 | 26.164.300 | 39.628.400 |
| გარდაბანგაზი | 5.883.700 | 24.664.800 | 30.548.500 |
| "საქტრანსგაზმრეწვი" | 785.000 | 15.449.400 | 16.234.400 |
| შპს. "რუსთავწყალი" | 3.290.600 | 8.162.200 | 11.452.400 |
| სს. "ვარციხე ჰესების კასკადი" | 5.251.600 | 4.745.000 | 9.996.600 |







რომან გოცირიძე ირწმუნება, რომ წარსულში იმის არაერთი მაგალითი ყოფილა, როცა საწარმოს გაყიდვით ბიუჯეტმა ბევრად ნაკლები თანხა მიიღო, ვიდრე მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში შეეძლო მიეღო.

ამ დროისთვის უცნობია საპრივატიზაციოდ გამზადებული სახელმწიფო ქონების კრედიტორული დავლიანების ზუსტი მოცულობა, თუმცა მისი დიდი ნაწილი რომ საგადასახადო დავალიანებებზე მოდის, ეს იმთავითვე იყო ცნობილი. ცნობილია, რომ სახელმწიფო წილის მქონე საწარმოების მიერ დაგროვილი საგადასახადო დავალიანება დაახლოებით იმდენივეა, რაც ქვეყნის ბიუჯეტი. აქედან 795 140 000 ლარი იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებზე მოდის, სადაც სახელმწიფო აქციათა საკონტროლო პაკეტის (51 პროცენტი და მეტის) მფლობელია, მათ შორის ძირითადი ვალი 290 961 500 ლარია, დანარჩენი 504 182 500 ლარი კი - ვალების გადაუხდელობის გამო წლების მანძილზე დარიცხული ჯარიმა-საურავები. ამ დროისთვის ყველზე მეტი საგადასახადო დავალიანება სათბობ-ენერგეტიკის სექტორზე მოდის – მთლიანი ვალის 47 პროცენტი.

კიდევ ერთი მავნე პრაქტიკა, რასაც ადგილი ჰქონდა გასულ წლებში ჩატარებული პრივატიზაციის დროს: ინვესტორი გასაყიდი ობიექტის შესახებ ობიექტურ ინფორმაციას ყიდვის პერიოდში არ ფლობდა. მაგალითად, მყიდველმა ხშირად არ იცოდა, რა კრედიტორული დავალიანება ერიცხებოდა მის მიერ შეძენილ ქონებას. სხვათა შორის, თავის დროზე, მსგავსი ინფორმაციის არარსებობის თუ მისი შეგნებულად დამალვის გამო, ინვესტორებს სერიოზული პრობლემები გაუჩნდათ, რასაც ლამის საერთაშორისო დონის სკანდალი მოჰყვა.

საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომელი ამირან თავართქილაძე კონკრეტული მაგალითების დასახელებისგან თავს იკავებს, თუმცა არ გამორიცხავს, რომ მაშინ, ხშირ შემთხვევაში, ამ ინფორმაციის დამალვა შეგნებულად ხდებოდა, რათა სახელმწიფო ქონებას მიმზიდველობა არ დაეკარგა.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ამტკიცებენ, რომ წარსულის ამ მაგალითების განმეორება დღეს გამორიცხულია და თუ "შემთხვევით სადმე შეცდომა გაიპარა", პასუხისმგებლობის ტვირთი მთლიანად საწარმოს ხელმძღვანელებზე გადავა. მეტიც, მყიდველი დაგვიანებით "აღმოჩენილი" ვალებისგან გათავისუფლდება და ყველა ვალდებულებას სახელმწიფო დაფარავს.

იმისათვის, რომ ვალებით დახუნძლულ სახელმწიფო საწარმოებს სარფიანი მუშტრები გამოუჩნდეს, ექსპერტები ხელისუფლებას რამდენიმე რეკომენდაციას სთავაზობენ. ერთ-ერთი - საგადასახადო დავალიანებათა გადავადება-რესტრუქტურიზაციაა. **"ვფიქრობ, რომ ეს უფრო სამართლიანი და ეფექტური იქნება, ვიდრე ის, რომ არსებული ვალები საწარმოებს ერთი ხელის მოსმით ჩამოეწეროს. ეს სხვა მეწარმეების სერიოზულ გულისწყრომას გამოიწვევს,"** – გვითხრა ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ თენგიზ შერგელაშვილმა.

## სახელმწიფო ქონების ბედი აუდიტორულ დასკვნებზეცაა დამოკიდებული

### დასკვნების გამოტანა კი ჭიანურდება

*სახელმწიფო რომ მის საკუთრებაში მყოფ საწარმოებს არაეფექტურად მართავს, საწარმოთა მართვის სააგენტოშიც აღიარებენ. მეტიც - სააგენტოში ჯერ კიდევ ვერ ფლობენ ზუსტ და ამომწურავ ინფორმაციას ამა თუ იმ საწარმოში შექმნილ რეალურ ვითარებასთან დაკავშირებით. ამ და სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრა, როგორც სააგენტოში ირწმუნებინ, აუდიტორული კომპანიების შესაბამისი დასკვნების შემდეგ გახდება შესაძლებელი.*

ეთერ მამულაშვილი

სააგენტო, რომელიც კანონით სახელმწიფო ქონებას უნდა მართავდეს და, შესაბამისად, მის ეფექტურ მენეჯმენტზე უნდა ზრუნავდეს, დღეს ამ კუთხით ბევრს ვერაფერს აკეთებს. უმოქმედობის მიზეზად სააგენტოში შესაბამისი ინფორმაციის სიმწირეს ასახელებენ. ამ ერთგვარი ინფორმაციული ვაკუუმის შესავსებად საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, წელს თებერვალში სახელმწიფო საწარმოთა საფუძვლიანი რევიზია დაიწყო.

**"აუდიტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჩვენ გაგვიადვილებს გადაწყვეტილების მიღებას. კერძოდ, აუდიტმა უნდა გაგვცეს პასუხი კითხვაზე - არის თუ არა ესა თუ ის კონკრეტული საწარმო ლიკვიდური პრივატიზაციისთვის? თუ მას არანაირი პერსპექტივა არა აქვს განვითარებისთვის, მაშინ, შესაძლოა, მის ლიკვიდაციაზე ვიფიქროთ. გარდა ამისა, აუდიტორული დასკვნები დაგვეხმარება გავიგოთ, თუ რამდენი აქვს თითოეულ საწარმოს რეალური მოგება. აუდიტორთა მუშაობის შედეგად გვექნება რეალური ბერკეტები იმისა, თუ როგორ გავზარდოთ ჩვენს დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოების წმინდა მოგება,"** – აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს საწარმოთა მართვის სააგენტოს ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების სამმართველოს უფროსმა ოთარ მახარაძემ.

საწარმოებში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიები, მარტის თვიდან სწავლობენ. აუდიტებს შორის ოთხი საერთაშორისო კომპანიაა - "პრაის ვოთერ ჰაუს კუპერსი", "ერნსტ ენდ იანგი", "დელოიდ დე ტუში" და "ქეი-ფი ენდ ჯი", რომლებიც ათ ყველაზე მსხვილ სახელმწიფო საწარმოში - ს.ს. "მადნეულში", ს.ს. "თბილისის საერთაშორისო აეროპორტში", ს.ს. "საქართველოს რკინიგზაში", ს.ს. "საქართველოს ელექტროკავშირში", ს.ს. "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში", ს.ს. "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციაში", შპს. "საქაერონავიგაციაში", შპს. "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში", ს.ს. "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასა", და ს.ს. ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობში" მუშაობენ. დანარჩენ საწარმოებს ადგილობრივი აუდიტორული კომპანიები სწავლობენ, რომელთა უმრავლესობამ ამ დროისთვის მუშაობა უკვე დაასრულა და შესაბამისი დასკვნები საწარმოთა მართვის სააგენტოს წარუდგინა. დარჩენილ საწარმოებში მუშაობას აუდიტები, როგორც სააგენტოში ვარაუდობენ, წლის ბოლომდე დაასრულებენ.

აუდიტების გაჭიანურებულ მუშაობას ოთარ მახარაძე შემდეგნაირად ხსნის: **"ეს მხოლოდ მათზე არ იყო დამოკიდებული. საქმე გვქონდა საკმაოდ მნიშვნელოვან საანალიზო მასალასთან, რის გამოც, არ მიკვირს, რომ ამ დრომდე გაგრძელდა აუდიტების მუშაობა. ძალიან ბევრი საწარმო აუდიტების მუშაობას ყოველთვის არასერიოზულად და ფორმალურად ეკიდებოდა, რისი საშუალებაც წელს მათ არ მიეცათ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მივიღოთ სრული და ამომწურავი ინფორმაცია, და ამის გამო თანახმა ვართ, რომ ეს პროცესი ცოტა გაჭიანურდეს."**

ცნობისათვის: სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს მონაცემებით, საწარმოთა რაოდენობა, სადაც აქციათა სრული ან ნაწილობრივ მესაკუთრე სახელმწიფოა, 1800-ს აღემატება. აქედან 1400 - ადგილობრივი მნიშვნელობისაა, შესაბამისად, ისინი ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში არიან.

დარჩენილი 377 საწარმო ფედერალური მნიშვნელობის არის და მას სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტო განკარგავს. საკუთრების ყველაზე მეტი წილი სახელმწიფოს მრეწველობის, მშენებლობისა და ჯანდაცვის სექტორში აქვს. ყველაზე ნაკლები - ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სფეროში. თითქმის ყველგან საწარმოთა საკონტროლო პაკეტის (51 პროცენტი და მეტის) მფლობელი სახელმწიფოა.

# ენერგოკრიზისი გამწვავდება

## საბითუმო ბაზარი დენის იმპორტის სასწრაფოდ დაწყებას მოითხოვს

*ენერგოკრიზისი სახეზეა: უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც ელექტროენერგიის დეფიციტს ყველა ოჯახი გრძნობს. შემაწუხებელი მცოცავი გრაფიკი თბილისის ყველა უბანს გადასწვდა. კიდევ უფრო უარესი ვითარებაა რეგიონებში, სადაც დენი ერთი-ორი საათით კი არა, მთელი დღე-ღამით ითიშება ხოლმე.*

ნიკა მარიამიძე

მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორი ენერგეტიკული ზამთარია მოსალოდნელი, როგორც წესი, თავს საბითუმო ბაზარში იყრის. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ბაზარი ყოველთვიურად ადგენს შემდეგი თვის პროგნოზს და მოსალოდნელი დეფიციტის თაობაზე დენის დისტრიბუტორებსა და ხელისუფლებას ატყობინებს.

ტრადიციულად, ბაზრის პროგნოზი არც ამჯერად აღმოჩნდა დამაიმედებელი. გაირკვა, რომ ზამთარში საქართველოში მინიმუმ 200-მეგავატიანი დეფიციტია მოსალოდნელი. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ბაზრის ოპერაციათა დირექტორმა ჯონ სვინსკოუმ განაცხადა, იმპორტის სასწრაფოდ დაწყების გარეშე ენერგოკრიზისი კიდევ უფრო გამწვავდება.

მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის სექტემბრის შემოსავლები რეკორდულია (დენის საფასურის ამოღების მაჩვენებელმა 53 პროცენტს მიაღწია), ეს პრობლემას არ წყვეტს. ენერგობალანსში 10 მილიონი დოლარი მაინც დეფიციტად რჩება. ამ ფინანსური დეფიციტის შევსებაში ბაზარს ცენტრალური ხელისუფლების დახმარების იმედი აქვს. საქმე ისაა, რომ ზამთარში საქართველოს თავისი მოთხოვნილების საკუთარი რესურსებით დაკმაყოფილება არ შეუძლია. "მტკვარი-ენერგეტიკის" ("რაო ეეს როსიის" შვილობილი) კუთვნილი თბილსრესის მე-9 ბლოკისთვის გაზის მარაგის შესაძენად სულ 36 მილიონი ლარია საჭირო, მაგრამ უახლოეს მომავალში თუ "რაო" ამ თანხის ნაწილს – 10 მილიონ დოლარს მაინც არ მიიღებს, სიტუაცია საკმაოდ გართულდება.

ამასთან, ახლა გამანაწილებელი ენერგოკომპანიები რუსეთიდან დენის იმპორტირების შესაძლებლობას მოკლებულნი არიან – 9 ოქტომბერს ელექტროგადამცემი ხაზი "ქართლი-2" ააფეთქეს და მისი აღდგენა, საუკეთესო შემთხვევაში, ერთ კვირაში თუ დასრულდება. ამჟამად აქ ანძების ახალი კარკასის დამონტაჟება მიმდინარეობს. საქართველო-რუსეთის ერთობლივი საწარმო "საქრუსენერგოს" მიერ ამ საქმიანობისთვის გაწეული ხარჯი 120 ათას ლარს შეადგენს.

ამის გამო, ამ ეტაპზე დენის იმპორტს მხოლოდ "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" ახორციელებს, მაგრამ მის მიერ სომხეთიდან შემოტანილი დენის ოდენობა მდგომარეობის გამოსასწორებლად საკმარისი არ არის. ამის გამო, ენერგეტიკოსები იძულებულნი არიან, ხარჯონ ენგურჰესის წყლის მარაგი, ეს კი მძიმე შედეგებს ზამთრის პერიოდში გამოიღებს. როგორც საბითუმო ბაზრის გენერალურმა დირექტორმა ალბერტო სოლისმა განაცხადა, **"ოპტიმიზმის საფუძველი არ არის, რადგან სიტუაცია საკმაოდ რთულია. ზამთრის მოახლოებისთანავე პრობლემებიც მომრავლდა. ჩვენ ახლა ვიყენებთ ენგურის წყალსაცავს. უახლოეს მომავალში თუ იმპორტი არ განხორციელდა, წყლის რეზერვი ძალიან მალე დაიხარჯება."**

**"პროგნოზირებული დეფიციტის პირობებში მომხმარებელი ელექტროენერგიას შეზღუდული გრაფიკით მიიღებს, თუმცა ეს არ შეეხება თბილისს, რადგან კომპანია "თელასი" ბაზრის კარგი გადამხდელია,"** – დასძინა სვინსკოუმ.

სამაგიეროდ, თბილისს სხვა პრობლემა აქვს: ჯერჯერობით, სომხეთთან დენის იმპორტის თაობაზე "თელასს" საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. ამიტომ, ის, თუ როდის აღუდგება თბილისს 24-საათიანი ელექტრომომარაგება, ჯერჯერობით, დანამდვილებით არც მთავრობამ, არც ენერგეტიკის მინისტრმა და არც საბითუმო ბაზარმა არ იციან.

ბაზრის პესიმისტური პროგნოზების გახმოვანებისთანავე, სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ გაფართოებული თათბირი მოიწვია, რომელსაც ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური და რეგიონებში პრეზიდენტის რწმუნებულები დაესწრნენ. ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის განცხადებით, შეხვედრაზე დაიგეგმა, თუ რომელ რეგიონს ელექტროენერგია რა გრაფიკით უნდა მიეწოდოს. **"ვვარაუდობთ, რომ რეგიონებს 8-9-საათიანი გრაფიკი ექნებათ, თუმცა ესეც - გადახდის მაჩვენებლების შესაბამისად,"** – აღნიშნა გილაურმა.

# „საქართველოს რკინიგზა" შეღავათებს ითხოვს

## საგადასახადო კი რკინიგზას 10 მილიონ ლარს ედავება

ეთერ მამულაშვილი

*"თუკი ასეთ რეჟიმში გავაგრძელებთ მუშაობას, უახლოეს 4-6 წელიწადში საქართველოს რკინიგზა აღარ ექნება," – ამ განცხადებას რკინიგზის გენერალური დირექტორი აკეთებს, რომელიც ხელისუფლებისგან რამდენიმე მნიშვნელოვანი პირობის შესრულებას მოითხოვს. კიდევ უფრო ვრცელია შენიშვნები ახალი საგადასახადო კოდექსის მიმართ, რომლის გათვალისწინება, ონოფრიშვილის თქმით, რკინიგზისთვის დღეს სასიცოცხლოდ აუცილებელია.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ზუსტად რამდენი სჭირდება საქართველოს რკინიგზას გაჯანსაღებისა და გამართულად მუშაობისთვის, დღეს ამ უწყებაში არავინ იცის.*

უკვე რამდენიმე თვეა, საგადასახადო დეპარტამენტი "საქართველოს რკინიგზას" დაახლოებით 10 მილიონ ლარს ედავება, რომლის გადახდასაც დავით ონოფრიშვილი არ აპირებს. მეტიც, ის ამ დღეებში შესაბამისი სარჩელით უზენაეს სასამართლოს მიმართავს. საქმე ეხება 2000 წელს რკინიგზის მიერ გადაუხდელ მიწის გადასახადს, რომელიც იმ დროისთვის 3 მილიონ 750 ათას ლარს ოდნავ აღემატებოდა. მაშინდელმა რკინიგზის ხელმძღვანელობამ ამ თანხის გადახდაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ წლების განმავლობაში მიწის გადასახადისგან რკინიგზა გათავისუფლებული იყო. დავით ონოფრიშვილი აცხადებს, რომ იმ წელს ზოგიერთი პარლამენტარის დაუდევრობისა და გულმავიწყობის გამო, ეს საგადასახადო შეღავათი მის უწყებას არ გაუგრძელდა (მოქმედი კანონმდებლობა მსგავსი შეღავათების გადავადებას ყოველწლიურად მოითხოვს), რის გამოც საგადასახადო დეპარტამენტმა შპს საქართველოს რკინიგზა ამ გადასახადის გადამხდელად ჩათვალა. ოთხი წლის განმავლობაში გადაუხდელ 3.757.231 ლარს ჯარიმა საურავების სახით დღემდე 5 მილიონ 500 ათას ლარზე მეტი დაერიცხა.

**"10 მილიონი რკინიგზისთვის დღეს ძალიან დიდი ფულია, რკინიგზას დღეს ძალიან უჭირს და ყველა ცდება, თუკი ფიქრობს, რომ ჩვენ ძალიან გვილხინს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს დავით ონოფრიშვილმა, რომელსაც იმედი აქვს, რომ უზენაესი სასამართლო მის სარჩელს აუცილებლად დააკმაყოფილებს, წინააღმდეგ შემთხვევაში რკინიგზის დეპარტამენტს იმ რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტზე მოუწევს უარის თქმა, რომლის განხორციელება წლის ბოლომდე იყო ნავარაუდევი.

ამ პროექტებს შორისაა საქართველოში ყველაზე გრძელი, თითქმის 4 კილომეტრიანი წიფის გვირაბის რეაბილიტაცია, ძეგვთან მდინარე მტკვარზე გამავალი 113 წლოვნი ხიდის რეკონსტრუქცია და ასობით კილომეტრი სიგრძის ლიანდაგის გამოცვლა. სხვათა შორის, ექსპერტული გათვლებით, ერთი კილომეტრი სარკინიგზო ლიანდაგის კაპიტალური მშენებლობა 350 ათას ლარს საჭიროებს, ერთი ახალი ხიდის აგება 4 მილიონს. თუ რამდენი დასჭირდება ზემოთ ხსენებული გვირაბის რეაბილიტაციას, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის დამაკავშირებელი ერთადერთი სარკინიგზო საშუალებაა, ეს უახლოეს მომავალში, სპეციალური ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ გახდება ცნობილი.

ესეც რომ არ იყოს, ონოფრიშვილის თქმით, მას რკინიგზაში არასახარბიელო მემკვიდრეობა დახვდა კრედიტორული დავალიანების სახით, რომლის გასტუმრება მის უწყებას დღეს მძიმე ტვირთად აწევს. 17 მილიონი შვეიცარიული ფრანკი, რაც დაახლოებით 13 მილიონი ამერიკული დოლარია, საქართველოს რკინიგზას სხვადასხვა ქვეყნების მართებს. ონოფრიშვილის თქმით, ეს ვალი მის უწყებას 2000 წლიდან მოყოლებული დაუგროვდა. მათ შორის ყველაზე ბევრი საქართველოს რკინიგზას რუსეთის მართებს - 13 მილიონი ფრანკი, დანარჩენი 4 მილიონი კი რვა ქვეყანაზე მოდის. ონოფრიშვილი ირწმუნება, რომ მისი მოსვლიდან დღემდე რკინიგზამ 4 მილიონი ფრანკის გასტუმრება მოახერხა.

ცალკე საუბრის თემაა, რომ ამ ვალის დიდი ნაწილი საქართველოს რკინიგზის შეფის თქმით, არასწორი მენეჯმენტის "დამსახურებით" დაგროვდა.

**"მთელი ამ წლების განმავლობში გარკვეული თანხების არასწორად დარიცხვა ხდებოდა, რის გარკვევასაც ახლა ვცდილობთ. რამდენიმე ქვეყანასთან, მათ შორის აზერბაიჯანთან, უკვე მიავღწიეთ შეთანხმებას არასწორად დაანგარიშებული ვალის შემცირების თაობაზე,"** - ამბობს ონოფრიშვილი და დასძენს, რომ აქედან დანაზოგი თანხები მაინც მიზერია იმასთან შედარებით, რაც რკინიგზას დღეს რეალურად ესაჭიროება.

ზუსტად რამდენი სჭირდება საქართველოს რკინიგზას გაჯანსაღებისა და გამართულად მუშაობისთვის, დღეს ამ უწყებაში არავინ იცის. არც ითვლიან, რადგან კარგად უწყიან, რომ ამას აზრი არა აქვს. სახელმწიფო დოტაცია საქართველოს რკინიგზას ქვეყნის დამოუკიდებლობის შემდეგ არ მიუღია და სავარაუდოდ უახლოესი რამდენიმე წელიწადი ვერც მიიღებს. ეს რკინიგზის გენერალურმა დირექტორმაც კარგად უწყის და არც არაფერს ითხოვს. **"ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ ბიუჯეტი მძიმე მდგომარეობაშია და იმის საშუალება არა აქვს, დაგვეხმაროს. ამიტომ მე დღეს ვთხოვ სახელმწიფოს, რომ რისი საშუალებაც აქვს, იმაში დამეხმაროს. ნუ დამბეგრავს მიწის გადასახადით, ისევე, როგორც ეს ბევრ სხვა ქვეყანაშია,"** - გვითხრა ონოფრიშვილმა.

მართალია, მოქმედი კოდექსი საქართველოს რკინიგზას მიწის გადასახადისგან ათავისუფლებს, მაგრამ მთავრობის მიერ წარმოდგენილი ახალი კოდექსის პროექტი მსგავს შეღავათს აღარ ითვალისწინებს. ონოფრიშვილი ირწმუნება, რომ ამ შეღავათის გარეშე რკინიგზას ძალიან გაუჭირდება, რადგან ყოველწლიურად მის უწყებას ბიუჯეტში დამატებით 30 მილიონი ლარის გადახდა მოუწევს.

ონოფრიშვილისთვის მორიგი მტკივნეული საკითხი ფინანსთა სამინისტროს მიერ რკინიგზიდან წაღებული დივიდენდებია, რომელიც უკანასკნელი სამი წელიწადია, 8 მილიონ ლარზე ნაკლები არ არის. ეს კი, საშუალოდ რკინიგზის წმინდა მოგების 20-30 პროცენტს შედგენს, რაც, ონოფრიშვილის მტკიცებით, მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით, ყველაზე მაღალია. მეტიც, მისი თქმით, **"რუსეთის რკინიგზა სახელმწიფოსგან ყოველწლიურად მილიონობით რუბლის დოტაციას ღებულობს, მასვე რჩება დივიდენდი ბოლო კაპიკამდე. სხვა ქვეყნებში რკინიგზიდან სახელმწიფოს დივიდენდის სახით მაქსიმუმ მოგების 10 პროცენტი მიაქვს. წლევანდელ ბიუჯეტში სახელმწიფო საწარმოებიდან მისაღები დივიდენდების გრაფაში დაახლოებით 13 მილიონი ლარია გათვალისწინებული, აქედან 8 მილიონი რკინიგზამ უნდა გადაიხადოს. რომ იკითხო, რატომ 8 და არა 7, ვერ გიპასუხებენ. თქვენ გგონიათ ვინმე მოვიდა ფინანსთა სამინისტროდან და მოგველაპარაკა? არა, იქ ასე ვოლუნტარულად ჩასვეს რაღაც ციფრი".**

# საქართველოში წარმოების მასშტაბები იზრდება?

*ფარული და აღურიცხავი წარმოების მაჩვენებლების თანახმად, საქართველოში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის რეალურმა მოცულობამ მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის თვეში 2 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც 4,9 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ასეთია სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ექსპერტული შეფასების შედეგი.*

დიანა ჩაჩუა

2004 წლის იანვარ-სექტემბერში საწარმოების მიერ დეკლარირებული მონაცემებით მიღებული შედეგებით, ქვეყნის მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ ძირითადი საქმიანობის მიხედვით 1 მილიონ 218,2 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 10,6 პროცენტით მეტია, ვიდრე 2003 წლის იანვარ-სექტემბერში.

შეიძლება ითქვას, რომ 2004 წლის ცხრა თვეში წარმოების მოცულობა გადამამუშავებელ მრეწველობაში საგრძნობლად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროს ზოგიერთი საქმიანობის სახეობაში ადგილი ჰქონდა წარმოების მოცულობის ვარდნას. კერძოდ, შემცირდა კირის, სამხერხაო, სარანდავი წარმოება და თუჯის ჩამოსხმა. ამასთან, რვა პროცენტით შემცირდა წარმოების მოცულობა სამთო-მოპოვებით მრეწველობასა და კარიერების დამუშავებაში.

რაც შეეხება ზრდის ტენდენციას, მიმდინარე წლის ცხრა თვის ოფიციალური მონაცემებით მატება მრეწველობის შემდეგ სფეროებში აღინიშნება: დამამუშავებელ მრეწველობაში – 16,7 პროცენტით, კერძოდ ხორცის პროდუქტების – 110,9 პროცენტით, დისტილირებული ალკოჰოლური სასმელების – 88,6 პროცენტით, მარცვლეულის გადამუშავების პროდუქტების – 79,5 პროცენტით, ლუდის – 48,8 პროცენტით, რძის პროდუქტების – 37,0 პროცენტით, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება-კონსერვირების – 35,3 პროცენტით, მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების – 26,1 პროცენტით, თამბაქოს ნაწარმის – 74,2 პროცენტით, წიგნების – 79,9 პროცენტით, სამრეწველო აირების – 143,9 პროცენტით, ბეტონის ნარევების – 83,4 პროცენტით, ნავთობის გამოხდის პროდუქტების – 168,6 პროცენტით, მედიკამენტების – 67,1 პროცენტით, პლასტმასის – 48,2 პროცენტით, მინისა – 24,2 პროცენტით და რეზინის ნაწარმის – 29,2 პროცენტით, ლითონის მზა ნაკეთობების – 37,6 პროცენტით, თაბაშირის – 72,2 პროცენტით, ცემენტის – 30,6 პროცენტით წარმოებაში, ფოლადის ჩამოსხმაში – 32,9 პროცენტით. რაც შეეხება ელექტროენერგიის წარმოება-განაწილებას და აირითა და წყლით მომარაგებას, აქ ზრდის მაჩვენებელი 4,3 პროცენტით დაფიქსირდა.

# შესყიდვების სააგენტო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს აირჩევს

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დღეს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს აირჩევენ. როგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში აცხადებენ, დღეისათვის დაგეგმილია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, რომელზეც თავმჯდომარის არჩევნები გაიმართება. გარდა ამისა, დღის წესრიგის მიხედვით, დღევანდელ სხდომაზე სააგენტოში მოსალოდნელი ცვლილებებიც განიხილება. აღსანიშნავია, რომ ხუთკაციანი სამეთვალყურეო საბჭო საქართველოს პრეზიდენტმა 2004 წლის 4 ოქტომბერს დაამტკიცა. მის შემადგენლობაში სახელმწიფო სტრუქტურების და არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა მასმედიის წარმომადგენლები შედიან. *24 საათი*

GIPA
Georgian Institute of Public Affairs

აბიტურიენტთა საყურადღებოდ !!!

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით ამა წლის 27 ოქტომბერს, 4 საათზე ატარებს

ღია კარის დღეს

მისამართი: ქ. თბილისი, მარი ბროსეს ქ.N2. ტელ: 931466, 934346, 932201

# საბიუჯეტო ოფისი 2005 წლის ბიუჯეტის პროექტით უკმაყოფილოა

*2005 წლის ბიუჯეტის პროექტის ხმაურიან განხილვაში პარლამენტის საბიუჯეტო ოფისიც ჩაერთო. საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული დასკვნა, ისევე, როგორც რომან გოცირიძის ხელმძღვანელობისას, მთავრობის წისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს. "24 საათს" დღეს საბიუჯეტო ოფისის (ხარჯების განყოფილების უფროსის მარინე მუჩიაშვილისა და ხარჯების განყოფილების წამყვანი სპეციალისტის ელზა კუსრაშვილის) მიერ 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის ფრაგმენტების გამოქვეყნების საშუალება აქვს. ამასთანავე, უახლოეს მომავალში შევეცდებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მთავრობის წარმომადგენლების პოზიციებიც შემოგთავაზოთ.*

სოფო ოხანაშვილი

### 2005 წლის ბიუჯეტით პრიორიტეტული სფეროების დაფინანსება მცირდება

დასკვნის ავტორთა ინფორმაციით, "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტში ხარჯების მოცულობა 2 105,9 მილიონი ლარითაა განსაზღვრული, რაც წინა წლის გეგმას 179,8 მილიონი ლარით, ანუ 9,3 პროცენტით აღემატება. საბიუჯეტო ოფისის დასკვნით, 2005 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ზრდა სრულად არ შეესაბამება ქვეყანაში ამ მიმართულებით არსებულ პოტენციურ შესაძლებლობებს.

დასკვნის ავტორთა ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მიერ 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად პრიორიტეტებად გამოცხადებულია სოციალური სფეროს დარგები, წინა წლების დავალიანებების დაფარვა და თავდაცვის სფერო, რეალურად სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში ამ სფეროების დაფინანსების წილი პროექტის მიხედვით ასე გამოიყურება: განათლების ხარჯების წილი 3 პროცენტია, რაც 2002 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1,2 პროცენტული პუნქტით დაბალია, ჯანმრთელობის ხარჯების წილი 6,3 პროცენტს შეადგენს, რაც 2002 წლის მაჩვენებელს 0,3 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება, ხოლო სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს ხარჯები მთლიანი ხარჯების მხოლოდ 20 პროცენტია, რაც 2002 წლის მაჩვენებელზე 2,1 პროცენტით ნაკლებია.

პროექტით ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის წილი 2002 წლის მაჩვენებელთან შედარებით 7,1-დან 2,3 პროცენტამდე მცირდება. რასაც საბიუჯეტო ოფისი ხარჯების შიდადარგობრივ სტრუქტურაში დადებით მოვლენად მიიჩნევს.

2002 წელთან შედარებით, 2005 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თავდაცვის ხარჯების წილის გაზრდა 4,4-დან 6,6 პროცენტამდე, სათბობ-ენერგეტიკის - 3,9-დან 6,7 პროცენტამდე, სოფლის მეურნეობის - 2,3-დან 2,9-მდე, გარემოს დაცვის - 0,6-დან 1,1-მდე. ასევე, მნიშვნელოვნადაა (23,4-დან 27,4 პროცენტამდე) გაზრდილი ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნება ძირითად განყოფილებებს. ეს ბიუჯეტის ყველაზე დიდი მუხლია, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ვალების დაფარვას მოხმარდება.

სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით გათვალისწინებული ხარჯები მნიშვნელოვნად ჩამორჩება არა მარტო OECD-ის, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებსაც კი. შედარებისათვის, **განათლების ხარჯები** 2000 წლის მონაცემების მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა: ჩეხეთში-190 დოლარს, უნგრეთში-183, პოლონეთში-68, სლოვაკეთში-146 და ა. შ. OECD-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი კი - 1750 დოლარს, საქართველოში - 11 დოლარს, დსთ-ს 7 ულარიბესი ქვეყნის (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ყირგიზეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი. უზბეკეთი) - საშუალო შეწონილი მაჩვენებელი - 19 დოლარს. 2005 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით საქართველოში **განათლების სფეროს** დაფინანსების მაჩვენებელი, 2000 წლის შესაბამის მაჩვენებელს 36 მილიონი ლარით აღემატება, თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, აღნიშნული ხარჯები ერთ სულზე მხოლოდ 7,8 აშშ დოლარის ფარგლებში იქნება. ასევე, მნიშვნელოვნად დაბალი რჩება **ჯანდაცვის სფეროს** დაფინანსების დონე. 2005 წლის პროექტის მიხედვით ეს მაჩვენებელი მხოლოდ 17 დოლარს მიაღწევს. OECD-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი ერთ სულზე 2000 წელს 1800 აშშ დოლარს შეადგენდა. რაც შეეხება **სოციალური სფეროს სხვა დარგებს (პენსიები და სხვა სოციალური დაცვა)** თუ OECD-ის ქვეყნებში 2000 წლის მონაცემების მიხედვით ერთ სულზე 2100 აშშ დოლარზე მეტი მოდიოდა, პროექტის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ სფეროს დაფინანსებისათვის ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 53 აშშ დოლარია გათვალისწინებული.

### ფონდების გაუქმებით ხარჯების განკარგვა გაუმჭვირვალე გახდება

დასკვნის თანახმად, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით უქმდება სპეციალური სახელმწიფო ფონდები. ფონდებზე დაკისრებული სამუშაოების უაღრესად დიდი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელი ხდება აღნიშნულ ხარჯებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება და შესაბამისი სამინისტროებისათვის განკუთვნილი დაფინანსებიდან ამ ხაზით გასაწევი ხარჯების ცალკე გამოყოფა და ანალიზი.

2005 წლის ბიუჯეტის პროექტში სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდზე გეგმით გათვალისწინებულია 377,4 მილიონი ლარი, რაც 41,4 მილიონი ლარით ანუ 12,3 პროცენტით აღემატება 2004 წლის საგეგმო მაჩვენებელს. სამინისტროს შემადგენლობაში ფონდის გაერთიანებამ მნიშვნელოვნად გაზარდა სამინისტროს დაფინანსება და ფონდის ხარჯებმა მისი მთელი ასიგნებების 76,5 პროცენტი შეადგინა. ფონდის ძირითად დანიშნულებად კვლავ რჩება ყველა კატეგორიის პენსიონერთა უზრუნველყოფა პენსიებით, ამიტომ მასში პენსიებზე ფონდის მთელი ხარჯების 70 პროცენტი მოდის. მათ შორის: ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა პენსიებზე მოდის - 15 პროცენტი, ხოლო დანარჩენ პენსიებზე - 84 პროცენტი. ეს ნიშნავს, რომ საპენსიო უზრუნველყოფაზე გამოყოფილი სახსრების ძირითადი ნაწილი, საერთოდ გაურკვეველია თუ რა სახის პენსიებზე გაიცემა, რაც თავის მხრივ აუცილებლად შექმნის მისი არამიზნობრივი ხარჯვის შესაძლებლობებს, იმ პირთა შეხედულებებისამებრ, რომელთაც თანამდებობრივად ევალებათ მისი განკარგვა. საბიუჯეტო ოფისის მტკიცებით, ბიუჯეტის პროექტში სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი პენსიების ყველა არსებულ სახეობათა ზუსტი ჩამონათვალი შესაბამისი თანხის მითითებით.

საქართველოს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის გაუქმების შემდეგ ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის, ასევე მასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემების გადასაჭრელად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურაში გაჩნდა დასაქმებისა და სოციალური დახმარებების სამსახური, რომლისთვისაც გამოყოფილია 66,5 მილიონი ლარი. მათ შორის: დასაქმებისა და სოციალური დახმარებების სამსახურის ადმინისტრაციის ხარჯებზე - 5 მილიონი ლარი, ხოლო დასაქმებისა და სოციალური დახმარებების პროგრამაზე - 61,5 მილიონი ლარი. დასაქმებისა და სოციალური დახმარების პროგრამის ამოცანაა უკიდურესი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარება, რაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტადაა აღიარებული. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, ამ ამოცანის შესრულება გაძნელდება შესაბამისი მყარი კრიტერიუმების შემუშავების გარეშე, რომლის მიხედვითაც უნდა დადგინდეს ოჯახების ზუსტი რაოდენობა, რომლებიც საჭიროებენ ამგვარ დახმარებას. საბიუჯეტო ოფისის განმარტებით, დასაქმებისა და სოციალური დახმარებების პროგრამა არავითარ ინფორმაციას არ იძლევა თუ რამდენი მოხმარდება სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის საჭირო ფულად დახმარებებს და რა ნაწილი წავა სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაზე. მაგალითად, უმუშევრობის პრობლემის მოგვარებაზე. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემის გადაჭრის გარეშე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არათუ კარდინალური, არამედ გარკვეულ დონემდე გაუმჯობესებაც კი შეუძლებელია.

კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ფონდის ადმინისტრაციის ხარჯები, რომელიც ფონდის გაუქმების შემდგომ კი არ მცირდება, არამედ იზრდება. ასეთ შემთხვევაში ფონდის გაუქმება, თუ მას თან არ ახლავს ხარჯების შემცირება, აზრს კარგავს.

2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით სახელმწიფო საგზაო ფონდის ასიგნებები განსაზღვრულია 46,7 მილიონი ლარით ანუ 2004 წლის საგეგმო პარამეტრებთან შედარებით თითქმის 20 მილიონი ლარით ნაკლებით. სხვა საქონელსა და მომსახურეობაზე გაწერილია 19,9 მილიონი ლარი, ხოლო კაპიტალურ ხარჯებზე 26,8 მილიონი ლარი. პროექტში, მართალია არსებობს საგზაო ფონდის შესასრულებელ სამუშაოთა სრული ჩამონათვალი, მაგრამ 2005 წლის გასწვრივ ყველა გრაფაში ჩაწერილია "0". ეს ნიშნავს, რომ საგზაო ფონდის მიერ გასატარებელ ღონისძიებებზე არ არის განსაზღვრული თუ რა ოდენობის თანხები უნდა დაიხარჯოს.

საბიუჯეტო ოფისის დოკუმენტის ბოლოში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საბიუჯეტო სახსრების არასაკმარისი გამჭვირვალობა აუცილებლად წარმოშობს ქვეყანაში ქაოტური და უკონტროლო ხარჯვის პროცესის დამკვიდრებას, რაც უაღრესად უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ისედაც შეზღუდული რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე.

# ხელისუფლება რუს ხალხს საჩუქარს უკეთებს და „ოპოზიციას" თავად ქმნის

პირველი გვერდიდან

როგორც ჩანს, საკუთარი ხალხის საჭიროებების გათვალისწინებით, ხელისუფლებამ თავად გადაწყვიტა, რომ ამჟამინდელი სახელისუფლებო პარტიის ოპოზიცია შეექმნა. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ლიბერალური სახელისუფლებო პარტიის შექმნის პროექტი უკვე მომზადებულია. თავისი არსით, აღნიშნული სტრუქტურა ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული "ედინაია როსიას" და მემარცხენე-ნაციონალისტური "როდინას" ბალანსად უნდა იქცეს.

სახელმწიფო დუმის აპარატის ერთ-ერთი ანონიმი წარმომადგენლის ინფორმაციით, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ახალი პრო-კრემლური პარტიის შექმნაზე მუშაობა პრაქტიკულად დაასრულა. მეტიც, ქვეყნის 57 ოლქში უკვე მისი რეგიონული ორგანიზაციებიც არის შექმნილი.

ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენის აუცილებლობა, პირველ რიგში, "ედინაია როსიას" რეიტინგის დაცემით არის განპირობებული. ამავე დროს, მან თავი ვერ გაართვა მის უმთავრეს ამოცანას - გამხდარიყო სრულყოფილი მმართველი პარტია, რომელიც, იდეოლოგიური თვალსაზრისით, საზოგადოების თითქმის მთელ სპექტრს (ულტრა-მემარჯვენეებისა და ულტრა-მემარცხენეების გარდა) თავისი განშტოებების მეშვეობით მოიცავდა.

პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილის, ალექსეი მაკარკინის აზრით, თუ პროექტი განხორციელდება, ეს არ ნიშნავს, რომ ახალი პარტია "ედინაია როსიას" შეცვლის. "დომინანტური პოლიტიკური ძალის თვალსაზირისით "ედინოროსები" საჭირონი არიან. მაგრამ, მათთან ერთად უნდა არსებობდეს ლიბერალთა პარტიაც, რომელიც დასავლეთსა და შიდა რუსულ ოპოზიციას არასაკმარისი თავისუფლებისათვის ხელისუფლების კრიტიკის საფუძველს მოაკლებდა", - აღნიშნა მაკარკინმა.

წინასწარი ინფორმაციით, კრემლის ლიბერალური პარტიის მთავარი მოქმედი პირები სამთავრობო ჩინოვნიკები გახდებიან. მათ შორის უნდა გამოიყოს ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრი გერმან გრეფი, ფინანსთა მინისტრი ალექსეი კუდრინი და საანგარიშო პალატის თავმჯდომარე სერგეი სტეპაშინი. ამასთან დაკავშირებით, დიდ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ რამდენიმე დღის წინ ალექსეი კუდრინმა საკმაოდ მკვეთრად განაცხადა უარი "ედინაია როსიას" პარტიულ ბილეთზე და აღნიშნულ პარტიაში შესვლის თაობაზე მის მიერ რაიმე განცხადების გაკეთება საერთოდ უარყო.


დმიტრი როგოზინი.


ბორის გრიზლოვი.


ირინა ხაკამადა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამად კი არჩევნების დამოუკიდებელი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ალექსანდრ ივანჩენკო მიიჩნევს, რომ მოქმედი სახელისუფლებო პარტიის ჩინოვნიკების ბაზაზე ახალი პროექტის განხორციელება შეუძლებელია. "უკვე მომწიფდა პოლიტიკური სისტემის მთლიანად შეცვლის აუცილებლობა და ამისათვის არა "ბელადური" ტიპის პარტიის, არამედ პოლიტიკური პროცედურების პარტიის არსებობა გახდა საჭირო", - განაცხადა ივანჩენკომ.

კრემლის გეგმები ნათელყოფს, რომ რუსეთის ხელისუფლება თავისუფალ კონკურენციას ვერ უძლებს და პარტიის ქვემოდან ფორმირების იდეას ვერ ეგუება. როგორც რადიოსადგურ "ეხო მოსკვი"-სთან ინტერვიუში "კომიტეტი-2008"-ს თანათავმჯდომარემ და მემარჯვენე ძალთა კავშირის ყოფილმა ლიდერმა ირინა ხაკამადამ განაცხადა, ის მოვლენათა ამგვარ განვითარებას ადრევე მოელოდა.

"მე მშვენივრად მესმოდა, რომ "ედინაია როსია" ვერ პასუხობდა პრეზიდენტ პუტინის მთავარ მიზანს: ავტორიტარული ძალაუფლების შექმნასთან ერთად განევითარებინა საბაზრო ეკონომიკაც. ამიტომ, სავარაუდო იყო, რომ კრემლი "ედინაია როსია"-ს მხარდამხარ მემარჯვენე ფრთასაც შექმნიდა," - განაცხადა ხაკამადამ.

მისი თქმით, მან ადრევე შესთავაზა მემარჯვენე ძალთა გაერთიანებას ამ ნიშის დაკავება. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მემარჯვენეებს ეს არ გამოუვიდათ, ხოლო კრემლი არ ენდობა არავის, ვინც ხელისუფლებაში არ იმყოფება. "ამდენად, კუდრინის, გრეფის, ილარიონოვისა და სხვა პირების, მათ შორის, პაველ კრაშენინიკოვის დახმარებით, შესაძლოა, მსგავსი მემარჯვენე ფრთა შეიქმნას," - განაცხადა ხაკამადამ.

ეროვნული სტრატეგიის საბჭოს თავმჯდომარემ სტანისლავ ბელკოვსკიმ ახალი ინიციატივის კომენტირებისას განაცხადა, რომ აღნიშნული მემარჯვენე პროექტის არსებით პერსპექტივებს ის ვერ ხედავს.

"დღეს მხოლოდ იმ სტრუქტურას შეუძლია რეალურად მოქმედი პარტია გახდეს, რომელიც პირდაპირი პოლიტიკური ტექნოლოგიების - გაფიცვების, მიტინგებისა და პიკეტების - ათვისებას შეძლებს. პარლამენტის კედლებში ვერავითარი პარტია ვერ იარსებებს, ხოლო გუბერნატორების არჩევითობისა და მაჟორიტარულ ოლქებში არჩევნების ლიკვიდირება იმაზე მეტყველებს, რომ რეგიონულ დონეზე პარტიული ცხოვრება, ტრადიციული გაგებით, უნდა დასამარდეს.

# სანამ ბელორუსთა სახლებში სითბოა...

*ჯორჯ ბუშმა ბელორუსის წინააღმდეგ სანქციები აამოქმედა და ალექსანდრ ლუკაშენკოს პირველად, ღიად უწოდა დიქტატორი. აქამდე, მსგავსი ეპითეტებით ოფიციალური ვაშინგტონი მხოლოდ სადამ ჰუსეინისა და ფიდელ კასტროს მსგავს ფიგურებს იხსენიებდა. "იმ დროს, როცა მსოფლიოში ყველგან თავისუფლება მტკიცდება, ალექსანდრე ლუკაშენკო და მისი მთავრობა ცდილობენ, ბელორუსი ევროპის შუაგულში რეპრესიულ რეჟიმად გადააქციონ. ერთიან და თავისუფალ ევროპაში ასეთ რეჟიმს არსებობის უფლება არ აქვს", - განმარტავს მიზეზს ჯორჯ ბუში. "ბელორუსის მომავალი არა დიქტატორის, არამედ სტუდენტების, პროფკავშირების, სამოქალაქო და რელიგიური ლიდერების, ჟურნალისტების, საერთოდ ბელორუსის მოქალაქეთა ხელში უნდა იყოს", - ნათქვამია აშშ-ს პრეზიდენტის წერილობით განცხადებაში.*

ჯორჯ ბუშის ხელმოწერით, ძალაში შევიდა, ჯერ კიდევ ოქტომბრის დასაწყისში კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მიერ მომზადებული "2004 წლის აქტი ბელორუსიაში დემოკრატიის შესახებ", რომელიც ამ ქვეყნის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას ითვალისწინებს. ახლა, დოკუმენტის თანახმად, ბელორუსია აშშ-სგან ვერანაირ დახმარებას ვერ მიიღებს, გარდა ჰუმანიტარულისა. ვაშინგტონმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არ ცნობს ბელორუსში ახლახანს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებსა და რეფერენდუმს და მინსკისგან ხელახალი, ამჯერად "თავისუფალი და სამართლიანი" ხმის მიცემის გამართვას მოითხოვს. ოფიციალური მინსკის კრიტიკით გამოვიდა ევროკავშირიც. ხავიერ სოლანას მიერ გახმოვანებული ორგანიზაციის პოზიცია თითქმის არაფრით განსხვავდება ამერიკელებისგან – "რასაკვირველია, ამ არჩევნებს ვერ დაარქმევ დემოკრატიულსა და თავისუფალს", - აცხადებს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კომისარი.

ბელორუსს არასოდეს უმართლებდა. ამ ქვეყნის მოსახლეობის მესამედი მეორე მსოფლიო ომის დროს დაიღუპა, მანამდე ლენინ-სტალინის რეპრესიებმაც მოსახლეობის არანაკლები რაოდენობა შეიწირა. გასული საკუნის 80-იანი წლებიც არ ყოფილა მშვიდობიანი. უკრაინასთან ერთად, ბელორუსი ყველაზე მეტად დაზარალდა ჩერნობილის ატომურ სადგურზე მოხდარი ავარიის გამო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანა დამოუკიდებელი გახდა და აღმოსავლეთ ევროპის ათმილიონიან ქვეყანას შესაძლებლობა ჰქონდა, აღმავლობა დაეწყო, მაგრამ 1994 წელს სათავეში ყოფილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსანდრ ლუკაშენკო მოვიდა. მისი მმართველობის ათმა წელიწადმა ქვეყანას, ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის ნაცვლად, ისევ რუსეთთან გაფორმებული სამოკავშირეო ხელშეკრულება და დასავლეთის მძაფრი რეაქციები მოუტანა. საერთოდ, პოლიტიკოსები გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ პოლიტიკიდან უნდა მიდიოდნენ. მაგრამ, თურმე, არა ბელორუსში – გასული კვირას ჩატარებულმა არჩევნებმა და მასთან ერთად გამართულმა რეფერენდუმმა დაამტკიცა, რომ ლუკაშენკო ბელორუსის მუდმივი "თანმდევი აჩრდილი" იქნება. ბელორუსის მმართველმა გადაწყვიტა, რომ ათწლიანი მმართველობა თურმე საკმარისი არ არის.

ბელორუსის გარეთ ლუკაშენკოს ყველაზე ხშირად ექსცენტრიულ, მაგრამ უწყინარ მასხარად აღიქვამდნენ. სამწუხაროდ, თანამემამულეებისთვის იგი არცთუ უწყინარი იყო. "რა თქმა უნდა ლუკაშენკო სტალინი არ არის, - ამბობს ერთ-ერთი ოპოზიციონერი ანატოლი ლებედკო, - მაგრამ მის იდეოლოგიურ შთამომავლად თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს". სხვათა შორის იდეოლოგიურ ნათესაობის დასტურად ისიც გამოდგება, თუ როგორ ტარდება ბელორუსში არჩევნები. "არჩევნებში იმარჯვებს ის ვინც შედეგებს ითვლის", - გამონათქვამი, რომლის ავტორობასაც სტალინს მიაწერენ, სრულად არის რეალიზებული ლუკაშენკოს მიერ. ბელორუსში (ისევე როგორც პოსტსაბჭოური ქვეყნების უმრავლესობაში) ხმის დათვლის პროცესს გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თავად არჩევნებს. შედეგად 17 ოქტომბრის არჩევნებში ვერც ერთმა ოპოზიციურმა ძალამ ვერ მოახერხა წარმატების მიღწევა. 110 ადგილიდან ბელორუსის პარლამენტში მათ ერთიც ვერ მიიღეს.

სანამ ბელორუსთა სახლებში სითბოა, ხელფასები იზრდება (თუნდაც რეფერენდუმის წინ) ლუკაშენკო ქვეყნის სათავეში დარჩება. გააგრძელებს რუხი, აპათიური, საბჭოური ნოსტალგიით შეპყრობილი მასის მართვას. დამკვირვებელთა აზრით, ლუკაშენკოს "ქვეშევრდომთა" უმეტესობა სწორედ ასეთია, სხვანაირები აქ ვერ იცხოვრებენ.

ისინი კი, ვინც არ არის თანახმა "საბჭოთა ნაკრძალში" ცხოვრებაზე, ქუჩაში გამოდის. ძირითადად, ეს ახალგაზრდული ოპოზიციური მოძრაობებია, რომლებიც ლუკაშენკოს გადადგომასა და 17 ოქტომბრის შედეგების გაუქმებას ითხოვდნენ.

რეალობა ასეთია: ბელორუსში ქუჩის დემოკრატია სასტიკად ისჯება, ამიტომაც გარეთ, პროტესტის ნიშნად გამოსულთა რიცხვი ძალიან მცირეა და სერიოზული ძვრების მისაღწევად საკმარისი არ არის.

ქუჩის აქციების წარმატებაში ეჭვი ეპარებათ თავად ოპოზიცური პარტიების წარმომადგენლებს, ამიტომ ცოტაოდენი ხმაურის შემდეგ, მას შემდეგ რაც რამდენიმე ოპოზიციონერი ცემეს, ოპოზიციამ გადაწყვიტა, რომ მიტინგები შედეგს ვერ გამოიღებდა. აშკარაა, დემოკრატიის წარმატებას მინსკის ქუჩებში გაცილებით სერიოზული მომზადება დასჭირდება.

რა შეუძლია ამ სიტუაციაში დასავლეთმა მოიმოქმედოს? ბუშმა ლუკაშენკო "დიქტატორის" ეპითეტით შეამკო, რითაც აშკარად გამოხატა თეთრი სახლის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ბელორუსში მიმდინარე პროცესების მიმართ. ამოქმედდა სანქციებიც – ბელორუსში დასავლური ფინანსები აღარ შევა. გამორიცხული არ არის, დასავლეთმა და უპირველესად აშშ-მ ამ ქვეყანში დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა, მათ შორის ფინანსურიც, სერიოზულად გაზარდოს. ეს იქნება მაქსიმუმი, - სხვას დასავლეთი ვერაფერს გააკეთებს. დანარჩენი ბელორუსის მოსახლეობაზეა დამოკიდებული.

ჯერჯერობით კი, ბელორუსმა ნებაყოფლობით თქვა უარი სრულფასოვან ევროპულ ქვეყნად ჩამოყალიბების შანსზე და ამაში, პირველ რიგში, მისი მოსახლეობის უმრავლესობაა დამნაშავე, რომელმაც ლუკაშენკოს სახელობის განვითარებული სოციალიზმი არჩია. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ უახლოეს მომავალში ლუკაშენკოს რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობას საფრთხეს არა დასავლეთი და მის მიერ მხარდაჭერილი ბელორუსი ოპოზიციონერები, არამედ ისევ პუტინი შეუქმნიდა. რუსეთში კი, ლუკაშენკოს კვლავაც მასხარად მიიჩნევენ, მაგრამ მაინც გამოსადეგ მოკავშირედ აღიქვამენ. ბელორუსის მაგალითი ხომ ასე მაცდურია პუტინის რეჟიმისთვისაც.

# წინასაარჩევნო ეიფორია უკრაინაში

ხათუნა გაბიევი

31 ოქტომბერს უკრაინა საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისთვის ემზადება. პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის ვიქტორ იანუკოვიჩის მიმართ კრემლის ცალსახა მხარდაჭერის ფონზე დასავლეთსაც ჰყავს თავისი ფავორიტი კანდიდატი, კერძოდ, ოპოზიციური პარტიის "ნაშა უკრაინა"-ს ლიდერი ვიქტორ იუშენკო. წინასაარჩევნო ეიფორიის ფონზე, რასაც ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციონერთა და მათი ლიდერის იუშჩენკოს დისკრედიტაციის მცდელობაც ემატება, ჯერჯერობით, რთული სათქმელია, აირჩევს თუ არა უკრაინა დემოკრატიული განვითარების გზას. უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლება კი თავის მხრივ გულმოდგინედ ცდილობს, ლეონიდ კუჩმა "ღირსეულმა" მემკვიდრემ შეცვალოს. მიზნის მისაღწევად კი ოფიციალური კიევი იუშენკოსა და სხვა ოპოზიციური კანდიდატების წინააღმდეგ საგადასახადო კანონმდებლობის, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით სარგებლობის შეზღუდვას, წინასაარჩევნო ღონისძიებების ჩაშლასა და ოპოზიციურ კანდიდატებსა და მათ მომხრეებზე თავდასხმებსაც არ ერიდება. მაგალითისთვის გუშინდელი ფაქტიც გამოდგება, როდესაც დნეპროპეტროვსკის ოლქში კრივოი როგის აეროპორტში არ მისცეს დაფრენის უფლება თვითმფრინავს, სადაც ვიქტორ იუშენკო იმყოფებოდა, უარის მიზეზად კი აეროპორტში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები დასახელდა. ოპოზიციის ლიდერს ამომრჩეველთან შეხვედრა ჰქონდა დაგეგმილი. თუმცა, არასასურველი ოპონენტის თავიდან მოშორებას მავანი ჯერ კიდევ აგვისტოში შეეცადა, როდესაც იუშენკო მოწამლეს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რაც ხელს უშლის ნატო-სა და ევროკავშირში უკრაინის გაწევრიანების პერსპექტივის მოახლოებას, სწორედ ამგვარი არადემოკრატიული ქმედებები შეიძლება წარმოადგენდეს.

ქვეყანაში საშიში ტენდენციების ფონზე დასავლეთი მზადაა, დახმარება აღმოუჩინოს ერთ-ერთ ავტორიტარულ პოსტსაბჭოურ ქვეყანას, რასაც ევროკავშირის მიერ უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის 1 მლნ ევროს გამოყოფაც ადასტურებს. აღნიშნული თანხა საკუთარი კონსტიტუციური უფლებების შესახებ ელექტორატის უკეთ ინფორმირების მიზნით გამოიყო. ევროკავშირის ხელშეწყობით დაიბეჭდა ასევე "უკრაინის პრეზიდენტის არჩევის" კანონის 150 000 ეგზემპლარი. თუმცა, უკრაინის საარჩევნო კომიტეტის ხელმძღვანელის იგორ პოპოვის განცხადებით, არჩევნებისთვის საარჩევნო უბნები მაინც არასათანადოდაა მომზადებული. კომიტეტის შეფასებით, საარჩევნო უბნების ნახევარი მოქმედი კანონმდებლობის ნორმებს არ შეესატყვისება. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას კი იძლევა ის ფაქტი, რომ მონიტორინგის დროს საარჩევნო უბნების 20 პროცენტი გამოუსადეგარია არჩევნების სამართლიანად ჩატარებისთვის. ასეთი საარჩევნო უბნები, რომლებიც კვორუმის პრობლემას ქმნიან, "შავ ხვრელად" იწოდებიან. საეჭვოა საარჩევნო სიების ნამდვილობაც, რადგან აღნიშნულ სიაში შეტანილი ელექტორატის 5 პროცენტი "მკვდარი სულია". არჩევნების დიდი დარღვევებით ჩატარების საფრთხეზე მეტყველებს უკრაინის საზღვრებს გარეთ საარჩევნო უბნების გახსნის პროცესიც, ჯერ მარტო რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე 400 უბანი უნდა გაიხსნას, ჯერჯერობით კი მომზადებულია მხოლოდ 123, დამატებითი საარჩევნო უბნების მომზადების ვადა კი ხვალ იწურება.

მასმედიაზე უკრაინისა და რუსეთის ხელისუფლების მიერ მკაცრი ცენზურის განხორციელების პირობებში ყურადღებას იქცევს უკრაინულ საინფორმაციო სააგენტოზე "ობოზრევატელ"-ზე გამოქვეყნებული წერილი რედაქციისადმი, რომლის ავტორიც რიგი ფაქტორების გამო ანონიმად დარჩენას ამჯობინებს. ავტორის თქმით, იგი რუსეთის მოქალაქე და უკრაინაში მყოფი ერთ-ერთი ექსპერტთაგანია, რომელიც წინასაარჩევნოდ სხვადასხვა იდეისა და პროექტის შეფასების მიზნითაა მიწვეული. ანონიმი ავტორი ახმაურებს ერთ-ერთ პროექტს, სათაურით "შემუშავება", რომელიც 31 ოქტომბერს, არჩევნების დღეს დონბასში საარჩევნო უბნებზე ტერაქტების განხორციელებას ითვალისწინებს. ტერაქტების მიზანი არჩევნების მეორე ტურისთვის ოპოზიციური ძალების დისკრედიტირება და ძალადობის მათთვის გადაბრალებაა. სავარაუდოდ, ამას საზოგადოებაში იუშჩენკოს წინააღმდეგ ისტერია და ოპოზიციონერთა მასობრივი დაპატიმრებები უნდა მოჰყვეს. ტერაქტი შესაძლოა იუშჩენკოს შტაბის ე.წ. სპეცქვეგანყოფილებას ან სულაც უკრაინაში იანუკოვიჩის წინააღმდეგ მოქმედ საზოგადოებრივ კამპანიას "პორა" დაბრალდეს. იმისათვის, რომ დონბასში განვითარებული მოვლენები დამაჯერებლად გამოიყურებოდეს, სამართალდამცავი ორგანოები უკვე "პოულობენ" ასაფეთქებელ მოწყობილობებს "პორა"-ს ცენტრალურ ოფისში.

არჩევნებში იანუკოვიჩის გამარჯვებას, რასაკვირველია, მოჰყვება ოპოზიციონერთა პროტესტი, რომლის ჩახშობასაც ხელისუფლება არ მოერიდება, ვარაუდობს გავლენიანი ბრიტანული გაზეთი "ფაინენშლ თაიმსი". ამგვარი ვარაუდის საფუძვლიანობას კი რუსულ გაზეთთან "ვრემია ნოვოსტეი" კიევის მილიციის მაღალჩინოსნის ალექსანდრ მილენინის ინტერვიუც ადასტურებს. "არავითარი რევოლუცია არ მოხდება. ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი მოულოდნელობისთვის. ჩვენ საკუთარი "ნინძა" – ცოტა ხნის წინ შექმნილი ქვეგანყოფილებაც გვყავს. გარდა ამისა, ჩვენ აღჭურვილი ვართ ახალი საშუალებებით, რომლებზედაც დეტალურად საუბრისაგან თავს შევიკავებ. მხოლოდ ვიტყვი იმას, რომ მისი გამოყენება ნებადართულია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ. გარწმუნებთ, იგი მოქალაქეთა ჯანმრთელობისთვის სახიფათო არ არის," - აცხადებს მილენინი.

უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლების სერიოზული შეშფოთება გამოიწვია პრეზიდენტის ყოფილი პირადი მცველის ნიკოლაი მელნიჩენკოს ავანსცენაზე ხელმეორედ გამოჩენამაც. მან, როგორც ცნობილია, საჯარო განხილვის თემად საიდუმლო ჩანაწერები პირველად 2000 წელს აქცია, სადაც კუჩმა და მთელი რიგი სახელმწიფო მოხელეები კორუფციასა და სხვა მძიმე დანაშაულებში დაადანაშაულა. 2001 წლიდან კი პოლიტიკური თავშესაფარი მან აშშ-ში ჰპოვა. მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს ვარშავაში გამართულ პრესკონფერენციაზე მან ხელმეორედ წარადგინა საჯაროდ ლეონიდ კუჩმასა და პრემიერ-მინისტრ ვიქტორ იანუკოვიჩს შორის გამართული საუბრების ფრაგმენტები. გარდა იმისა, რომ ამ ჩანაწერებში პრემიერ-მინისტრი უმაღლეს რადაში პარტია "ბატკივშინადან" დეპუტატთა გადმობირების მცდელობის შესახებ საუბრობს, არ ივიწყებს ისედაც შევიწროებული მასმედიის კიდევ უფრო გამკაცრებული კონტროლის შესახებ ერთი-ორი სიტყვის თქმასაც. იანუკოვიჩის განცხადებით, "ტოვარიშჩისა" და "კომუნისტის" გარდა ყველა გამოცემას ადმინისტრაცია აკონტროლებს, კონტროლირებადი ბეჭვდითი მედიის ტირაჟის რაოდენობა კი 1.5 მლნ ეგზემპლარს შეადგენს. ჟურნალისტებთან მუშაობის მეთოდებს რაც შეეხება, დონბასელი ოლიგარქი კუჩმას თვინიერ ჟურნალისტებთან თანამშრომლობას, ხოლო ურჩების დასჯას სთავაზობს. პრესკონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ასევე 1999 წლის ჩანაწერიც, სადაც იანუკოვიჩი კუჩმას საპრეზიდენტო კამპანიისთვის ბიზნესმენთა მოზიდვის აუცილებლობაში არწმუნებს, ხოლო ოპოზიციის დამფინანსებელი ბიზნესმენებისთვის ანგარიშის გასწორებას ურჩევს. გაღიზიანებას აორმაგებს ისიც, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ ნიკოლაი მელნიჩენკოს სასარგებლოდ გამოიტანა განაჩენი და სამოქალაქო უფლებების დარღვევისათვის უკრაინას კომპენსაციის სახით 5 000 ევროს გადახდა დააკისრა.

**მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციამ გამოსცა სახელმძღვანელო სათემო ორგანიზაციებისათვის**

სათემო ორგანიზაციები და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, ადგილობრივი გადასახადები, საერთო სარგებლობის მიწებისა და ბუნებრივი რესურსების მართვა, მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, მედიაცია და კერძო არბიტრაჟი - ***თქვენთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაცია.***

**წიგნს უფასოდ მიიღებთ ასოციაციის ცენტრალურ და რეგიონალურ ოფისებში:**

**თბილისი, გაგარინის I შესახვევი N8. 8 (22) 912 159, 931 969.**
**ელფოსტა: offise@aplr.org; www. aplr.org**
**ქუთაისი, წმინდა ნინოს ქ. N7. 8 (231) 4 14 60**
**899 587 094, მერაბ ბარათაშვილი**
**გურჯაანი, რუსთაველის ქ. N4. 8 (253) 2 21 67**
**899 271 912, სოსო სულაშვილი**
**ახალციხე, რუსთაველის ქ. N26. 8(265) 2 12 23**
**899 584 879, თემურ ალთუნაშვილი**
**ბათუმი, ლერმონტოვის ქ.N14, მე-2 სართული, ბინა 7.**
**8(88 222) 3 08 26, 899 506 858 ჯემალ ცეცხლაძე**
**თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N12.**
**899 532 096 კარლო ონიანი**

# საგურიო ტანდემი

*"ჩოხატაურის ყოფილი გამგებელი გია ცინცაძე და კიდევ რამდენიმე გავლენიანი პიროვნება გურიაში ხე-ტყის ბიზნესიდან მილიონებს შოულობდნენ. ამიერიდან არც ერთ კერძო ფირმაზე არ გაიცემა ტყითსარგებლობის ნებართვა, თუკი ის კონკრეტულ ბიზნეს-გეგმას არ წარადგენს. ამ მიმართულების ახალი პროექტის თანახმად, დასაქმდება მოსახლეობა და მოგებას ნახავს სახელმწიფო", – ეს განცხადება გუშინ სატყეო დეპარტამენტში მისულმა გურიის ახალმა გუბერნატორმა ჟანი კალანდაძემ გააკეთა.*

თამარ დვალი

მას შემდეგ, რაც გურიას ახალი გუბერნატორი ჰყავს, 1000 კუბურ მეტრამდე უკანონოდ მოჭრილი და გასატანად გამზადებული ხის მასალა აღმოაჩინეს. თითო კუბური მეტრის ღირებულება, დაახლოებით, 150 ამერიკული დოლარია. რეფორმა, რომლის გატარებასაც გურიის გუბერნატორი და სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბიძინა გიორგობიანი ერთობლივად გეგმავენ, ხე-ტყის მოპოვების ლეგალიზაციას შეეხება. ამიერიდან ლიცენზიები და ნებართვები არც ერთ კერძო ფირმაზე არ გაიცემა, თუკი მათ კონკრეტული ბიზნეს-გეგმა არ ექნებათ შემუშავებული. ლიცენზიის მიღების მსურველებს რეგიონში ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროს გახსნაც ევალებათ.

**"ახალი რეფორმა რეგიონში, მინიმუმ, 1000 ადამიანს დაასაქმებს. წინა წლებთან შედარებით, ბიუჯეტში ხუთჯერ მეტი თანხა შევა და რეგიონიც ამოისუნთქავს. აქამდე ეს იმიტომ არ ხდებოდა, რომ გარკვეული კლანები ფულს მხოლოდ თვითონ "იჯიბავდნენ". ჩოხატაურში ხე-ტყის ბიზნესით ყოფილი გამგებელი გია ცინცაძე იყო დაინტერესებული. მომდევნო წლიდან არც ერთი დაუმუშავებელი მორი აღარ გავა რეგიონიდან"**, – განაცხადა გურიის გუბერნატორმა ჟანი კალანდაძემ.

თუკი აქამდე ტყეში მუშაობდნენ გაურკვეველი ჯურის ადამიანები, რომლებიც არანაირ ნორმებს არ იცავდნენ, ახლა მათ ადგილს კვალიფიციური სპეციალისტები დაიკავებენ. როგორც სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბიძინა გიორგობიანი გვპირდება, მსგავსი რეფორმა სხვა რეგიონებშიც გატარდება. გურია სიაში პირველი აღმოჩნდა, იქ არსებული მძიმე ვითარების გამო.

**"საქართველოში დიდი რაოდენობის ხის რესურსი და მისი გამოყენების ცუდი მენეჯმენტი გვაქვს. მოპოვებული ნედლეული საქართველოდან მორების სახით გაედინებოდა, ახლა მათი გადამუშავება ადგილზევე მოხდება. დღეს სახელმწიფო ხაზინაში შედის მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ფიქსირებული სანიხრე გადასახადი, რომელიც ძალიან ცოტაა. ყოველწლიურად ეს თანხა, დაახლოებით, სამ მილიონ ლარს შეადგენს. მხოლოდ ჩოხატაურის რაიონში შარშანდლიდან მოყოლებული 32 ათასი კუბური მეტრის ნებართვაა გაცემული"**, – აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ბიძინა გიორგობიანმა.

გუბერნატორის დაპირებით, მალე გურულები სიღარიბის ზღვარს დაძლევენ. ამაში კი მათ უნიკალური ხის ჯიშების სწორად გამოყენება, ნაბელღავის მინერალური წყალი და საკურორტო ადგილებიდან შემოსული თანხები დაეხმარებათ. **"აქამდე ეს ყველაფერი უსინდისო ადამიანების ხელში იყო და ამიტომაც ვერ ხეირობდნენ გურულები"**, – აგვიხსნა გუბერნატორმა.

ამჟამად უკვე არსებობს შემოთავაზება რამდენიმე ფირმისგან, რომლებიც რეგიონში ინვესტიციების ჩადებას გეგმავენ. ამის სანაცვლოდ, ისინი ტყეში ფონდის განსაზღვრას და კანონიერად მუშაობის უფლებას ითხოვენ. ის ფირმები, რომლებიც სერიოზული ინვესტორები გახდებიან, ტყით გრძელვადიანი სარგებლობის უფლებას მიიღებენ, თუმცა მათ ტყეთსარგებლობის ყველა წესის მკაცრად დაცვაც მოუწევთ.

# ამერიკელი მასწავლებლები ავრცელებენ ინგლისური ენის სწავლების მეთოდებს

საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების ინგლისური ენისა და ამერიკული სწავლების პედაგოგთა დაჯილდოების პროგრამის (TEA) ფარგლებში, სამი ამერიკელი მასწავლებელი ორი კვირით ეწვია საქართველოს.

ამერიკელი პედაგოგები – კევინ თირნეი, ჯუდით ტუნისონი და ჯეინ შაფელტონი საქართველოს ეწვივნენ ამა წლის 6 ოქტომბერს და სამშობლოში ბრუნდებიან 21 ოქტომბერს. ჯეინ შაფელტონი არის რუსული ენის პედაგოგი ქ. როჩესტერში (ნიუ-ორკის შტატი); კევინ თირნეი - ამერიკული სწავლების მასწავლებელი, ჯუდით ტუნისონი კი - სამართლისა და სახელმწიფო მართვის პედაგოგი (კალიფორნიის შტატიდან).

ინგლისური ენისა და ამერიკული სწავლების პედაგოგთა დაჯილდოების პროგრამა წარმოადგენს გაცვლით პროგრამას, რომელიც აჯილდოებს საქართველოს საუკეთესო ინგლისური ენისა და ამერიკული სწავლების პედაგოგებს რეგიონულ და ეროვნულ ეტაპებზე. რეგიონული გამარჯვებული და მათი სკოლები ჯილდოვდებიან საგანმანათლებლო სახელმძღვანელოებით და ტექნიკური პრიზით - 2000 ამერიკული დოლარით. ეროვნული ეტაპის გამარჯვებულები მონაწილეობას ღებულობენ პროფესიული განვითარების შვიდ-კვირიან პროგრამაში, რომელიც ხორციელდება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ინგლისური ენისა და ამერიკული სწავლების პედაგოგთა დაჯილდოების პროგრამა არის ორმხრივი გაცვლითი პროგრამა. არა მარტო ქართველ მასწავლებლებს შეუძლიათ ეწვიონ ამერიკულ სკოლებს – შესაბამისად, ამერიკელი მასწავლებლებიც ეწვევიან ქართულ სკოლებს.

ამერიკელ პედაგოგებს მასპინძლობა გაუწიეს ინგლისური ენისა და ამერიკული სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულებმა. მასპინძელი ქართველი მასწავლებლები იმყოფებოდნენ აშშ-ში 2004 წლის ზაფხულში. 7 კვირით მონტანაში ყოფნის დროს მათ მოინახულეს სკოლები და შეხვდნენ ხელმძღვანელობას და სტუდენტებს.

ამერიკელ სტუმრებს უმასპინძლეს ნატო ბაღავაძემ ("ახალი სკოლა", თბილისი), თამრიკო კოპაძემ (კასპის N2 საშუალო სკოლა), რუსუდან კოპალეიშვილმა (ქ.ქუთაისი, წმ. ნინოს სახელობის N3 საშუალო სკოლა) და თამარ თეზელაშვილმა (ქ. თბილისი, N59 საშუალო სკოლა). ოთხივე მასპინძელი ინგლისური ენის მასწავლებელია. ამერიკელმა მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს მრავალ საგანმანათლებლო ღონისძიებაში და დაესწრნენ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას.

ინგლისური ენისა და ამერიკული სწავლების პროგრამას აფინანსებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის კულტურისა და განათლების ბიურო.

# გადავარჩინოთ ბავშვები

FLEX-ის პროგრამის მხარდაჭერით, რომელსაც განათლებისა და კულტურული ღონისძიებების ბიურო (ECA) აფინანსებს და საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭო ხელმძღვანელობს, დღეს საგარეჯოში იმართება დიდი საქველმოქმედო კონცერტი "გადავარჩინოთ ბავშვები". შემოსული თანხა (ბილეთი 3 ლარი ღირს) კაჭრეთის ბავშვთა სახლის ბინადრების სანიტარიული და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოხმარდება. ამასთან, კონცერტს 75-ვე იქაური ბავშვი დაესწრება. ღონისძიებაში მონაწილეობენ: მერაბ სეფაშვილი, ეკა კვალიაშვილი, "ფორტე", რომა რცხილაძე, ზუკა ხუციშვილი და სხვა მომღერლები.

*24 საათი*

# სამი სპილოს ახალი ფორმები

მაკა ჭაიანი

*1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გამართულ შეხვედრაზე მსოფლიოს ქვეყნების 98 პროცენტის წარმომადგენლები იმაზე მსჯელობდნენ, რა გზებით უნდა ევლოთ ახალ საუკუნეში, რომ გარემოს მდგრადი განვითარება შეენარჩუნებინათ. მაშინ შეიქმნა ე.წ. "XXI საუკუნის დღის წესრიგი", რომელმაც დასახული მიზნის მისაღწევად, ძირითადად, სამი მომენტი გამოყო – ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური განვითარება. აქედან რომელიმეს უგულებელყოფა მდგრად განვითარებას გამორიცხავს. სამმა სპილომ, რომლებზეც, ძველი სწავლულების აზრით, კაცობრიობა იდგა, ფორმები ასე შეიცვალა.*



ზაზა ფარუაშვილის ფოტო

შატილი XXI საუკუნის დღის წესრიგში.

ამ სამი მოთხოვნის თანაბარი განვითარების მიღწევა განსაკუთრებით რთულია განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისთვის, სადაც პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, თითქმის, პირველყოფილი წესებით უწევთ. საქართველო მათ რიცხვშია. გაჩანაგებამდე მისული ტყის საფარი, დაბინძურებული ნიადაგი, წყალი, ჰაერი, აქედან გამომდინარე ყველა პრობლემით - ასეთია ვიტალურ მოთხოვნილებებზე საზოგადოების აქცენტირების სავალალო შედეგების ამსახველი სურათი. ჯაჭვური რეაქცია, რომელიც, ვთქვათ, გასათბობად ხის უკონტროლო ჭრას მოჰყვება, გაუდაბნოებაა. საქართველოში ხშირად პირდაპირი მნიშვნელობით ჭრიან ტოტს, რომელზეც სხედან. არადა, მისი გამოყენება ისე შეიძლება, რომ სარგებელი ადამიანმაც ნახოს და არც გარემო იქცეს უდაბნოდ; როგორ - ამას ცოტა ხანში შატილისა და ჭიორას მაგალითზე ვნახავთ.

მალე ერთი წელი გახდება, რაც კავკასიის რეგიონული ეკოლოგიური ცენტრი (რეც) ახორციელებს კავკასიის მდგრადი განვითარების საპილოტო პროექტს - ადგილობრივი დღის წესრიგი 21-ე საუკუნე. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გარდა, მასში მონაწილეობას რუსეთის რეც-იც იღებს. პროექტის ნულოვანი ფაზა, რომელიც ვითარების შეფასებას, საპილოტო სოფლების შერჩევას და ხსენებული პროექტისთვის ტექნიკური დავალების მიცემას გულისხმობს, ოქტომბერში დასასრულს უახლოვდება. ფოკუს-ჯგუფებმა საპილოტო სოფლები უკვე შეარჩიეს. საქართველოში - შატილი და ჭიორა, აზერბაიჯანში - ისმაილინისა და შამახინის რაიონები, სომხეთში - სოფლები შვანძორი და შიკახოხი, რუსეთში - კავკასიის ჩეგემისა და ირაფის რაიონები.

ქართული სოფლების შერჩევა მათი განსაკუთრებული მონაცემების მიხედვით მოხდა. კლდეზე შეფენილი ულამაზესი სოფელი შატილი ხევსურეთში, ჩეჩნეთის საზღვარზე, არღუნისა და შატლისწყლის შესართავთან მდებარეობს. შუასაუკუნოვან კოშკებში დღეს 19 ოჯახიღა ცხოვრობს - იმ 56 ოჯახის ნაწილი, რომელიც ახლა შატილის საკრებულოს ეკუთვნის. აქედან 15 ოჯახი, ბევრი სხვა ოჯახის მსგავსად, ხევსურეთიდან წასვლას აპირებს. ბევრი სოფელი დაცარიელებულია. ძნელია, გაუძლო ვითარებას, როცა ერთადერთი ტრანსპორტი ვერტმფრენია; გზა, ფაქტობრივად, არ არის; არ არის ელექტროენერგია; არ მუშაობს მაღაზია, არც აფთიაქი, არც ამბულატორია; სკოლაც, თითქმის, ცარიელია.

თითქმის, იგივე პრობლემებია ჭიორაში. იგი მთის რაჭაში, ოსეთის საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრში, რიონის ხეობაში, წყლის დონიდან 1500 მეტრზეა გაშენებული. ადამიანებს იქ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში უცხოვრიათ. ახლა ჭიორაში 92 კომლიღა ცხოვრობს - 217 ადამიანი; ესეც მაშინ, როცა თბილა. ზამთარს ჭიორაში 75 ოჯახი თუ ხვდება. აქაც უგზობაა, ცუდი ელექტრომომარაგება, სკოლა - 15 მოსწავლითა და ცხრა მასწავლებლით... მეცხოველეობას აქაც მისდევენ, მაგრამ, ძირითადად, კარტოფილი, კომბოსტო და ლობიო მოჰყავთ. მერე მათ სხვა პროდუქტებზე ცვლიან: შაქარზე, მარილზე, საპონზე... ჭიორაში, თითქმის, რვა თვე ზამთარია.

კავკასიის მდგრადი განვითარების პროექტის - ადგილობრივი დღის წესრიგი 21 - რეგიონული კოორდინატორი ნინო შატბერაშვილის ამბობს, რომ სოფლები შეარჩიეს ფოკუს-ჯგუფებმა, რომელშიც მონაწილეობდნენ ყველა მიმართულების წამყვანი სპეციალისტები სამინისტროებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, სახელმწიფო ინსტიტუტებიდან. **"ბალანსისთვის შეირჩა საშუალო სირთულის, მაგრამ მაქსიმალურად ტიპური სოფლები,** - აგრძელებს იგი, - **გავითვალისწინეთ მათი კულტურული მემკვიდრეობაც. ფაქტია - თუ ეკონომიკამ არ წაიწია წინ, არავითარ სოციალურ და გარემოსდაცვით განვითარებაზე საუბარი არ შეიძლება იყოს. ამის გათვალისწინებით, ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა ყოვლისმომცველი ეკონომიკური განვითარების გეგმის შედგენა. მხოლოდ ამ ფონზე შეიძლება ვიფიქროთ სოციალურ ბენეფიტებზე და გარემოს დაცვაზე. ამისთვის პროექტი ადგილობრივი მოსახლეობის ტრენირებასაც გეგმავს, რომ ქვეყნისთვის დამახასიათებელი, ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობა მეცნიერულად დასაბუთებულ, თანამედროვე მიდგომებს ჰარმონიულად შეუთავსონ".**

**"ჩვენ ვაკეთებთ ჩვენს დღის წესრიგს 21-ე საუკუნისთვის, რომელიც გამოკვეთს, რა სჭირდება კავკასიას მდგრადი განვითარებისთვის,** - აცხადებს პროგრამის საქართველოს კოორდინატორი სანდრო მენაბდე, - **დღეს უკვე შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ვითარება რთულია. მოსაწესრიგებელია გზების, კომუნიკაციებისა და ელექტრომომარაგების საკითხი. წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს აუცილებელია იმისთვის, რომ მცირე მეწარმეობა განვავითაროთ. სოფლებში დგას სკოლებისა და ამბულატორიების პრობლემაც. ეს მხარეც გასავითარებელია. პარალელურად, უნდა განვითარდეს ტურიზმიც. საქართველოს ამის არაჩვეულებრივი შესაძლებლობა აქვს. ამასთან, ყველაფერი კარგად უნდა გაითვალოს, რომ უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა, გარემო არც ამ და არც სხვა შემთხვევაში არ დაგვიზიანდეს. ამ სოფლებში ცივილიზაცია ისეთი ფორმებით უნდა შევიტანოთ, რომ მათი თვითმყოფადობა შენარჩუნდეს. პროექტის ფარგლებში, უნდა შევისწავლოთ ყველაფერი და შევარჩიოთ დარგები, რომელთა განვითარებაც კონკრეტულ ადგილებზე არსებულ პრობლემებს გადაჭრის".**

რეც-ის ეს პროექტი სერიოზული დახმარებაა ხელისუფლებისთვის, რომელიც სულ რამდენიმე წელიწადში მიიღებს პროფესიულ დონეზე შემუშავებულ გეგმას კონკრეტული რეგიონების გასავითარებლად და ორ ნათელ მაგალითს იმისა, რომ ასეთი გეგმა განხორციელებადია. პროექტის ნულოვან ფაზას მოსდევს კიდევ სამი. პირველი 21-ე საუკუნის ადგილობრივი დღის წესრიგის - მოქმედებათა კომპლექსური გეგმის შემუშვებას გულისხმობს, მეორე - 21-ე საუკუნის ადგილობრივი დღის წესრიგის იმპლემენტაციის დაწყებას, მესამე - გაწეული სამუშაოს შეფასებასა და განზოგადებას. ამ საქმეში რეკ-ი ერთგვარი ხიდის როლსაც ასრულებს სამთავრობო, არასამთავრობო სექტორს, სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოებას შორის და ქვეყნის მდგრად განვითარებაში მათ თანაბარ მონაწილეობას უწყობს ხელს.

# „ყავარჯენი" გერმანული ენის შემსწავლელთათვის

*მაღაზია "პარნასში" პროფესორ მზია გვენცაძის მიერ შედგენილი "გერმანული გრამატიკის" მეორე გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა. სახელმძღვანელო განკუთვნილია მოზარდების და ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც სამყაროს "გერმანულად" დანახვის სურვილი აქვს. ორტომიანი სახელმძღვანელო, რომელსაც თან აუდიო კასეტაც ახლავს, ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდების მიხედვითაა შედგენილი.*

ნინო ბერელიძე

**"ამ ბოლო დროს თეოლოგები და ფართო საზოგადოება აქტიურად საუბრობდნენ ენის გრამატიკის გარეშე შესწავლის სიკეთეზე, მაგრამ ჩემთვის გრამატიკა იგივეა, რაც თვით ენა. აუცილებელ პირობად მიმაჩნია, უცხო ენის სწავლებისას ყველამ მშობლიურ ენაზე გაიაზროს ამ ენის თავისებურებანი და იაზროვნოს ამ ენაზე. მცდარია შეხედულება, რომ რაც უფრო ნაკლებად მივმართავთ გრამატიკას, მით უფრო თანამედროვე გახდება სწავლება. გერმანელი მეთოდისტები გრამატიკას მეტაფორულად "ყავარჯენსაც" უწოდებენ. სახელმძღვანელო დაწერილია ქართულად და მხოლოდ ქართველი მოსწავლეებისათვის არის განკუთვნილი. რამდენიმე წლის წინათ შევადგინე პირველი წიგნი, რომელმაც უამრავი კითხვა დამიტოვა. ეს კი შესწორებით გამოვიდა და მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მათ, ვისაც სურს, გერმანულ ენას სრულყოფილად დაეუფლოს. ენა კომუნიკაციის საშუალებაა და არა ზეპირად დასასწავლი წესების კრებული",** – ამბობს საკუთარ ნამუშევარზე მზია გვენცაძე.

გერმანული ენის სპეციალისტებმა, ენათმეცნიერებმა, პედაგოგებმა "გერმანული გრამატიკის" ახალ, შესწორებულ გამოცემას უპრეცედენტო შემთხვევა უწოდეს და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს. წიგნით კმაყოფილ საზოგადოებაში ახალი იდეაც გაჩნდა - გერმანული ენის ყველა სპეციალისტს მზითვად სწორედ ეს წიგნი გაატანონ. წიგნის პრეზენტაციას გერმანელი სპეციალისტებიც ესწრებოდნენ და მათი შეფასებაც ერთსახა იყო. **"ვისურვებდით, გერმანელ ბავშვებსაც ჰქონდეთ მსგავსი გერმანული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო",** - განაცხადა გერმანიის საელჩოს კულტურის განყოფილების კურატორმა კაროლინ კლემკემ. "გერმანული გრამატიკის" გამომცემელია გამომცემლობა "პეტიტი". წიგნს რეკომენდაცია გერმანიის საელჩომ გაუწია და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დააფინანსა. მისი შეძენა შესაძლებელია მაღაზია "პარნასში;" ღირებულება კი 33 ლარს შეადგენს.


## საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX)

IREX

### აცხადებს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის ბიუროს პროგრამებს:

**ევრაზიის სტუდენტურ გაცვლით პროგრამა** (UGRAD) - პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების პირველი, მეორე და მესამე* (* მხოლოდ ხუთწლიანი პროგრამის) კურსის სტუდენტებს. კონკურსში გამარჯვებული სტუდენტები ისწავლიან აშშ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში ერთი აკადემიური წლის განმავლობაში. პროგრამაში მონაწილეობის შედეგად არ მოხდება აკადემიური ხარისხის მინიჭება. პროგრამა სრულად ფინანსდება აშშ მთავრობის მიერ. Iგი მოიცავს შემდეგ სასწავლო დისციპლინებს: ფინანსები, სოფლის მეურნეობა, ამერიკანისტიკა, ბიზნესი, კომპიუტერული მეცნიერება, სისხლის სამართალი, ეკონომიკა, განათლება, გარემოს დაცვის მენეჯმენტი, საერთაშორისო ურთიერთობები, ჟურნალისტიკა, სამართალი, პოლიტიკური მეცნიერება, ფსიქოლოგია და სოციოლოგია.

**ევრაზიის სტუდენტურ გაცვლით პროგრამის ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 12 ნოემბერი, 5:00.**

ედმუნდ მასკის სამაგისტრო პროგრამა (Mუსკიე) - პროგრამა საშუალებას აძლევს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს, მაგისტრატურის სტუდენტებსა და სხვა პროფესიონალებს ისწავლონ აშშ უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამებში ერთი ან ორი წლის მანძილზე (მაგისტრის ხარისხის მიჭებით ან მინიჭების გარეშე). პროგრამა აგრეთვე საშუალებას აძლევს მსურველებს მონაწილეობა მიიღონ სადოქტორო პროგრამაში. (მხოლოდ საქართველოს, ყაზახეთის, რუსეთისა და უკრაინის მოქალაქეებისათვის). Pროგრამა სრულად ფინანსდება აშშ მთავრობის მიერ და მოიცავს შემდეგ დისციპლინებს: ბიზნესის მართვა, ეკონომიკა, განათლება, გარემოს დაცვის მენეჯმენტი, საერთაშორისო ურთიერთობები, ჟურნალისტიკა, სამართალი, საბიბლიოთეკო საქმე და საინფორმაციო მეცნიერება, სახელმწიფო მართვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და საზოგადოებრივი პოლიტიკა.

**ედმუნდ მასკის სამაგისტრო პროგრამა ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 12 ნოემბერი, 5:00.**

აღნიშნული პროგრამების ანკეტების მიღება და ჩაბარება შესაძლებელია საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX) ოფისში. ანკეტების ჩამოტვირთვა აგრეთვე შესაძლებელია IREX-ის ვებ-გვერდებიდან www.irex.org ან www.irex.ge. დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით IREX-ის ოფისს: ნუგზარ საჯაიას ქ. N 8. ტელ/ფაქსი: 29 19 05; ელ-ფოსტა: programs@irexonline.ge

DEPARTMENT OF STATE · UNITED STATES OF AMERICA

# „ციხეს კანონი უნდა მართავდეს"

ინგა ალავიძე

*დაახლოებით ერთი თვის წინ არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ გამოვლენილ სკანდალურ ფაქტს, ორთაჭალის ციხის უფროსის მიერ პატიმრის ცემის ამბავს, მართალია, მაშინ საპყრობილის დირექტორის მიერ თანამდებობის დატოვება არ მოჰყოლია, რადგან პროკურატურამ მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები ვერ აღმოაჩინა. თუმცა, ფაქტის გამომვლენმა "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა, ახლა უკვე ომბუდსმენმა სოზარ სუბარმა პირობა შეასრულა და მართლმსაჯულების ომბუდსმენის ვახო კომახიძის მიერ ციხეში ჩატარებულ მონიტორინგს, რის შედეგადაც სერიოზული დარღვევები გამოვლინდა, სახალხო დამცველის ოფისის წარდგინება მოჰყვა, რის შედეგადაც, რამდენიმე დღის წინ საპყრობილის დირექტორს გოჩა კიკილაშვილს თანამდებობა დაატოვებინეს. იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით, ორთაჭალის საპყრობილეს ახალი დირექტორი ჰყავს – გოჩა ალფაიძე. "გოჩა უფროსი პატიმარში ადამიანს ხედავს," – უკვე ასე აფასებენ ციხის ახალ დირექტორს თავად პატიმრები.*

**- ამ მცირე მონაკვეთში თუ მოახერხეთ საპყრობილეში სიახლის შეტანა?**

- მართალია, ათი დღეა, რაც საპყრობილის უფროსის თანამდებობაზე დავინიშნე, მაგრამ, სხვათა შორის, ეს სისტემა ჩემთვის უცხო არ არის. თავის დროზე საპყრობილეში რეჟიმის განყოფილების უფროსად ვმუშაობდი. ამიტომაც, ადაპტაციის პროცესის გადატანა არ დამჭირვებია, რადგან სიტუაციას ვფლობდი. რაც შეეხება სიახლეს, იუსტიციის მინისტრის პოზიცია ცალსახად გამოკვეთილია – საპატიმრო ადგილებში ძირეული რეფორმა უნდა ჩატარდეს და ამ პროგრამის განხორციელება ეტაპობრივად მიმდინარეობს. ბუნებრივია, უცებ, ერთი ხელის მოსმით, წლობით ნაშენებ სისტემას ევროსტანდარტების რელსებზე ვერ გადაიყვან. ამას ფინანსური პრობლემებიც ემატება, საპყრობილეც ქვეყაში არსებული სიტუაციის ფონზე ცხოვრობს, ის საერთო სიტუაციიდან ამოვარდნილი ერთი რგოლი ვერ გახდება. ჩვენც ქვეყანაში მიმდინარე ახალი პროცესების შესაბამისად ვვითარდებით. მაგრამ, რაც მთავარია, რადიკალური ცვლილების სურვილი არსებობს და საკმაოდ სერიოზული პროცესებიც მიმდინარეობს. ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია, იუსტიციის მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საპატიმრო ადგილების გახსნის შესახებ. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისთვის, ჟურნალისტებისთვის ეს სისტემა ღიაა და ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, შემოხვიდეთ და ადგილზე გაეცნოთ აქ მიმდინარე პროცესებს - საზოგადოებისგან დასამალი ჩვენ არაფერი გვაქვს. არადა, ადრე ეს სისტემა ჩაკეტილი იყო და აქ მიმდინარე პროცესები - საზოგადოებისთვის გასაიდუმლოებული.

გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ განხორციელდა მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები, სწორმა საკადრო პოლიტიკამ ციხის "დალაგება" გამოიწვია. გაიხსენეთ - ადრე ყოველ მეორე დღეს ხდებოდა მასობრივი გაქცევები, ახლა ეს პრობლემა აღარ არსებობს. ციხეში რეჟიმი გამკაცრებულია და ის ხელისუფლებას ემორჩილება. საპყრობილეში ძალზე ბევრი პრობლემა არსებობდა, უამრავ სერიოზულ დარღვევას ჰქონდა ადგილი. ცოტა უხერხულია საკუთარ საქმიანობაზე საუბარი, მაგრამ გეტყვით, რომ სიახლეები არის, საკმაოდ სერიოზულიც და ეს პროცესი გაგრძელდება.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*ციხეში სახელმწიფოს, კანონის მმართველობა უნდა იყოს და არა რომელიღაც კლანის, რომელსაც ქურდულ სამყაროს ეძახიან.*

**- ტრადიციულად "ციხე ქურდების" იყო, საპყრობილეს ქურდული სამყარო მართავდა, თუ შეიცვალა საპყრობილის "მმართველობა" თქვენი მისვლის შემდეგ?**

- იცით, ის, რომ ციხის მმართველობა ქურდების ხელში იყო, ეს ყოფილი ხელისუფლების ნებაც გახლდათ, მე არ მინდა ჩემს წინამორბედებზე საუბარი, რადგან ასეთ შემთხვევაში არაკორექტული ვიქნები, მაგრამ ფაქტია, ეს ტრადიცია არსებობდა და იმის დასტური იყო, რომ ხელისუფლებას არ შესწევდა ძალა, ციხე კანონიერი გზით ემართა. რა თქმა უნდა, საპყრობილეში ქურდული ტრადიციების მატარებლები ახლაც არიან, მაგრამ შეიცვალა ამჟამინდელი ხელისუფლების დამოკიდებულება. იუსტიციის მინისტრის პოზიცია ასეთია: ციხეში სახელმწიფოს, კანონის მმართველობა უნდა იყოს და არა რომელიღაც კლანის, რომელსაც ქურდულ სამყაროს ეძახიან. მე საპყრობილის დირექტორი ვარ, კანონის დამცველი და ძალიან გულწრფელად გეტყვით, ვერ ვიმუშავებ სტრუქტურაში, სადაც სახელმწიფოს, კანონის იურისდიქცია არ ვრცელდება. სხვა შემთხვევაში მე დავტოვებ თანამდებობას.

**- მაგრამ ფაქტია, "კანონიერი ქურდების" სამფლობელო 49-ე საკანი სხვა საკნით, 51-ე საკნით შეიცვალა, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ქურდული სამყარო დამორჩილებულია.**

- 49-ე საკნიდან ქურდების გამოყვანა კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ იუსტიციის მინისტრს მართლაც პრინციპული პოზიცია ჰქონდა, ანუ, მოხდა ის, რასაც ადრე ვერავინ გაბედავდა – ქურდებს დაატოვებინეს საკანი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ჯგუფს, ფაქტობრივად, დარტყმა მიაყენეს და მათი პოზიციები შეასუსტეს. 49-ე საკანში, რომელიც ციხის პირობებთან შედარებით საუკეთესო მდგომარეობაში იყო, ახლა მედპუნქტია და ავადმყოფებს და ექიმებს ნორმალურ პირობებში უწევთ ყოფნა. რაც შეეხება ახალ საკანს, 51-ე საკანი მართლაც არსებობს, რომელიღაც საკანში ეს ჯგუფი უნდა იყოს. თუ ადრე მათი საკანი არ იხურებოდა, ახლა ისინი ჩემს წესს უნდა დაემორჩილონ, საღამოს 8 საათის შემდეგ ამ საკნიდან გამოსვლას ვერავინ გაბედავს, ის იკეტება და იხსნება დილით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პატიმარი სასამართლო პროცესზე მიჰყავთ, ან გამომძიებელს და ადვოკატს უნდა შეხვდეს. შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მობრძანდეთ და თავად დარწმუნდებით ჩემს ნათქვამში.

**- ციხეში იკრიბებოდა "ობშიაკიც"...**

- ვერ გეტყვით, ვინ, რას, როდის და რისთვის კრიბავდა, მაგრამ შემიძლია, თავისუფლად გითხრათ, რა სიტუაციაა ახლა – "ობშიაკის" შეკრებას აქ ვერავინ გაბედავს. ჩვენ შევთანხმდით, რომ ასეთი რამ არ მოხდება და თუ მსგავს, უმნიშვნელო ფაქტსაც ადგილი ექნება, ჩემ ხელთ არსებულ ყველა კანონიერ ზომას გამოვიყენებ. არ მინდა, ისე გამომივიდეს, თითქოს რაღაცას ვამტკიცებ და ხმამაღალ განცხადებებს ვაკეთებ, მაგრამ მე იურისტი, სამართალდამცველი ვარ და არ ვაპირებ ვიღაცების მმართველობის ქვეშ ყოფნას.

**- ბატონო გოჩა, ციხეში ყოველთვის იყო ორი ფენა. ჩვეულებრივი პატიმრები და პრივილეგირებული ფენა, ადამიანები, რომლებიც ადმინისტრაციას ფულს უხდიდნენ და ჩვეულებრივი პატიმრებისგან განსხვავებით, გაცილებით უკეთეს პირობებში უწევდათ ყოფნა. საპყრობილეში ახლაც მრავლად არიან ყოფილი თანამდებობის პირები...**

- თქვენ საუბრობთ კორპუსზე, რომელსაც "ფაშისტების" კორპუსს ეძახიან. გეტყვით, ყოფილი თანამდებობის პირები მართლაც იმყოფებიან ცალკე კორპუსში და არა იმიტომ, რომ ისინი ვიღაცას რაღაცას უხდიან, მათი განცალკევებით ყოფნა, მათივე უსაფრთხოებისთვისაა აუცილებელი. წარსულში ასეთი ტრადიცია იყო, "ფულიანებს" ქურდული სამყაროს წარმომადგენლებთან მიუჩენდნენ ადგილს და მათგან არაოფიციალურად სოლიდურ თანხებს იღებდნენ. ამ ადამიანების უსაფრთხოება ახლა დაცულია და თანაც, ვფიქრობ, ის თანხები, რომელთა მოპარვაშიც ისინი დადანაშაულებული არიან, სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს და არა ქურდული სამყაროს ბიუჯეტს. ეს ადამიანები ნამდვილად არ არიან პროვილეგირებულ მდგომარეობაში, ის საკნები ნამდვილად არ არის ფეშენებლური, როგორც ამას ამბობენ, ეს არის ჩვეულებრივი საკნები, ისეთივე გადატვირთული, როგორც სხვა საკნები, გამონაკლისი არ არსებობს, ციხეში რეჟიმი ყველასთვის ერთია.

**- ორთაჭალის ციხე ყვარყვარეს ციხეს დაემსგავსა - იმდენადაა გადავსებული, რომ ყველანაირ ზღვარს გადააჭარბა, პატიმრები მართლაც გაუსაძლის მდგომარეობაში არიან.**

- გეთანხმებით, ციხე მართლაც გავსებულია, პატიმართა რაოდენობა იზრდება, ამჟამად საპყრობილეში 2 ათას 800 პატიმარია, საკნები გატენილია, ერთ საწოლზე ორი პატიმარი მოდის და მათი ცხოვრების პირობები მართლაც მძიმეა. ეს არ არის ჩვენი ბრალი, საპყრობილე წინასწარი გამოძიების იზოლატორია და ასეთი დაწესებულება თბილისში ერთია, ბრალდებულსა და განსასჯელს სხვაგან ვერ მოათავსებ. თუმცა, ამ პრობლემის მოგვარებაზე იუსტიციის მინისტრი სერიოზულად ზრუნავს, საპყრობილეს მალე ქალები და არასრულწლოვნები დატოვებენ, მათთვის ევროსტანდარტების შესაბამისი ახალი საპყრობილე შენდება, ძალიან მალე ამუშავდება რამდენიმე ახალი საპყრობილე და აქაურობა მაქსიმალურად განიტვირთება. ცოტა ხნის წინ, იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით, პროკურატურას გადაეცა 400 საქმე, მსუბუქი კატეგორიის დანაშაულში ბრალდებულთა საქმეები, რათა მათ აღმკვეთი ღონისძიება შეეცვალოთ. პატიმართა სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ყველაფერი კეთდება. თუ ადრე სასეირნოდ გარკვეული კატეგორია გამოდიოდა, ახლა უკლებლივ ყველა პატიმარი გამოგვყავს ეზოში; ამასთან, რადგან საკნები გადატვირთულია და პატიმრები ჟანგბადის უკმარისობას განიცდიან, სეირნობისთვის დაწესებული ვადა მაქსიმალურად გავზარდეთ. საგრძნობლად მოწესრიგდა მათი კვების პრობლემაც - თუ ადრე წვნიანში ერთი კარტოფილი ეგდო, მენიუ გამდიდრდა, კვების პრობლემა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. შეძლებისდაგვარად, ეტაპობრივად ვარემონტებთ შენობასაც.

**- სხვა ხარვეზებთან ერთად, ციხეში ნარკოტიკების "ბრუნვა" ყოველთვის პრობლემა იყო...**

- მინდა გითხრათ, რომ რეჟიმის, ანუ, წესრიგის დამყარება თანამშრომლებით იწყება. როცა აქ მოვედი სამუშაოდ, შევხვდი თანამშრომლებს და ვუთხარი, რომ არც ერთ იმ თანამშრომელს არ დავინდობდი, ვინც ფულს აიღებდა ან სხვა საეჭვო საქმიანობით იქნებოდა დაკავებული. სხვათა შორის, რამდენიმე თანამშრომელმა, რომელთა ადგილიც საპყრობილეში არ იყო, თავის ნებით დატოვა სამსახური. ზუსტად იმიტომაც, რომ ციხეში ნარკოტიკის შემოტანა თანამშრომლების მეშვეობით აღარ ხდება, მიმართეს სხვადასხვა ხერხს, ძირითადად, ის ამანათების საშუალებით შემოდიოდა. ამიტომაც, მკაცრად იჩხრიკება ყველა ამანათი და ბოლო დღეებში ამანათით ნარკოტიკების შემოგზავნის ცხრა შემთხვევა გამოვავლინეთ. სხვათა შორის, ამ მხრივ რეჟიმის გამკაცრებამ გამოიწვია ის, რომ სამი დღის მანძილზე არც ერთი ფაქტი არ გამოვლენილა, რადგან პატიმრები მიხვდნენ, რომ მათთვის ეს გზა დაიკეტა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ ციხეში არ შემოვიდეს იარაღი, ამიტომაც რეჟიმის გამკაცრება საპყრობილეში გახშირებული ჩხრეკების ჩატარებასაც ითვალისწინებს.

## ვეტერინარული დეპარტამენტის ხელმძღვანელი შვიდთვიანი მუშაობის შემდეგ დააპატიმრეს

საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა გუშინ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარული დეპარტამენტის ხელმძღვანელს ლევან რამიშვილს ბრალი წაუყენეს. გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, რამიშვილს, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე მხოლოდ შვიდი თვის წინ დაინიშნა, ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 332-333-ე მუხლებით, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას და ბოროტად გამოყენებას ითვალისწინებს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მას 3-დან 8 წლამდე პატიმრობა ემუქრება. ლევან რამიშვილი გუშინწინ, გენერალურ პროკურატურაში დაკითხვის შემდეგ ეჭვმიტანილის სტატუსით დააკავეს. როგორც პროკურატურაში აცხადებენ, რამიშვილის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში სახელმწიფომ 1,5 მლნ ლარი იზარალა, თუმცა არ გამორიცხავენ იმასაც, რომ შესაძლოა, დასახელებული თანხა გამოძიების პროცესში კიდევ უფრო გაიზარდოს. ჩვენი ინფორმაციით კი, იმ შემთხვევაში თუ რამიშვილი გამოძიების მიერ სადავო თანხის გადახდას დათანხმდება, იგი, შესაძლოა, პატიმრობიდან გაათავისუფლონ.

*24 საათი*

## მოძრაობის უსაფრთხოებაზე კანონი იზრუნებს

პარლამენტის იურიდიულ საქმეთა კომიტეტმა ორსაათიანი განხილვის შემდეგ მხარი დაუჭირა "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანას.

ცვლილებები ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალებების მართვისას მძღოლისთვის მობილურ ტელეფონზე საუბრის შეზღუდვასა და როგორც მძღოლისთვის, ასევე მის გვერდით მჯდომი მგზავრისთვის უსაფრთხოების ღვედების გამოყენებას. წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, მძღოლის მიერ აღნიშნული ცვლილებების გაუთვალისწინებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 5 ლარის ოდენობით, თუმცა როგორც კომიტეტის სხდომაზე შეთანხმდნენ, აღნიშნული თანხა გაიზრდება.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნინო კალანდაძის განცხადებით, როგორც მობილურ ტელეფონზე საუბარი, ასევე უსაფრთხოების ღვედების გამოუყენებლობისას ჯარიმა არა 5 ლარით, არამედ 20 ლარით უნდა განისაზღვროს.

მძღოლს მობილურ ტელეფონზე საუბრის უფლება მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში რჩება. ცვლილებების ირგვლივ კომიტეტის სხდომაზე რამდენიმე ისეთი შენიშვნაც გამოითქვა, რომლებსაც კანონპროექტის მიღებისას გაითვალისწინებენ. მათ შორის მოტოციკლეტის მძღოლმა აუცილებლად უნდა ატაროს შესაბამისი ჩაფხუტი.

პარლამენტარი რომან კუსიანი მიიჩნევს, რომ გარდა ამ ცვლილებებისა, კანონში უნდა შევიდეს ავტომანქანების დაბურული შუშების აკრძალვა. როგორც რომან კუსიანმა აღნიშნა მობილურ ტელეფონზე საუბარი და უსაფრთხოების ღვედების გამოუყენებლობა იმდენად სახიფათო არ არის, რამდენადაც დაბურული შუშები.

*მედია-ნიუსი*

## წამების თემამ ქუთაისში გადაინაცვლა

"თავისუფლების ინსტიტუტმა" გუშინ ქუთაისში "მრგვალი მაგიდა" მოაწყო თემაზე "პოლიციის მიერ დაკავებულთა ცემისა და წამების ფაქტები". შეხვედრას ქუთაისში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიციისა და პროკურატურის წარმომადგენლები დაესწრნენ. განსაკუთრებული პრეტენზიები პროკურატურის მისამართით გამოითქვა. როგორც აღინიშნა, ამ უწყებას უშუალოდ ევალება კონტროლი მსგავს ფაქტებზე, თუმცა რეალურად ის არაფერს აკეთებს.

"საოცარია, რომ ქუთაისის პროკურატურას ცემისა და წამების შესახებ არც ერთი საჩივარი არ განუხილავს და შესაბამისად, არავინ დასჯილა" - განაცხადა "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრმა ლევან რამიშვილმა, რომლის თქმით, ყველა მსგავს ფაქტზე "თავისუფლების ინსტიტუტი" დამოუკიდებელ გამოძიებას ჩაატარებს. შეხვედრაზე მისულმა ქუთაისის პოლიციის უფროსმა თენგიზ მორჩაძემ დაადასტურა, რომ უკანონო დაკავების და ცემის ფაქტებს მართლაც ადგილი ჰქონდა, თუმცა მისი თქმით, ყველა ამ ფაქტზე შესაბამისი რეაგირება უკვე მოხდა.

*ინტერ-პრესი*

## "მიკმა" ქვეყნის ძალოვანებს მუშაობის პარალიზებაში ადანაშაულებს

საქართველოში ლუდ "ბალტიკის" იმპორტიორი - შპს "მიკმა" ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებს ფირმის მუშაობის უკანონო პარალიზებაში ადანაშაულებს. მისი წარმომადგენლები მეწარმეთა კავშირს საკუთარი უფლებების დაცვას სთხოვენ.

როგორც გუშინ ჟურნალისტთა კავშირ "ობიექტივის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე "მიკმას" კომერციულმა დირექტორმა გია აბესაძემ განაცხადა, შპს თბილისში 2001 წელს დაფუძნდა, მისი აქციების 100 პროცენტის მფლობელი მევლუდ ბაძგარაძეა. შპს-ის საქმიანობა რუსეთიდან ლუდის ("ბალტიკა" და "სტეფანე რაზინი") იმპორტით და მინერალური წყლის "საირმეს" დისტრიბუციით განისაზღვრება.

"2004 წლის 21 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან ბრძოლის სამმართველომ ფირმის პარალიზება მოახდინა, მოტივად კი დირექტორის მიერ ვითომდა უაქციზო ლუდის გაყიდვა დაასახელა, რაც შპს-ის ხელმძღვანელობას აბსურდად მიაჩნია, ვინაიდან საქართველოში შემოტანილი პროდუქცია და სახელმწიფოსგან შეძენილი აქციზური მარკების ოდენობა იდენტურია. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ დასვა შს სამინისტრომ შპს-ის მიერ უაქციზო საქონლის რეალიზაციის საკითხი" - განაცხადა აბესაძემ, რომლის აზრით, ძალოვანი უწყების რეალური ინტერესი ფირმის მუშაობის შეჩერება იყო.

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, 13 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში "ბალტიკის" პრეზიდენტი თეიმურაზ ბალოევი ოსი სეპარატისტების დაფინანსებაში დაადანაშაულა. "ბალტიკას" ადმინისტრაციმ გუშინდელ პრესკონფერენციაზე აღნიშნული ბრალდება კატეგორიულად უარყო.

გია აბესაძის განცხადებით, შპს "მიკმას" "ბალტიკასთან" მხოლოდ და მხოლოდ ბიზნესურთიერთობა აკავშირებდა, ფირმის პარალიზებით კი მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, შპს "მიკმა", "საირმე მინერალ უოთერს კომპანია" და ამ ფირმებში დასაქმებული თანამშრომლები დაზარალდნენ.

*ინტერ-პრესი*

## მართლმსაჯულება ქარქაშაძის ქონების კანონიერებაზე იმსჯელებს

საოლქო სასამართლო დღეს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის ნაპოლეონ ქარქაშაძის ქონების დასაბუთებულობის საკითხს განიხილავს. როგორც პროკურორმა ვლადიმერ ხუჭუამ განაცხადა, სასამართლო თბილისში, ლუქსემბურგის, ყაზბეგის, ლვოვის, მგალობლიშვილის ქუჩებზე მდებარე ბინების და ავტომანქანების დასაბუთებულობის შესახებ იმსჯელებს.

აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი ნაპოლეონ ქარქაშაძე გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს. მას უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სახელმწიფო ქონების არაერთგზის უკანონო პრივატიზებაში ედება ბრალი.

გამოძიების ინფორმაციით, ქარქაშაძის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში განხორციელდა ღვინის მინი-ქარხნის "მარანის" პრივატიზება და მიწის ნაკვეთების გრძელვადიანი იჯარით უკანონოდ გაცემა. თავად აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი ბრალდებას უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

*ინტერ-პრესი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

................................................................
................................................................
................................................................
................................................................
................................................................
................................................................
................................................................
................................................................
................................................................
................................................................
................................................................
................................................................
................................................................
................................................................

ანკეტა

სახელი, გვარი ................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ..........................

საკონტაქტო ტელეფონი ................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 10 წლისა

# ვინ და როგორ აგებს პასუხს უმიზნოდ და უკონტროლოდ დახარჯული მილიონებისათვის?

## ნაწილი II

## საქტელერადიომაუწყებლობის მონიტორინგის შედეგები

თინათინ ხიდაშელი
თამარ კორძაია

დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა წარმოადგენს. ეს უკანასკნელი კი პლურალისტური და მრავალფეროვანი მედიის გარეშე შეუძლებელია. მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციისთვის ქვეყანაში მედიის თავისუფლების ხარისხი მისი დემოკრატიულობის გამოხატულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი მედიის არსებობა, თავისთავად, ძალზე მნიშვნელოვანია, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ მედია დამოუკიდებელი იყოს და ხალხის მხარდაჭერით სარგებლობდეს. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ მედიის საშუალებების მაქსიმალური ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პირობებშია შესაძლებელი. ლეგიტიმური და პოპულარული მედია სასიცოცხლო ხასიათს ატარებს საზოგადოების განვითარების, მისი ინფორმირების, აზრთა მრავალფეროვნების, ტოლერანტობისა და განსხვავებული აზრისადმი პატივისცემის კულტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ურთიერთობა მედიისა და საზოგადოებას შორის ორმხრივია და სწორედ ამგვარი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მხარეები ერთმანეთის მიმართ გარკვეული ვალდებულებების მატარებელნიც ხდებიან.

კავშირი საზოგადოებასა და მედიას შორის კიდევ უფრო კრიტიკულია, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო მედიას, რომელიც თითოეული ჩვენგანის მიერ გადახდილი გადასახადებით ფინანსდება. საზოგადოება იხდის გარკვეულ გადასახადს, ხოლო მედია ვალდებულია, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელს მისთვის საინტერესო და ღირებული ინფორმაცია მიაწოდოს. გარდა ამისა, საზოგადოების დაინტერესების შემთხვევაში, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად გაეცნოს ინფორმაციას თავად მედიის საქმიანობის შესახებ. სწორედ ამ იდეის მატარებელია ყველა ის საერთაშორისო აქტი, რომელიც მედიის გამჭვირვალობას არეგულირებს. ინფორმაცია, რომელიც ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს ტელევიზიის ადგილსამყოფელს და სტატუსს, კაპიტალის მოცულობას, იმ პროგრამების დაფინანსების ხასიათს, მიზანსა და თანმიმდევრობას, რომლებსაც წარმოადგენს ან აპირებს, წარმოადგინოს მაუწყებელი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მსგავსი დებულებები განსაზღვრავს ყველა ტიპის (კერძო, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო) მაუწყებლის ვალდებულებას. კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ორივე, საერთაშორისო დოკუმენტებიც და ქართული კანონმდებლობაც, სახელმწიფო ტელევიზიას გამჭვირვალობის დამატებით მოთხოვნებს უყენებს. საქართველოს კანონმდებლობა საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს, კანონიერად დაიკმაყოფილოს ინტერესი და ისარგებლოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებით: მიიღოს ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის, შიდა სტრუქტული მოწყობის ან ნებისმიერი სხვა მისთვის საინტერესო საკითხის შესახებ.

როგორც გაზეთ "24 საათის" 8 ოქტომბრის ნომერში ვიუწყებოდით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აგრძელებს სტატიების ციკლს იმ კანონდარღვევებისა და სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივი, ზოგიერთ შემთხვევებში - უკანონო ხარჯვის შესახებ, რომელსაც ჩვენ მიერ შესწავლილ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინინსებულ ორგანიზაციებში ვარდების რევოლუციამდე ჰქონდა ადგილი.

წინამდებარე კვლევის მიზანია, საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნამდე (იმის მიუხედავად, თუ როგორი ფორმით შეიქმნება იგი), საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანოს ის რეალობა, რომელიც თითქმის ათი წლის განმავლობაში ჩვენი ცხოვრების თანამდევი იყო. ამასთან, იმედს ვიტოვებთ, რომ წინადებარე კვლევის შედეგები დახმარებას გაუწევს გადაწყვეტილების მიმღებთ ტელევიზიის მომავალი ბედის განსაზღვის ურთულეს საქმეში. წინამდებარე სტატია მხოლოდ მოკლე ამონაკრებია იმ მასალიდან, რომელზეც ხელი მიგვიწვდებოდა. სამწუხაროდ, სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მსგავსად, ტელევიზიის ხელმძღვანელობა ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და აგრესიული დამრღვევი აღმოჩნდა და როგორც მონიტორინგის განხორციელების პროცესში გავარკვიეთ - არცთუ უმიზეზოდ.

**ინფორმაციის თავისუფლებისა და საჯაროობის კანონით დადგენილი ვალდებულებების მუდმივი უგულებელყოფის პრაქტიკა;**
**შესყიდვების წესის მუდმივი დარღვევა;**
**შესყიდვების სააგენტოსათვის ხარვეზებითა და უზუსტობებით დატვირთული დოკუმენტების წარდგენა;**
**უკანონოდ ერთ პირთან მოლაპარაკებების გზით სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების დიდი ოდენობით ხარჯვის ტენდენცია;**

**ყოველივე ეს ტელევიზიის ხელმძღვანელობის მხრიდან ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება განხილული, როგორც კანონმორჩილებისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მაგალითი. ამასთან, უნდა გავახსოვდეს, რომ ეს არის ძალიან მოკლე ჩამოთვალი იმ დარღვევებისა, რომლებსაც წლების განმავლობაში საქართველოს საქტელერადიომაუწყებლობაში ჰქონდა ადგილი და რომელიც არასოდეს გამხდარა შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების კვლევისა და ინტერსის საგანი, მათ შორის, არც ვარდების რევოლუციის შემდეგ. როგორც ჩანს, კანონდამრღვევი, მაგრამ მორჩილი ტელევიზია ყველა ხელისუფლებისთვის საუკეთესო იარაღია მედიის სხვა "თავგასული" საშუალებების წინააღმდეგ.**

**უფრო მეტიც, ტელევიზიაში გამეფებული განუკითხაობის, თანამშრომელთა დისკრიმინაციის, ერთპიროვნული და უკანონო გადაწყვეტილებების მიღების, უხარისხო გადაცემებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი გაჩანაგების პირობებში, ეჭქვეშ დგება თითოეული ფინანსური ოპერაციის განხორციელების კეთილსინდისიერება. ძნელია, ამგვარ პირობებში არ იფიქრო, რომ სახეზეა კორუფციის, ძალაუფლებით მანიპულირებისა და ნეპოტიზმის ძალზე სერიოზული შემთხვევა.**

### რას წარმოადგენს სამართლებრივად დღევანდელი სახელმწიფო ტელევიზია?

სსიპ საქტელერადიომაუწყებლობა შექმნილია პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე და ასრულებს *სახელმწიფოებრივ ამოცანებს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, საინფორმაციო, კულტურულ და სხვა სფეროებში.* საქტელერადიომაუწყებლობა სახელმწიფო, საბიუჯეტო დაწესებულებაა, რომელიც ბიუჯეტიდან 2002 წელს – **11,013,000** ლარს, ხოლო 2003 წელს - **13,000,000** ლარს იღებდა. ბუნებრივია, საზოგადოების კანონიერ ინტერესს წარმოადგენს, გაკონტროლდეს, თუ რამდენად მიზნობრივად ხდებოდა საქტელერადიომაუწყებლობის მიერ ამ თანხების ხარჯვა.

**I. როგორ ხდებოდა გადაცემების შერჩევა, რომელსაც თითოეული ჩვენგანი ვუყურებთ, ან უნდა ვუყურებდეთ ყოველდღიურად და რომელიც, არც მეტი არც ნაკლები, ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადებით ფინანსდება?**

ერთ-ერთი ცენტრალური შეკითხვა, რომელზე პასუხის გასაცემადაც წინამდებარე კვლევა ჩატარდა, სახელმწიფო ტელევიზიის საეთერო პოლიტიკას შეეხებოდა.

**როგორ ხვდება გადაცემები ეთერში?**
**ვინ და რა წესით იღებს გადაწყვეტილებას?**
**რა მოთხოვნებს უყენებს ტელევიზია თანამშრომლებს ან კონტრაქტორებს?**

სწორედ ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად ხშირად გვიწევდა არცთუ წარმატებული ურთიერთობა ტელევიზიის სხვადასხვა რანგის თანამშრომლებთან. პირველადი წყარო, ბუნებრივია, ტელევიზიის წესდებაა, რომელიც აცხადებს, რომ დაწესებულების საქმიანობის პრინციპია "საკონკურსო საწყისებზე საუკეთესო ტელე-რადიო პროდუქციის გამოვლენა და გავრცელება" (*წესდების II თავი, მე-10 პუნქტი, ძდ" ქვეპუნქტი).*

შესაბამისად, დავინტერესდით ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებული კონკურსებით, პირობებით, შეფასების კრიტერიუმებითა და სხვა მსგავსი საკითხებით. პასუხი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. გაირკვა, რომ ***2002 წლიდან გადაცემების კონკურსის წესით შერჩევა აღარ ხდება. საქტელერადიომაუწყებლობის ხელმძღვანელობა ერთპიროვნულად ამტკიცებს საეთერო სამაუწყებლო ბადეს, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელ გადაცემას რა სიხშირით დაეთმობა ადგილი ეთერში.*** ეს იმას ნიშნავს, რომ 2002 წლის შემდეგ საქართველოს მოსახლეობას მიეწოდება ის გადაცემები, რომელიც პირთა მხოლოდ ძალზე შეზრუდული წრის გემოვნებასა და ინტერესებს შეესაბამება. მსგავსი პროცედურა არა მხოლოდ არღვევს თითოეული ჩვენგანის ინტერესს, რომ ჩვენ მიერ დაფინანსებული ტელევიზიისგან ვიღებდეთ სამართლიანი არჩევანის პირობებში შერჩეულ ყველაზე საუკეთესო გადაცემებს, არამედ ეწინააღმდეგება დემოკრატიული მართვის ყველაზე ელემენტარულ პრინციპებსაც კი. ასეთი რეალობის პირობებში, უფრო მეტად დავინტერესდით, გაგვერკვია, თუ როგორ ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება საქტელერადიომაუწყებლობაში.

### გადაცემების შეძენა გარე სტუდიებისგან

ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ადგილი ტელერადიომაუწყებლობის მიერ წარმოებული შესყიდვების სქემებში გარე სტუდიების მიერ მოწოდებული გადაცემების შეძენას უკავია. ეს უკანასკნელი ექსკლუზიურად ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხდებოდა, მიუხედავად "შესყიდვების შესახებ" კანონის იმპერატიული მოთხოვნისა, რომ იმ საქონლისა თუ მომსახურების შესყიდვა, რომელთა ღირებულება წლის განმავლობაში აღემატება 10 000 ლარს, ტენდერის გზით უნდა განხორციელდეს. მიუხედავად კანონმდებლის და, შესაბამისად, შესყიდვების სააგენტოს მრავალგზისი მოთხოვნისა, საქტელერადიომაუწყებლობა ტენდერის ჩატარებაზე ჯიუტად აცხადებდა უარს.

***რა არის გარე სტუდიების მიერ მოწოდებული გადაცემები?***

ეს არის გარკვეული ჟანრის: მუსიკალურ-გასართობი, შემეცნებითი, საინფორმაციო და ა.შ პროდუქცია. თითოეული მათგანი არის ჩანაცვლებადი და, შესაბამისად, ტელევიაზიამ უნდა გამოაცხადოს ტენდერი იმ ჟანრის გადაცემაზე, რაც მას სჭირდება საეთეროდ და შემდეგ, როგორც კანონით არის დადგენილი, ჩაატაროს ღია ან დახურული ტენდერი. ამ გზით შესაძლებელი იქნება, ჭეშმარიტად მაღალი დონისა და რეიტიგის მქონე გადაცემების გამოვლენა. ამასთან, მგავსი ტენდერებისა და კონკურსების რეგულარულად გამოცხადება ეთერში განთავსებული გადაცემის ხარისხზეც დადებითად მოქმედებს, ვინაიდან ეს უკანაკნელი შემდეგ კონკურსამდე ეთერის შესანარჩუნებლად კონკურეტუნარიანი უნდა დარჩეს. ასეთი პოლიტიკა კი საბოლოოდ მხოლოდ ტელევიზიის წარმატებისა და პოპულარობის წინაპირობაა. აქვე, აუცილბელად უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების სწორად ან არასწორად განკარგვა არ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. საკითხი კიდევ უფრო მეტად ღრმაა და ტელევიზიაში არსებული არაჯანსაღი ტენდენციების მაჩვენებელია. აღნიშნული მოქმედებით ირკვევა, რომ ტელევიზიაში მუშაობს ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფი, რომელიც იმდენად კარგად იცნობს 2,5 მილიონ შრომისუნარიან ადამიანს, რომ ზუსტად იცის, საქართველოს ამ ორნახევარი მილიონი მოქალაქიდან რომელს შეუძლია ყველაზე კარგად და იაფად, მაგალითად, გასართობი გადაცემის მომზადება და ეთერში განთავსება. შესაბამისად, ყოველგვარი კონკურსებისა და ტენდერების გარეშე, სწორედ მასთან დებს ხელშეკრულებას. ვფიქრობთ, ეს ძალიან საშიში ტენდენციაა და ხელს უწყობს ტელევიზიაში არაჯანსალი კონკურენციისა და ნეპოტიზმის განვითარებას. ამასთან, თუკი ქართულ სატელევიზიო ბაზარს გადავხედავთ, პირველი არხი ნამდვილად არ ტოვებს საუკეთესო და ყველაზე ეფექტური ტელევიზიის შთაბეჭდილებას. როგორც ჩანს, გადაწყვეტილების მიმღების ცნობადობა და გემოვნება ძალიან შეზღუდული და არცთუ ხარისხიანია.

მკითხველს, ალბათ, დააინტერსებს, რამდენს ხარჯავს ტელევიზია გარე სტუდიებისაგან შეძენილი პროდუქციის შესყიდვაზე. მაგალითად, 2003 წლის პირველ, მეორე და მესამე კვარტალში სქემაში მოცემულ მხოლოდ სამ მომწოდებელს ტელევიზია უხდიდა:

| N | მწარმოებელი | I კვარტალი | II კვარტალი | III კვარტალი |
|---|---|---|---|---|
| 1 | შპს "აუდიოვიზუა" | 61,764 | 118,180 | 66,668 |
| 2 | შპს "პრემიერი" | 249,512 | 242,382 | 259,629 |
| 3 | შპს "პრომო-ჯგი" | 143,146 | 134,267 | 136,087 |

გარდა იმისა, რომ ტელევიზია, საკუთარი წესდებისა და კანონის დარღვევით, საუკეთესო გადაცემების შესარჩევად ტენდერებსა და კონკურსებს არ ატარებდა, საინტერესოა ისიც, თუ ვინ არის ის ხალხი, ვისთანაც ტელევიზია, ინდივიდუალური მოლაპარაკებების წესით, წლების განმავლობაში დებს ხელშეკრულებებს.

კვლევის პროცესში გაირკვა, რომ ტელევიზია აქტიურად "თანამშრომლობდა" საკუთარ მუდმივ შტატიან თანამშრომლებთან, ამ უკანაკნელთა მიერ დაფუძნებული, კერძო სამართლის იურიდიული პირებისგან პროდუქციის შეძენის ფორმით. თავისთავად, შესაძლებელია, ამ ფაქტმა არავინ შეაწუხოს, თუკი ასეთი გადაცემები მართლაც ძალიან მაღალი ხარისხისა და მაღალრეიტინგულია, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ შტატში მყოფი თანამშრომლის მოვალეობაა, შეასრულოს მისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, რისთვისაც მას სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებიდან ეძლევა ხელფასი. ამასთან, ასეთი შპს-ებისა და ინდივიდუალური საწარმოების არსებობის შესახებ ტელევიზიის ხელმძღვანელობა მხოლოდ იმიტომ იყო ინფორმირებული, რომ ხშირ შემთხვევებში, ტელევიზიაში გადაწყვეტილების მიმღები პირები სწორედ ამ ორგანიზაციების დამფუძნებლები იყვნენ. არავითარი ობიექტური მიზეზი იმისა, რომ ესა თუ ის კონკრეტული გადაცემა ტელეეთერში მოხვდა, არ არსებობს, გარდა მისი მეპატრონის პირადი კონტაქტებისა. სწორედ ეს არის კორუფციისა და ნეპოტიზმის კლასიკური მაგალითი. საქართველოში კორუფციის გაგება ძალზე შეზღუდულია და მხოლოდ ქრთამის აღებიცემობით შემოიფარგლება, რაც სულაც არ არის კორუფციის ერთადერთი და ყველაზე მძიმე ფორმა. გაცილებით უფრო კომპლექსური და მანკიერი კორუფციის ისეთი ფორმებია, როგორიც არის ფავორიტიზმი და ნეპოტიზმი. სამწუხაროდ, საქართველოს ტელერადიოკორპორაციაში ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო და, როგორც ჩანს, მისი ხელმძღვანელობა ამას აბსოლუტურად ბუნებრივ მოვლენად თვლიდა.

რამოდენიმე კონკრეტული მაგალითი: ტელევიზიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების რედაქციის შტატშია დალი ფრიდონაშვილი, თუმცა, ტელევიზია სტუდია ძმეჯიქ პრო"-სგან ყიდულობდა გადაცემას "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" (რომლის ავტორი და წამყვანი დალი ფრიდონაშვილია, სხვა გადაცემებით კი დ. ფრიდონაშვილი ეკრანზე, ვფიქრობთ, ქართველ მაყურებელს არც ახსოვს). ტელევიზია ხელფასსაც უხდიდა თანამშრომლებს იმაში, რომ გადაცემა მოემზადებინათ და იმავე თანამშრომლისგან "ტელევიზიის გარეთ" შექმნილ პროდუქციას ცალკე ყიდულობდა.

ასევე, ერთ პირთან მოპალარაკების გზით, იძენდა ტელევიზია გადაცემა ძოქტაგონს" რომელის წამყვანი, ავტორი და სულისჩამდგმელი ქალბატონი ირმა სოხაძე გახლავთ. აღნიშნული გადაცემა ეთერში დამოუკიდებელ სუბიექტთან - ინდივიდუალურ მეწარმე ძირმა სოხაძესთან" შესაბამისი ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდა. თუმცა, როგორც კვლევის პერიოდში გაირკვა, "ინდივიდუალური მეწარმე" "ირმა სოხაძე", საქტელერადიომაუწყებლობის საშტატო განრიგის მიხედვით, იმავდროულად, ტელევიზიის გენერალური დირექტორის მოადგილეა და, შესაბამისად, აღნიშნულ გადაცემას საკუთარი თავისგან ყიდულობდა.

ანალოგიური მდგომარეობაა გადაცემა "ბასტი-ბუბუსთან" დაკავშირებითაც, რომლის დირექტორი თამარ სხვიტაძე, ამავდროულად, საქტელერადიომაუწყებლობის საბავშვო-საყმაწვილო პროგრამების დირექციის მთავარი რედაქტორი გახლავთ. ასეთი შემთხვევები ძალიან ბევრია. ტელევიზიის ეთერში სხვაგვარად მოხვედრილი გადაცემა აბსოლუტური გამონაკლისია.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ტელევიზია სახელმწიფო ბიუჯეტიდან იხდიდა ფულს იმ გადაცემების შესყიდვისთვის, რომლსაც მისივე, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თანამშრომლები ამზადებდნენ, სავარაუდოდ, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული რესურსებით. ეს მაშინ, როცა ტელევიზიის სამსახური მათი პირდაპირი მოვალეობაა. ტელევიზია მათგან, როგორც მეწარმეებისგან, ყიდულობს გადაცემებს და გადაცემებზე ექსკლუზიურ უფლებას. შესაბამისად, გასაგები ხდება, თუ რატომ ანთავსებს საქტელერადიომაუწყებლობა გადაცემებს ეთერში კონკურსისა და სათანადო შერჩევის გარეშე.

**II. როგორ ხდება შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში ტელევიზიის მართვა და არსებული რესურსების მაქსიმალური ოპტიმიზაცია?!**

ამ ქვეთავის სათაურში დასმული კითხვა აბსოლუტურად შეუსაბამო და, გარკვეულწილად, ცინიკურიც კი არის, თუკი ტელევიზიის ფინანსურ პოლიტიკას კარგად შევისწავლით.

### საშტატო განრიგი და კვლავ გარე კონტრაქტორები

შემდეგი საკითხი, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო, არის საშტატო განრიგი, რომლის გაცემა და განსაჯაროება ტელევიზიის ხელმძღვანელობისთვის ერთ-ერთი ყველაზე რთული აღმოჩნდა.

**საქტელერადიომაუწყებლობაში დასაქმებული იყო 2036 ადამიანი**. ამ რიცხვის გაგებისთანავე უამრავი კითხვა ჩნდება:

**სჭირდებოდა დაწესებულებას ამ რაოდენობის თანამშრომელი?**
**რა უჯდებოდა სახელმწიფოს მათი შენახვა?**
**რამდენად რაციონალურად იყენებდა ტელევიზია მის გამგებლობაში არსებულ ადამიანურ რესურს?**

ამ კითხვებზე პასუხი ტელევიზიის ხელმძღვანელობამ რამოდენიმე თვის წინ მარტივად გასცა, როდესაც თანამშრომელთა უდიდესი უმრავლესობა, ყოველგვარი ბოდიშისა და მათი ღვაწლის გაცნობიერების გარეშე, გაათავისუფლა. სამწუხაროდ, საქართველოში საჯარო სამსახურში მყოფ პირებთან მიმართებაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ადასტურებს, რომ ქვეყანას კანონის უზენაესობის, არადისკრიმინაციული პოლიტიკისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიზნის მიღწევამდე დიდი გზა აქვს გასავლელი და ეს გზა, ძირითადად, მმართველთა მენტალობის შეცვლაზე გადის. ქვეყანაში მიმდინარე მასიური გათავისუფლებების კასკადში ტელევიზიაში მომხდარმა მოვლენებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

თუმცა, საინტერესოა, რა ხდებოდა შემცირებებამდე და რამდენად იყენებდა ტელევიზია არსებულ რესურს. მდგომარეობა აბსოლუტურად კურიოზულია. მიუხედავად ტელევიზიის ასეთი მაღალი საშტატო მაჩვენებლისა, პრაქტიკულად, ნებისმიერი საქმიანობის განტორციელებისთვის ტელევიზიის ხელმძღვანელობა გარე დახმარებას ეძებს და კონკრაქტორებს ქირაობს. ამის მაგალითები ბევრია.

საშტატო განრიგით გათვალისწინებული იყო ენერგეტიკის სამსახური, რომელშიც დასაქმებული იყო 60 ადამიანი. ამათგან 17 – ელექტრომექანიკოსი, 8 – ინჟინერი და ა.შ. საქტელერადიომაუწყებლობის მიერ 2003 წლის 31 მარტს სს "ერისიდიმედთან" გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ეს უკანასკნელი კისრულობდა ვალდებულებას, შეესრულებინა ელექტროალრიცხვიანობის სისტემის მოწესრიგებისათვის შემდეგი სამუშაოები: ა) ელექტროქსელის შესწავლა; ბ) დადგმული სიმძლავრეებისა და ხარჯვის მაჩვენებლის ანალიზი; გ) რეკომენდაციებისა და შესასრულებლი სამუშაოების აღრიცხვა.

იმავე საშტატო განრიგით გათვალისწინებულია 38 მძღოლი. მაშინ, როცა ტელევიზიას, მისივე ინფორმაციით, ჰყავს 33 მსუბუქი ავტომანქანა. მათ შორის, 4 ავტოსატრანპორტო შემთვევის გამო აღდგენას არ ექვემდებარება, 7 - ჯერ კიდევ 80-იან წლებში არის გადაცემული კორესპონდენტებზე და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ცნობილი მოვლენების შემდეგ ამორტიზებული და გაძარცულია, აღდგენას არ ექვემდებარება.

იმავე საშტატო განრიგით გათვალისწინებულია 6 დალაქი. თუმცა, ტელევიზია ყოველწლიურად უამრავ ფულს ხარჯავს გარე კონტრაქტორებზე სხვადასხვა სილამაზის სალონებში იმავე სამუშაოს შესასრულებლად.

საქტელერადიომაუწყებლობას ბარტერული წესით "ისი პარისგან" შეძენილი აქვს ვიზაჟისტებისა და სტილისტების მომსახურება, რომლის საფასურია 27 900 ლარი (1 ვიზაჟი – 45 ლარი, ერთი ვარცხნილობა 19,2 ლარი). მეორე ხელშეკრულება დადებულია 15 500 ლარის თანხაზე შპს "ჯი-ემ-ემ"-თან, რომესაც მაუწყებლობა უთმობს ამავე საფასურის საეთერო დროს რეკლამების განსათავსებლად. ფასები ძალზედ შთამბეჭდავია. ვფიქრობთ, ძალიან მდიდარი ტელევიზიის შემთხვევაშიც კი, მისი მეპატრონე აქტიურად მოიძიებდა უფრო იაფ ალტერნატივას.

თავისთავად, სილამაზის სალონებთან კონტრაქტები სხვა ბევრ კითხვასაც ბადებს. მაგალითად, რისთვის და რა ფუნქციების შესასრულებლად ქირაობს ტელევიზია მათ? რომელი გადაცემებისთვის იყენებს? თუკი ეთერს გადავხედავთ და გადაცემებს გარე სტუდიებისგან შეძენილი გადაცემების სქემაში განვათავსებთ, ძალიან ცოტა, ძირითადად, საინფორმაციო გადაცემების ნაწილი დაგვრჩება თავად ტელერადიომაუწყებლობის ანგარიშზე. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ამ გადაცემების სტუმარი, ადვილად შეამჩნევდა, რომ არც კოსმეტიკური პროდუქცია და არც მომსახურება, ნამდვილად არ არის ძისი პარის". უფრო მეტიც: ერთ-ერთი ყველაზე ცუდია ქართულ სატელევიზიო სივრცეში. ქალბატონები, რომლებიც ამ ფუნქციას ასრულებდნენ, სავარაუდოდ, სწორედ ის შტატით გათვალისწინებული ადამიანები არიან, და არა ტელევიზიის მიერ დაქირავებული "ისი-პარის" ვიზაჟისტები. შესაბამისად, იბადება კითხვა: როდის, სად და რა ფუნქციის შესასრულებლად იყენებდნენ "ისი-პარის" მომსახურებას? რომელი გადაცემებისათვის? ან საერთოდ, იყენებდნენ კი? რა დგას ამ კონტრაქტების უკან სინამდვილეში?

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ბევრ სხვა საქმიანობაში, როდესაც მუდმივად სახეზე გვაქვს ხელმძღვანელობის უნდობლობა შტატიანი თანამშრომელების მიმართ და დიდი კონტრაქტები გარე მომსახურებისათვის.

მხოლოდ ერთი მაგალითით დავკმაყოფილდეთ:

2002 წლის 1 იანვრიდან 2003 წლის 1 ივნისამდე სარემონტო სამუშაოებზე, სხვადასხვა იურიდიულ პირებზე გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, გაწეულია 49 459 ლარის ხარჯი მაშინ, როდესაც საქტელერადიომაუწყებლობის საშტატო განრიგით ცალ-ცალკე განყოფილებებად არის დაყოფილი კაპიტალურ მშენებლობის სამმართველო და შენობა-ნაგებობათა საექსპლუატაციო განყოფილება. ორივე სამსახურში ერთად, დასაქმებული და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულია 71 ადამიანი.

2003 წლის 10 თებერვალს საქტელერადიომაუწყებლობა ხელშეკრულებას უდებს სს. ძბიგებ"-ს ტელევიზიის I კორპუსის N339 ოთახის მიმდინარე რემონტის ჩატარებაზე, რომლის ღირებულებაც, ხელშეკრულების შესაბამისად, შეადგენს 1,300 ლარსDდღგ-ს ჩათვლით. შესყიდვების სააგენტოსთვის მიწოდებული ანგარიშით, ძბიგებ"-ისთვის ფაქტიურად გადახდილი თანხა შეადგენს 11,300 ლარს, ხოლო შესყიდვის შედეგად წარმოქმნილი საქტელერადიომაუწყებლობის კრედიტორული დავალიანება - 45 840 ლარს. ეს, თავისთავად, მრავლისმომცველი და საინტერესო გარიგებაა, რომლის მსგავსიც ტელევიზიის საქმიანობის დოკუმენტური შესწავლისას ბევრი შეგხვდებათ. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი ინტერსი იმაში მდგომარობს, რომ 71 კაციანი შტატის არსებობის პირობებში, მაუწყებლობა ერთი ოთახის რემონტისთვისაც კი, გარე კონტრაქტორს ეძებს. ვფიქრობთ, ეს არის კლასიკური მაგალითი თანამშრომლების მიმართ უპატივცემლობის, სახელმწიფოსადმი არაკეთილსინდისიერი და საბიუჯეტო მოთხოვნებისადმი არაჯანსალი მიდგომისა.

ტელევიზიის ხელმძღვანელობა დღეს აცხადებს, რომ შტატი გაბერილი და ტელევიზიის მოთხოვნებისათვის შეუსაბამო იყო. ძნელია, სხვაგვარი წარმოდგენა შეგექმნას, თუკი საკუთარი თანამშრომლების პოტენციალის მხოლოდ 10 პროცენტს იყენებ და დანარჩენს, უკეთეს შემთხვევაში, უბრალოდ, უნდობლობას უცხადებ, ან, უფრო სავარაუდოდ, ნიადაგს ქმნი იმისათვის, რომ მომავალში მათი უსარგებლობა დაამტკიცო.

**III. მივლინებები სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობაში"**

ცალკე თემა და დიდი კურიოზია მივლინებების საკითხი საქტელერადიომაუწყებლობაში. აქ მივლინებების გაცემის საკითხი ხელმძღვანელი პირების ბრძანების საფუძველზე წესრიგდება.

თითქმის ყველა ასეთ ბრძანებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ზოგადი ფრაზები. მაგალითად: 2002 წლის 16 იანვრის N12 ბრძანებით, "მეორე არხის" გენერალური დირექტორის მოადგილე, ნინო დარასელი, მივლინებულ იქნა 27 დღით აშშ-ში ფილმის მომზადების მიზნით. რა ფილმზეა საუბარი - გაურკვეველია. იგივე მდგომარეობაა 2002 წლის 11 ნოემბრის N269-ე ბრძანებაშიც, რომლითაც ისევ ნ. დარასელი ტელეკომპანია "მეორე არხის" "საჭიროებისათვის მასალების მოსაპოვებლად" მივლინებულ იქნა 14 დღით ქ. ათენში. ასევე, "სამსახურეობრივი საჭიროებისათვის" 6 დღით ქ. პარიზში მივლინებულ იქნა ძმეორე არხის" გენერალური დირექტორის მოადგილე, ლევან ყუბანეიშვილი, ქ. ათენში 19 დღით - იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი ეთერ ზურაბიანი. საქტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ლეონიძე მივლინებულ იქნა პარიზში 17 დღით "ტრენინგების ჩატარებაში მონაწილეობის მიღების მიზნით". უცნობია, თუ ვის მიერ არის მოწყობილი ეს ტრენინგი და რას ეხება იგი.

საინტერესოა 2002 წლის 3 სექტემბრის N187 და 7 ნოემბრის N268 ბრძანებებიც, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათში გადაკეთებულია ციფრები, არამედ იმიტომაც, რომ ეს უკანაკნელი ითვალისწინებს გაერთიანება ძმოამბის" პროდიუსერის, ზურაბ დვალის მივლინებას 8 დღით ქ. მოსკოვში *გადაცემა ძრას ფიქრობს ხალხისთვის"* სპეციალური რეპორტაჟის მოსამზადებლად. ბრძანება საინტერესოა იმიტომ, რომ გადაცემა *"რას ფიქრობს ხალხი" დამოუკიდებელი სტუდიის მიერ მომზადებული* გადაცემაა, რომელსაც ტელევიზია დამოუკიდებლად ყიდულობდა, თუმცა, მისი მივლებისთვის ფულს ცალკე იხდიდა.

მივლინებები, ბუნებრივია, ფინანსდებოდა არა მხოლოდ უცხოეთში, არამედ საქართველოშიც და, მიუხედავად ხარჯებში დიდი სხვაობისა, ეს უკანასკნელიც საინტერესოა. 2003 წლის მივლინებებში ყურადღებას იპყრობს გადაცემა "პოზიციის" მოსამზადებლად გაცემული მივლინებები. სულ გაცემულია 9 მივლინება. თითოეული მათგანის ანაზღაურება 720-780 ლარს შორის მერყეობს, თუმცა, ეს გადაცემა საერთოდ არ გასულა ეთერში და ისიც გაურკვეველია, რომელი არხისთვის და რა მიზნით მზადდებოდა, ანდა რატომ არ მოხვდა ის ეთერში.

განსაკუთრებით საინტერესო და ერთობ საეჭვოა საზაფხულო მივლინებები. განსაკუთრებით, თუკი შევადარებთ ზაფხულის საინფორმაციო აქტივობასა და "შემოქმედებით" სამივლინებო დატვირთულობას ტელევაზიაში. მივლინებების მიმართულება, ძირითადად, აჭარაა. მაგალითად, თათია ხაინდრავა 28 ივლისს, მივლინებულ იქნა ქ. ბათუმში 8 დღით, **პოეზიის საღამოზე** დასწრების მიზნით. 26 ივლისს - 10 დღით გადაცემა ძალიონისა" და ძნაშუადღევისთვის" შტატგარეშე კორესპონდენტები. 12 სექტემბერს - ჯულიეტა ვაშაყმაძე, მისი მეუღლე და ვაჟი 7 დღით გადაცემა ძჩვენი მისამართიას" მოსამზადებლად. 2003 წელი, ისევ გადაცემა "ჩვენი მისამართია", იგივე შემადგენლობა 19 სექტემბერს მივლინებულ იქნა ქ. ბათუმში 11 დღით, გამოყოფილი თანხა - 1440 ლარი. 2003 წლის 8 აგვისტოს სარეკლამო ბადის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, **ბათუმში**, მივლენილ იქნა 13 დღით სარეკლამო დეპარტამენტ "ტვ რადიოს" რადიორეკლამის მენეჯერი ეკატერინე ლომიძე და გამოეყო სამივლინებო თანხა 764 ლარი.

### დასკვნა

ეს არის ძალიან მოკლედ იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც წლების განმავლობაში საქტელერადიომაუწყებლობაში სუფევდა. დარღვევები უმარავია და მკითხველის ყურადღება შეგნებულად არ შევაჩერეთ ისეთ რთულ თემებზე, როგორიც არის კრედიტორული დავალიანებების წარმოშობა, გაურკვეველი საბანკო გადარიცხვები, სარეკლამო ბარტერები და სხვა მრავალი. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, მიიღოს სრული ანგარიში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფისში ან გადმოტვირთოს ასოციაციის ვებ-გვერდიდან **www.gyla.ge.**

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში გამოძიება, კორუფციასთან ბრძოლა და სამართლიანობის დამკვიდრების მცდელობები შერჩევითია. თემიდას მახვილი შერჩევით მოქმედებს და მიზანმიმართულად ერიდება მათ, ვინც რევოლუციის წინ, თუნდაც სულ ბოლო მომენტში, სწორი სვლა განახორციელეს.

დარწმუნებულნი ვართ, რომ თუკი სამართალი შერჩევითი უნდა იყოს (რაც, თავისთავად, არასწორი და უსამართლოა), მაშინ ეს უკანასკნელი სწორედ მათ უნდა შეეხოთ, ვინც ათასობით ადამიანს ვნებდა და ტკივილს აყენებდა. სახელმწიფო ტელევიზია, ალბათ, სწორედ ის გამონაკლისია, რომელიც ხმას მთელ ქვეყანას აწვდენდა, რომელიც ქვეყნის განვითარების სამსახურში უნდა ყოფილიყო და რომლის პასუხისმგებლობაც მომავლის წინაშე ყველაზე უფრო მაღალია, ისევ და ისევ იმის გამო, რომ მასზე ხელი ამ ქვეყნის ყველა მოქალაქეს მიუწვდება. შესაბამისად, გავლენაც ყველაზე დიდია. სწორედ ამიტომ გაუგებარია, რატომ დუმს თემიდა?

მომზადებულია "ღია საზოგადოება - სამართლიანი ინიციატივის" ფინანსური მხარდაჭერით

20 წელი ნოდარ დუმბაძის გარდაცვალებიდან



B2

ფრანგული გაკვეთილი



B4

აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გარანტირებული აღდგენის კონცეფცია

B5

ღია წერილი

# მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

თქვენო აღმატებულებავ, ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

ქართული პროფესიული დოკუმენტური კინოსათვის დადგა გადამწყვეტი მომენტი. მდგომარეობა ისეთი სერიოზულია, იმდენი პრობლემა დაგროვდა ამ 10 წლის მანძილზე, რომ თავს ვალდებულად ვთვლით გაგაცნოთ არსებული ვითარება.

ათეული წლების მანძილზე კინოსტუდია "მემატიანე" იყო დამოუკიდებელი საწარმო საკუთარი შემოქმედებითი და ტექნიკური პერსონალით და მის ბალანსზე არსებული უძრავ-მოძრავი ქონებით. მაგრამ, როცა 1990-იან წლებში დაიწყო და აღარ გათავდა ქვეყანაში კრიზისი, როცა მთელმა ქართულმა კინომ შეკვეცა წარმოება, - გამეფდა შიშისა და დაუცველობის შეგრძნება. ისარგებლეს რა ამით, ქართული დოკუმენტური კინოს აღორძინების დაპირებებით, კინოსტუდია "მემატიანეს" დააკარგვინეს დამოუკიდებლობა და გახადეს სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმის" შვილობილი კომპანია, რომლის წილის 100 პროცენტის მფლობელიც გახდა ს/ს "ქართული ფილმი" (შეგახსენებთ, რომ ჩვენი სტუდია სხვადასხვა დროს შედიოდა კულტურის სამინისტროს, კინოკომიტეტისა თუ კინოკორპორაციის უწყებებში, მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებდა როგორც იურიდიულ, ასევე რეალურ დამოუკიდებლობას, და არასოდეს გახლდათ იმ სააქციო საზოგადოების წევრი, რომელიც ჯერ კიდევ გასარკვევია, არის სინამდვილეში მართლაც "სააქციო საზოგადოება" თუ არა).

კინოსტუდია "მემატიანის" "ქართულ ფილმთან" შეერთების შემდგომ რაც მოხდა იცის ყველამ: ამ დღიდან დაიწყო ჩვენი დაქცევა. დამოუკიდებლობის დაკარგვამ ყოველგვარ ინიციატივას მოუსპო გასაქანი. მთავრობიდან დაფინანსების მომლოდინე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობისათვის ახალი დროის დოკუმენტური კინოს მენეჯმენტი გაუგებარი აღმოჩნდა. სააქციო საზოგადოება "ქართულმა ფილმმა" ვერ აუღო ალღო თანამედროვე კინოს ტექნოლოგიური რევოლუციის სპეციფიკასაც. არ იქნა და არ დაიწყო წარმოების მოდერნიზაცია, არ მოხდა კინოფირიდან ვიდეოფირზე თანდათანობითი გადასვლა. ფილმების წარმოება კატასტროფულად შემცირდა. სტუდიის არქივიც უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა. კინოსტუდია "მემატიანემ" სულის ღაფვა დაიწყო.

სამაგიეროდ, სააქციო საზოგადოება "ქართულმა ფილმმა" ჩაიგდო ხელში მთავარი, რაც უნდოდა - კინოსტუდია "მემატიანის" უძრავ-მოძრავი ქონება. "ქართული ფილმი" დაეუფლა, მაგრამ ვერც დოკუმენტური და ვერც მხატვრული კინოს განვითარებისათვის ვერ გამოიყენა "მემატიანის" ქონება და ახლა, პირდაპირი თუ შემოვლითი გზებით, ასხვისებს მას. წარმოუდგენელი უსამართლობაა: სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმი", რომელმაც დიდი ხანია, რაც თვითონ შეწყვიტა განვითარება და ველარ ასრულებს თავის პირდაპირ და ერთადერთ მოვალეობას - კინოფილმების შექმნას (და ამიტომაც შეტანილია გასაყიდ საწარმოთა რეესტრში), ასხვისებს კინოსტუდია "მემატიანეს", რომელსაც არა თუ არაფრით დაეხმარა, - თვითონვე მოუჭრა განვითარების გზები! "მემატიანე" დაემსგავსა "ტიტანიკზე" მიბმულ ნავს, რომელსაც ულმობლად ითრევს ფსკერისკენ არასწორად აგებული და ბრმა მართვით დაღუპული გემი.

ბატონო პრეზიდენტო, ვინაიდან სააქციო საზოგადოება "ქართულ ფილმთან" კინოსტუდია "მემატიანის" მიერთება საფუძველშივე მცდარი და იურიდიულად არაკორექტული გადაწყვეტილება იყო, რადგანაც ს/ს "ქართულმა ფილმმა" უკვე თითქმის შეწყვიტა საკუთარი ფუნქციების შესრულება და მისი მომავალი საკმაოდ ბუნდოვანია, **მოგმართავთ თხოვნით, დაგვეხმაროთ კინოსტუდია "მემატიანის" სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმიდან" გამოყოფის საქმეში.** ჩვენმა სტუდიამ უნდა აღიდგინოს ის დამოუკიდებელი სტატუსი, რომელიც მას ჰქონდა ათეული წლების მანძილზე. გარდა ამისა, გთხოვთ, ყველა ღონე იხმაროთ, რათა **დოკუმენტური კინო აღიარებულ იქნას სახელმწიფოს მხრიდან პრიორიტეტულ დარგად, ხოლო კინოსტუდია "მემატიანის" აქციების მინიმუმ 51 პროცენტი მაინც არ გაიყიდოს და დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში.**



*კადრი ფილმიდან "ჯიმ შვანთე"*

ასეთი თხოვნით მოგმართავთ იმიტომ, რომ მიგვაჩნია: დოკუმენტური ფილმების სტუდია არის სახელმწიფოსთვის აუცილებელი ინსტიტუტი. მნიშვნელობით იგი უტოლდება ისტორიისა და ხელნაწერთა ინსტიტუტებს. როგორც არ შეიძლება ხელნაწერთა ინსტიტუტის თავისი ხელნაწერებით კერძო პირისთვის მიყიდვა ან რაიმე სხვა ფორმით გადაცემა (ასეთი ფორმები ხშირად უფრო მზაკვრულიც გახლავთ), ასევე არ შეიძლება საქართველოში ერთადერთი პროფესიული დოკუმენტური სტუდიის განსახელმწიფოებრიობა. გარდა ამისა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კერძო მესაკუთრისათვის (რაგინდ კეთილი მიზნებიც არ ამოძრავებდეს მას) არც იმის გადაცემა, რაც უკვე გადაღებულია და არც იმისა, რასაც ახლა ვიღებთ და გადავიღებთ მომავალში. ქართული დოკუმენტური კინოს არქივი მყარად უნდა გახდეს დაცული შემთხვევითობებისაგან.

კარგად მოგეხსენებათ, რა ძალა აქვს დოკუმენტურ კინოს. მას შემდეგ, რაც გაჩნდა კინემატოგრაფი, ისტორიის ფიქსირება ხარისხობრივად ახალ სტადიაში გადავიდა. დოკუმენტური კინო გახდა კაცობრიობის ხედვითი მეხსიერება, მისი მატიანე, მისი ისტორიული ძეგლი, რომელსაც რაც დრო გადის, მეტი და მეტი ფასი ედება. დოკუმენტურ კინოს აღმოაჩნდა საზოგადოებაზე უდიდესი ზემოქმედების უნარი, იგი ეროვნული თვითშეგნებისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გადაიქცა. დოკუმენტური კინო მსოფლიომ "ხელოვნებისა და ისტორიის სინდისად" აღიარა.

ასეა ჩვენთვისაც. ქართველებისთვის დოკუმენტური კინო კინოფირზე გადატანილი "ქართლის ცხოვრებაა". 1907 წლიდან მოყოლებული საქართველოში განუწყვეტლივ იღებდნენ ყველა მოვლენას. დაგროვდა უდიდესი განძი დოკუმენტური ფილმების და კინოქრონიკის სახით. (უთვალავი სამეცნიერო, სასწავლო, შემეცნებითი, ფოლკლორული, მუსიკალური, სპორტული, ისტორიული, სამხედრო, საოჯახო, ბიოგრაფიული, საბავშვო, ხედვითი ფილმი, კინოჟურნალი თუ ყოფითი მასალა - ფასდაუდებელი თავისი მნიშვნელობით). რაც მთავარია, ჩვენი დოკუმენტური მემკვიდრეობა გამოირჩევა უმაღლესი პროფესიონალიზმითა და ნიჭიერებით: ვასილ ამაშუკელის "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" (1912) იყო პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი მსოფლიოში და, საერთოდ, პირველი ფილმი პოეტის შესახებ, მიხეილ კალატოზიშვილისა და დავით კაკაბაძის "ჯიმ შვანთეზე" (1928) ჩარლი ჩაპლინმა განაცხადა, ყველა ჩემს ფილმს ვცვლი ამ საოცრებაშიო, ირაკლი კანდელაკმა მოახერხა მეორე მსოფლიო ომის დროს შეეღწია ფერეიდანში და გადაეღო ჟრუანტელის მომგვრელი მასალა, რეზო თაბუკაშვილის უკვდავმა ციკლმა შეძრა იმდროინდელი საქართველო და რადიკალური ზეგავლენა იქონია საზოგადოებაზე, გურამ ჟვანიამ ჯერ კიდევ 70-იან წლებში პირველმა კინოში მიაგნო Discovery-ს სტილს და მანამდე უმნიშვნელოდ მიჩნეული სამეცნიერო ფილმები ხელოვნების დონემდე აიყვანა. და კიდევ უამრავი ფილმი, რომელიც არა თუ უცხოელებმა, ქართველებმაც აღარ ვიცით. თუ ასე გაგრძელდა, სულ მალე აღარ იქნება არც ქართული დოკუმენტური კინო და არც მისი არქივი ისე, თითქოს არც არასოდეს ყოფილიყოს.

და ეს იმიტომ, რომ 1996 წელს კინოსტუდია "მემატიანეს" დააკარგვინეს დამოუკიდებლობა და მიუერთეს აბსოლუტურად არასიცოცხლისუნარიან ორგანიზმს - ს/ს "ქართულ ფილმს", რომელთან გაერთიანების შემდეგ "მემატიანეში" პრაქტიკულად შეწყდა ფილმების წარმოებაც და არქივის მოვლაც, რასაც მანამდე მშვენივრად ახერხებდა დამოუკიდებელი კინოსტუდია "მემატიანე" - ჩვენი ისტორიის უმძიმეს პერიოდებშიც კი.

არადა, ამჟამად მსოფლიოში დოკუმენტური კინოს არნახული აღზევება დაიწყო. არსებობს ქვეყნები (მათ შორის ეკონომიკურად ძლიერნიც), სადაც საერთოდ არ იღებენ მხატვრულ ფილმებს, მაგრამ ვერ მოძებნით დედამიწის ზურგზე ქვეყანას, ტომსაც კი, სადაც არ აწარმოებდნენ დოკუმენტურ ფილმებს, სადაც არ აღნუსხავდნენ საკუთარ ისტორიას. კინო და ტელეეკრანის მთელი დროის 60-65 პროცენტს იკავებენ დოკუმენტური ფილმები და მათზე მოთხოვნა დღითი დღე მატულობს (ტელევიზიის საოცარმა განვითარებამ ხელი შეუწყო დოკუმენტური კინოს განვითარებასაც, თუმცა მოხდა მათი მკვეთრი გამიჯნვაც: ტელეგადაცემა დოკუმენტალისტიკას თითქოს ენათესავება, მაგრამ მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ჟურნალისტების სტატიებსა და ფუნდამენტურ შრომებს შორის). პროფესიული დოკუმენტური კინოს მნიშვნელობა განუზომელია და ამიტომ ეს დარგი ნებისმიერი ქვეყნის პრიორიტეტულ დარგად მიიჩნევა. მას მფარველობენ როგორც მთავრობები შეღავათებითა და დახმარებებით, ასევე კერძო ინვესტორები (დსთ-ს ქვეყნებშიც კი).

გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ საქართველო. დოკუმენტური ფილმების მისი ერთადერთი კინოსტუდია "მემატიანე" და მისი არქივი აბსოლუტურად უყურადღებოდ არის მიტოვებული. არა თუ რაიმე შეღავათი - დახმარების სიებიდან ამოშლისას, პირველ რიგში "მემატიანეს" ამოშლიან ხოლმე. შედეგი კოშმარულია: ქართული დოკუმენტური კინო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას. კინოსტუდია "მემატიანე", ეს ოდესღაც დიდი სტუდია, რომელიც აკეთებდა დიდ საქმეს და ქმნიდა დიდ ფილმებს, ახლა ხელიდან გვეცლება.

ქართული დოკუმენტური კინო ნამდვილად არ იმსახურებს ასეთ უსახელო აღსასრულს. იგი ყოველთვის ემსახურებოდა სახელმწიფოებრივ საქმეს და მის ერთ-ერთ მხსნელადაც სწორედ სახელმწიფო გვესახება, მით უმეტეს ახლა, როცა ქვეყანას გადარჩენის იმედები გაუჩნდა.

"ვარდების რევოლუციის" ტალღაზე 2004 წლის თებერვალში სტუდიის ხელმძღვანელობაში ახალი გუნდი მოვიდა, შემოიკრიბა შრომისუნარიანი, ახალი თუ ძველი თაობის კინემატოგრაფისტები და დაიწყო მუშაობა სტუდიის აღდგენისათვის. დიდი სიძნელეების მიუხედავად, ჩვენი სტუდია მაინც აკეთებს თავის საქმეს: გარედან ყოველგვარი დაფინანსების გარეშე, ქმნის და შეძლებისდაგვარად უვლის საკუთარ არქივს, ინახავს სტუდიის შენობას, და, რაც მთავარია, წარმოუდგენელი დაძაბულობის ხარჯზე, მაინც აწარმოებს გადაღებებს. რაც არ უნდა მოხდეს, გადაღებების შეწყვეტა არ შეიძლება - გაჩერება სიკვდილის ტოლფასია. მაგრამ, ხელფეხშეკრულთ, გვიჭირს წინსვლა, რადგან სრულად ვერ ვახორციელებთ დღესდღეობით ასე აუცილებელ რეფორმებს. რეფორმა კი საჭიროა ძველის ინერციის გარდატეხისათვის, სტუდიის აღდგენისათვის და, ბოლოს და ბოლოს, ვალდებულებების ზუსტი აღსრულებისათვის. კინოსტუდია "მემატიანეს" კი სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე გააჩნია შემდეგი ვალდებულებები:

1. **ფილმები.** დოკუმენტური, პოლიტიკური, სამხედრო, ისტორიული, სასწავლო, შემეცნებითი ფილმების გადაღება საქართველოს შესახებ და მათი მსოფლიოში გავრცელება.

2. **ქრონიკა.** სტუდია გამუდმებით უნდა იღებდეს მიმდინარე მოვლენებს. ყოველი გაცდენილი დღე "ქართლის ცხოვრების" ფურცლის ამოშლის ტოლფასია. მინიმუმ ერთი პროფესიული კინოჯგუფი უნდა იყოს მზად 24 საათის განმავლობაში მოულოდნელი მოვლენის გადასაღებად.

3. **არქივი.** სამწუხაროდ, ძველმა ფირმამ (ნეგატივი) თითქმის ყველგან ერთდროულად გაფუჭება დაიწყო. მასზე აღბეჭდილი გამოსახულება ჯერ იწყებს დაშლას, შემდეგ კი უეცრად იქცევა მტვრად. კინოფირი ვერ უძლებს დროს - ამიტომ მთელ მსოფლიოში არქივები (კინო, ვიდეო, ფოტო, ფონო) გადაიტანეს თანამედროვე მატარებლებზე, რომელიც პრაქტიკულად მუდმივად ინარჩუნებს გამოსახულებისა და ხმის იდენტურობას. არქივები გადარჩა ყველგან, საქართველოს გარდა. შევეგუოთ ამ ვითარებას?

არავითარ შემთხვევაში. ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ჩვენი ერის ხილული ისტორია, მისი მართლაც ოქროს ფონდი. ამისათვის კი საჭიროა არქივის ციფრულ მატარებლებზე გადატანა. შესაძენია სპეციალური თანამედროვე აპარატურა (ჩვენ ამას შევძლებთ ჩვენით - თუ იქნა სახელმწიფოს ხელშეწყობა) და აუცილებელია სამუშაო პროცესის გადაუდებლად დაწყება. რადგან ფირის დაშლის პროცესი მიმდინარეობს განუწყვეტლივ. აი, ახლაც, ამ მომენტშიც, ვკარგავთ განძს.

ამავე დროს, თანამედროვე მეთოდებით მოვლილი არქივები ყველგან მნიშვნელოვანი შემოსავლების უწყვეტ წყაროდაც იქცა: დოკუმენტურ კინოკადრებზე მოთხოვნა განუწყვეტლივ იზრდება. სტუდიები ველარ აუდიან შეკვეთებს. ჩვენც გვაქვს ბევრი წინადადება სხვადასხვა ქვეყნიდან, ჩვენი ისტორიაც აინტერესებთ და გვთხოვენ როგორც ფილმებს, ასევე ცალკეულ ეპიზოდებსა და კადრებს ფილმებიდან. მაგრამ ჩვენ ვერ ვაწვდით ხარისხიან მასალებს. უხარისხო კი არავის არაფერი უნდა. ამით გვეკარგება არა მხოლოდ შემოსავალი: რაც ყველაზე გულსატკენია, საქართველო კარგავს ავტორიტეტს, იმიჯს, რადგან ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება საქართველოს შესახებ არის ზედაპირული, არასწორი, ხშირად კი შეგნებულად დამახინჯებული. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ჩვენი დოკუმენტური კინო და მისი არქივი უნდა დაეხმაროს მსოფლიოს სწორი ინფორმაციის მიღებაში საქართველოს შესახებ. ამის შესაძლებლობები კი ამოუწურავია.

4. **უნივერსალური ქართული კინო-ვიდეო-ენციკლოპედია.** მას შემდეგ, რაც გადავარჩენთ არქივს (ამაში ეჭვი არც გვეპარება), კინოფირზე აღბეჭდილი გამოსახულების ახალ მატარებლებზე გადაყვანა (ჩაწერა, კლასიფიცირება და არქივირება) უნდა მოხდეს ენციკლოპედიური პრინციპით. და საერთოდ: დადგა დრო ერთიანი და უნივერსალური ქართული კინო-ვიდეო-ენციკლოპედიის შექმნისა (დარგების მიხედვითაც: მაგ: "ქართული ეკლესიის ენციკლოპედია", ასევე ემიგრაციის, ჯარის, სპორტის, სიმღერის და სხვ). ეს საკითხიც დიდი ხანია მომწიფდა. ვიდეოდისკებზე უნდა შევიდეს ყველაფერი საქართველოს შესახებ: ყველა ფოტო, ნახატი, ნახაზი, წიგნი, ხელნაწერი, ცნობა ყველა მოვლენისა თუ პერსონალიის შესახებ, ყველა ქართული ფილმი, გადაღებული საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ და არა მარტო ჩვენს სტუდიაში: უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ტელევიზიებმა და, აგრეთვე, კინომოყვარულებმა, დააგროვეს ქართული სინამდვილის ამსახველი ბევრი საინტერესო მასალა (თუმცა, ტექნიკურად მეტად უხარისხო: არათუ 8-16 წლის წინანდელი, - ახალი ტელე-ვიდეომასალაც უკვე ნახევრად ბნელია. მასაც არ უწერია გრძელი დღე, ისიც ჩვენ თვალწინ ილუპება და გადარჩენას ითხოვს სასწრაფოდ). ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ეს დაგვეხმარებოდა ყველანაირი ვიზუალური მასალის თავმოყრაში, მეტი კონტროლის დამყარებასა და დაცვაში ჩვენი ამ განძეულის უსისტემო და საეჭვო გადინებიდან. სამუშაო გრანდიოზულია, მაგრამ ეს საქმე ჩვენ დავიწყეთ და უკვე მივაღწიეთ წინასწარ შეთანხმებას მსოფლიოში აღიარებულ ფინურ ფირმასთან Qualitron Oy Ab, რომლის პრეზიდენტი ტ. კირიალაინენი სპეციალურად ეწვია თბილისს. Qualitron-ს ამდაგვარი პროექტების რეალიზაციაში უდიდესი გამოცდილება გააჩნია. მას შეუძლია უზრუნველყოს საქართველო რარიტეტული ფილმების სარესტავრაციო და სატირაჟო დანადგარების დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე მოწინავე კომპლექსით. მათთან ურთიერთობა იძლევა მყარ გარანტიას ჩვენი პროექტის დროულად და ხარისხიანად ამოქმედებისა.

გასაგებია, რომ ყველაფერი ზემოთქმული უტოპიად დარჩება, თუ არ მოიძებნა სერიოზული ინვესტიციები. საქმეც ის არის, რომ გამოჩნდნენ ინვესტორები, ჩვენი თანამემამულენი, უცხოეთის მოქალაქენი, რომლებიც საქართველოს დიდ საჩუქარს უმზადებენ. მათ პირდაპირ განაცხადეს: ჩვენი სახსრებით დავშლით და თავიდან ავაშენებთ "მემატიანის" შენობას და დავუბრუნებთ მას ისტორიულ პირველსახეს (ნგრევის პირამდე მისული ქართული კინოს ყველაზე ადრინდელი შენობის რესტავრაცია პრაქტიკულად შეუძლებელია. ექსბალიან მიწისძვრასაც შეუძლია გამოიწვიოს სავალალო შედეგი).

ინვესტორებმა განაცხადეს, რომ, გარდა ამისა, თანახმანი არიან ააშენონ ახალი სტუდიის ახალი შენობა და ააგონ აგრეთვე, სტუდიის ეზოში შენობა კულტურის ფონდისა, რომელიც გახდება კინოსტუდია "მემატიანის" ფინანსური დონორი. და ხაზი გაუსვეს, რომ მათ მოგებიდან არც ერთი თეთრი არ უნდათ: მთელი შემოსავალი - საქართველოს. ეს იქნება ჩვენი საჩუქარი ახალი საქართველოსთვისო. გვთხოვეს ერთადერთი რამ: აგვარიდეთ ბიუროკრატიული და იურიდიული წინააღმდეგობანი და დაუყოვნებლივ დავიწყებთ მშენებლობასო. ეს გაიმეორეს არაერთხელ, მათ კარგად იციან ჩვენი ამბავი. მათთვის ადრე უკვე უტკენიათ გული საქართველოში.

ბატონო პრეზიდენტო, არ გვინდა ასეთი უანგარო ინვესტორების დაკარგვა. გვეშინია გამოუსწორებელი შეცდომის დაშვებისა, გვეშინია არ დაიკარგოს ასეთი საოცარი შანსი და ის სასწაული, რომელიც შეიძლება მოხდეს, ხელიდან არ გამოგვეცალოს. საქართველოში ხომ დიდოსტატები არიან საქმის გაჯანჯლებისა და ინვესტორებისათვის განწყობის გაფუჭებისა, - ამის მოწმენი არაერთხელ ვყოფილვართ. ამიტომ მოგმართავთ დახმარების თხოვნით. **აქამდე ხომ არაფერი ამდაგვარი ქართულ კინოში არ მომხდარა.**

კინოსტუდია "მემატიანისათვის" დამოუკიდებლობა ასეთი აქტუალური ამიტომაც გახდა. ჩვენი ვაძლევთ თავს უფლებას და კიდევ ერთხელ ვაყალიბებთ ჩვენს მოთხოვნებს:

1. დოკუმენტური კინო აღიარებულ იქნას სახელმწიფოს მხრიდან პრიორიტეტულ დარგად;
2. კინოსტუდია "მემატიანეს" დაუბრუნდეს დამოუკიდებელი სტატუსი.
3. კინოსტუდია "მემატიანის" აქციების მინიმუმ 51 პროცენტი არ გაიყიდოს და დარჩეს სახელმწიფოს საკუთრებაში.

ჩვენი აზრით, თუ ეს პირობები შესრულდა, პროფესიული ქართული დოკუმენტური კინო გადარჩება და დაიწყება ასე მონატრებული აღორძინება: სტუდიას დაუბრუნდებიან გულგატეხილი თანამშრომლები, აღდგება ინტენსიური გადაღებები, ცხოვრება ისევ დაიწყებს დუღილს, ისევ დაიწყებენ ფილმების კეთებას ძველი და ახალი თაობის რეჟისორები. და დაიწყება შექმნა 21-ე საუკუნის საქართველოს ისტორიისა. საუკუნისა, რომელიც, თქვენის დამსახურებით, ასე იმედიანად დაიწყო და რომლითაც უნდა იამაყონ ჩვენმა შვილებმა.

ამით ვცოცხლობთ და ვარსებობთ და დარწმუნებულნი ვართ, რომ გადარჩენილი ქართული დოკუმენტური კინო კვლავ შეუერთდება მსოფლიო კინოპროცესებს და, როგორც ოდესღაც, ღირსეულად წარმოაჩენს ჩვენს ნამდვილ ისტორიასა და ჩვენს ნამდვილ კულტურას.

*ულრმესი პატივისცემით,*
*"მემატიანის" დირექტორი,*
*კინორეჟისორი*
*რ. ხოტივარი*




## თეატრები

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
დარიო ფო
"თავისუფალი წყვილი"
რეჟისორი: ქეთი დოლიძე
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
დარიო ფოსი
"თავისუფალი სიყვარული"
რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
"ET CETERA"
რეჟისორი: ლევან წულაძე
ფასი: 5-10 ლარი
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დავით დოიაშვილი
ფასი: 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი: გიგა თავაძე
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"ლიფტში"
კითხულობს მალხაზ აბულაძე
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
ფასი: 3 ლარი
დას: 18:00 სთ.

**ტრაგიკომედიის თეატრი**
"VENCEREMOS ანუ ჩვენ გავიმარჯვებთ"
რეჟისორი: ვახტანგ ანდიაშვილი
ფასი: 5 ლარი
დას: 18:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
უილიამ შექსპირი
"ტიტუსი"
რეჟისორი: დავით შალიკაშვილი
დას: 19:00 სთ

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"მეფე არტური"
ფასი: 5,7,9 ლარი
დას: 12:30; 15:00; 19:30 სთ

**ამირანი**
"თანამონაწილე"
დას: 14:00; 16:30 სთ
"ფარენჰეიტი 9/11"
დას: 19:30; 22:00 სთ

## ცირკი

რუსეთის საცირკო პროგრამა
ნაჩვენები იქნება ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი
ფასი: 3-7ლარი, ლოჟა: 15 ლარი
დას: 15:00 სთ

## გამოფენები

**ეროვნული ბიბლიოთეკა**
ქეთი ჯაყელი
"მარშრუტი დაუმთავრებელი წერილებისთვის"
**"ქარვასლა"**
"რისკიანი მოგზაურობა - ქართველი მიგრანტები ნიდერლანდებში" ფოტოგამოფენა
გოგა ჩანადირის ფოტონამუშევრების გამოფენა
"ინდონეზია ტერაქტის შემდეგ"
**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა
**ძველი გალერეა**
მაია ბურჭულაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
**ბაია გალერეა**
"კოლექციიდან კოლექციამდე"
**სურათების ეროვნული გალერეა**
ანსელმო ძერმის (იტალია) ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
მარია ნატალია ვაზ-პირეს ბიეკის (პორტუგალია) ნამუშევართა გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* ***culture@24hours.ge***

# თბილისის მთავრობა ბიბლიოთეკებზე ზრუნავს

ბიბლიოთეკებთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურთან "ბიბლიოთეკების მზრუნველთა საბჭო" შეიქმნა.

თბილისის მერიის გადაწყვეტილებით 2004 წელი ბიბლიოთეკის წლად გამოცხადდა და მომავალი წლიდან ხელფასების გაზრდაა დაგეგმილი.

დედაქალაქის მთავრობამ გუშინ შოთა რუსთაველის სახელობის მე-7 ბიბლიოთეკაში გასვლითი სხდომა გამართა.

როგორც თბილისის პრემიერმა ბიძინა ბრეგაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ბიბლიოთეკის შენობას გაყიდვა ემუქრებოდა. ქალაქის მთავრობამ კი ეს პროცესი შეაჩერა.

მისი თქმით, შენობაში სარემონტო სამუშაოები უკვე ჩატარდა და შესაბამის სამსახურებს ბიბლიოთეკის წიგნებითა და კომპიუტერებით უზრუნველყოფა დაევალა.

როგორც ჟურნალისტებს კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა დავით ოქიტაშვილმა განუცხადა, ბიბლიოთეკებს მთავრობის ბიუჯეტიდან 15 ათასი ლარი წიგნების შესაძენად, ხოლო 30 ათასი ლარი კომპიუტერებით აღჭურვისთვის გამოეყო.

დედაქალაქში სულ 55 ბიბლიოთეკაა. ***(პრაიმ-ნიუსი)***

# ბოლო დღეები

## 20 წელი ნოდარ დუმბაძის გარდაცვალებიდან

*ცნობილი მხატვარი ნოდარ მალაზონია იგონებს ნოდარ დუმბაძის ცხოვრების ბოლო დღეებს.*

ნოდარ მალაზონია


*ნოდარ დუმბაძე და მისი მეუღლე ქალბატონი ნანული.*

1984 წლის ზაფხულში ავადმყოფობამ ისე დამასუსტა, რომ იძულებული გავხდი, ყველა ჩემი საშინაო და საგარეო საქმე მიმეტოვებინა და ლოგინში ჩავწოლილიყავი.

ივლისის მეორე ნახევარში (რიცხვი ზუსტად არ მახსოვს) ყურმილი ავიღე და ნოდარს დავურეკე საგურამოში. ნანულიმ (ნოდარ დუმბაძის მეუღლე) მიპასუხა, ახლავე დავუძახებო, უკან მობრუნებულმა მითხრა, ნოდარი გადაღმაა გადასული და ცოტა ხნის შემდეგ დარეკეო. - მე მეტს ველარ დავრეკავ და შენ მიულოცე ჩემს მაგივრად დაბადების დღე და აკოცე-მეთქი, - ვუთხარი ნანულის. - კი, მაგრამ ახლა რომ გაგახსენდა, თოთხმეტში რატომ არ მობრძანდი, ვაჟბატონოო. - ავად ვარ, ავად-მეთქი! რამდენი წლისაა ახლა ილიკო-მეთქი, - ვკითხე ნანულის (ილიკო, ილია, ილარიონ - ასე ვეძახდით ნოდარს შინაურულად). - ორმოცდათექვსმეტისო, - მითხრა. - მაშინ მე და ილიკოს მეგობრობის ოცდაათი წლისთავიც შესრულებულა-მეთქი, - გავახსენე ნანულის. - თავს გაუფრთხილდი, ხომ არაფერი გჭირდებაო, - მკითხა მან და ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

აგვისტოს პირველ რიცხვებში თავს ძალა დავატანე, ცოლ-შვილი გვერდით ამოვიყენე და მოსკოვში გადავფრინდი. საქმემ გამახალისა და ავადმყოფობაც დამავიწყდა.

მოსკოვიდან აგვისტოს მეორე ნახევარში დავბრუნდი. რატომღაც იმავე დღეს ნოდარს დავურეკე საგურამოში. არავინ მიპასუხა, მერე თბილისში, სახლში დავრეკე. არც იქ გამცა ხმა არავინ. ცოტა გამიკვირდა, ვიფიქრე, ალბათ, გულრიფშში თუ წავიდნენ-მეთქი. მეორე დღეს კლინიკაში წავედი, ისევ ჩემი თავისთვის რომ მიმეხედა. შესასვლელში ამიკო (ამირან კავსაძე, №1 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი) შემხვდა. მკითხა, ნოდართან მოხვედიო? - არაფერი ვიცოდი. - მეორე სართულზე წევს, ცოტა შეუძლოდ არისო.

"ცოტა შეუძლოდ", "ცუდად", "გადარჩება თუ არ გადარჩება?", "გადარჩა!" - უკანასკნელ წლებში ნოდარის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ჩვეულებრივ გამოთქმებად იქცა. ალბათ, ჩვენ ყველას, ან იქნებ მხოლოდ მე, ერთგვარი იმუნიტეტიც კი გამოგვიმუშავდა: ყველაფერ ამას ჩვეულებრივად, გონების განსჯით მივდგომოდით, "ვაი, დედა, ეს რა შევიტყვეო", - ლოყაზე ხელს აღარ ვირტყამდით. მაგრამ ამჯერად რატომღაც ეს "ცოტა შეუძლოდ" ძალიან არ მესიამოვნა. შუადღე იყო. გვარიანად ცხელოდა, შევატყვე, მუხლებში ძალა წამერთვა, არაფერი ვუპასუხე, მანქანაში ჩავჯექი და სახლში დავბრუნდი. ნანას ვუთხარი: ნოდარი ვერ ყოფილა კარგად და აგრილდება თუ არა, საღამოს წავიდეთ-მეთქი.

მოგვიანებით მივედით საავადმყოფოში. ოროთახიანი პალატის პირველ ოთახში ნანული შეგვხვდა. - კინაღამ მომიკვდა ჩემი ნოდარი (ნანული ნოდარს სხვაგვარად თითქმის არასდროს ახსენებდა) გუშინო, - ღონემიხდილი ხმით თქვა ნანულიმ. მეორე ოთახის კარები ღრიჭოდ იყო დარჩენილი. მე ლოგინზე წამომჯდარ ნოდარს მოვკარი თვალი.

- ვინაა, ნანული? - იკითხა მან.

- ნოდარი და ნანაა, - უპასუხა ნანულიმ და მისი ოთახის კარები შეაღო.

- მოი, ბიჭო, ნოდარა! - ახლა უფრო ხმამაღლა თქვა და შეეცადა ენერგიულად წამომდგარიყო ლოგინიდან. დადგა თუ არა ფეხზე, ოდნავ შეტორტმანდა. ცალი ხელი უცებ საწოლს წაავლო, რომ არ წაქცეულიყო, და იმწამსვე ჩვენსკენ გამოიხედა. შევატყვე, აინტერესებდა, დავინახეთ თუ არა, როგორ გაუჭირდა ფეხზე დადგომა. მე გვერდზე გავიხედე. თავი ისე დავიჭირე, თითქოს არაფერი დამენახოს. ოთახში შესვლა დავაყოვნეთ.

- მოდი, ნანა, გოგო! - ისევ მისებურად თბილად შეგვიპატიჟა ნოდარმა. ოთახში პირველად ნანა შევიდა. ნოდარმა ორივე ხელი გაშალა და ნანას მოეხვია. მერე მე ჩამიხუტა გულში და - დაჯექითო, - თქვა.

როგორა ხარ, ნოდარ? - ვკითხე.

- რა ვიცი, ბიჭო, რაღაც უცებ ცოტა შეუძლოდ შევიქენი. ეს ამინდი მიჭირვებს საქმეს. ისე, არა მიშავს, კარგადა ვარ.

- მე კარგად ვიცოდი, ნოდარს ჩემი ყველაზე უფრო რა მოსწონდა და უყვარდა, და შევეცადე საუბარიც იქითკენ წამეყვანა.

- კაი ახლა, გეყოფათ! ნუ მომიკლავთ ამ კაცს სიცილით! - გაგვაფრთხილა ნანულიმ. წამოვდექით. ნოდარმა ნანას სთხოვა, ესა და ეს გამომიგზავნეო, და ჩვენ კეთილი სურვილებით დავტოვეთ.

როცა საავადმყოფოს ეზოდან გამოვედით, უსიამოვნო გრძნობა და გულგატეხილობა გამომყვა. ნოდარი ძალიან შეუძლოდ მომეჩვენა. ახლა, ისე როგორც არასდროს, მისმა ავადმყოფობამ საგონებელში ჩამაგდო.

მთელი აგვისტო და სექტემბერი არსად წავსულვარ (დილით ტელეფონით ვიგებდი გასული ღამის ამბავს). ყოველ საღამოს (იქვე, გვერდით პალატაში, გიგა ლორთქიფანიძე იწვა) ნოდარისა და გიგას "საზიარო" აივანზე ვიყრიდით თავს საერთო მეგობრები. გვიან ღამემდე ნოდარის ჯანმრთელობას ვდარაჯობდით. როცა თვითონ მოისურვებდა, რომელიმე ჩვენგანს დაგვიძახებდა და ჩვენც შეზღუდული რეგლამენტით ვუყვებოდით ხოლმე იმას, რაც მის სულსა და გულს აამებდა.

- კაი ახლა, მეტი აღარ შემიძლია, დავიღალე! - ეტყოდა იგი მნახველს.

როცა ძალიან დასუსტდა, ასეთი პირობა შემომთავაზა: მე ვილაპარაკებ, შენ მისმინე. როცა დავიღლები, მე თვითონ გავჩერდები. თუ რამეს გკითხავ, მოკლედ მიპასუხეო.

ბოლო ჟამს ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს, როგორც ქვიშის საათი, ულმობლად და შეუჩერებლად იცლებოდა და ქვემოთ, უფსკრულისაკენ მიექანებოდა უმცირეს ნაწილაკებად დაფლეთილი, დაუცხრომელი სიყვარულით სავსე ნოდარ დუმბაძის გული!..

11-12 სექტემბერს გურიაში ღრმად მოხუცებული მშობლების სანახავად წავედი. ცამეტში გვიან საღამოს ჩამოვედი, საავადმყოფოში დავრეკე. ქეთინომ მიპასუხა, ისევ ისე ძველებურად არისო. თოთხმეტში გულმა აღარ მომითმინა და შუადღისას მივედი საავადმყოფოში. ამ დროს მუდამ ვერიდებოდი იქ მისვლას. დღისით ინტენსიურად დატვირთული იყო პალატა სამედიცინო პერსონალით. ყოველი ჩვენგანის მისვლა მხოლოდ ზედმეტი იყო იქაურობისთვის.

გიგას ოთახის კარი შევაღე, სამი დღის წინათ იძულებით გაეწერათ მისი მოჭარბებული ემოციების გამო. იგი ყველაფერს ერთიორად განიცდიდა, ვინაიდან ნოდარის გვერდით პალატაში იწვა და ყველა წვრილმანიც კი ყურადღების გარეშე არ რჩებოდა. ოთახი ცარიელი დამხვდა. ფრთხილად გავედი აივანზე, იქვე რამდენიმე ცარიელი სკამი იდგა. იქაურობა შევათვალიერე, ირგვლივ უჩვეულო სიწყნარე იყო. ჩამოვჯექი. ქეთინომ შემამჩნია (კარგა ხანს ვიჯექი მარტო). მერე ნოდარის ოთახიდან გამომძახა: - ნოდარ ბიძია, მამამ - მოდიო. ოთახში შევედი, ნოდარმა ხელით მანიშნა - დაჯექიო, ქეთინოს კი - შენ გარეთ გადიო.

ერთი მწერალი გაიხსენა ნაწყენმა. შევეცადე ამ თემას არ გავყოლოდით. მერე თვითმფრინავზე ჩამომიგდო ლაპარაკი. მე ვუსმენდი. როცა შეისვენა, ჩემს სიუჟეტს მოვუსინჯე კბილი. შევატყვე, დაინტერესდა. ნაამბობისთვის რომ მეტი ეშხი მიმეცა და ორიგინალობა შემენარჩუნებინა, რუსულზე გადავედი (ამბავი დოკუმენტური იყო). როცა მოყოლას მოვრჩი, გაეცინა (ვაი, რომ ეს არაფრით აღარ ჰგავდა დუმბაძის სიცილს...).

- რა გაცინებს, ბიჭო, რა არის აქ სასაცილო? - გამიკვირდა მე (ამბავი ძალიან სერიოზულ საკითხს ეხებოდა).

- ნოდარა, ბიჭო, სასცილო ისაა, რომ მაგ შენს რუსულად მოყოლილ მართლაც საინტერესო ამბავში... დავთვალე და ორ-მოც-და-თვრამე-ტი, - ეს სიტყვა დამარცვლით, სვენებ-სვენებით წარმოთქვა, მერე ისევ გაიღიმა და მითხრა: - გრამატიკული შეცდომა იყო.

მეც გულიანად გამეცინა.

საოცრება იყო: დუმბაძე სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დუმბაძედ რჩებოდა.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა, უკანასკნელი სიცილი.

ოთახში ნანული შემოვიდა.

- ნანული, მოდი, ახლა მე და შენ...

მე ოთახიდან გამოვედი; ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები, გარდაცვალებამდე სულ რამდენიმე საათით ადრე რომ გავიგონე.

ცოტა ხანს აივანზე შევყოვნდი. ყოველდღე, საღამოს შვიდი-რვა საათიდან თორმეტ-პირველ საათამდე, ვიჯექი ამ აივანზე. დღეს 14 სექტემბერს, შუადღეს მოვედი. რატომღაც წასვლა მიჭირდა.

15-ში დილით გიორგი ჩახავამ დამირეკა, მგონი, ცუდად არის საქმეო. ასე ბევრჯერ მირეკავდნენ და ახლაც არ დავიჯერე. მაინც შეამოწმეო, მირჩია გოგიმ. სასტუმრო "აჭარაში" მოსკოველი სტუმარი მიცდიდა, "ჯვარზე" უნდა ამეყვანა, მაგრამ გულმა არ მომითმინა და საავადმყოფოში დავრეკე.

საუბედუროდ, საბოლოოდ ყველაფერი დადასტურდა.

# პირველი ყოველწლიური

## უცნობი ხელოვნება ახალი "თბილისობისთვის"

ვერა ნეფარიძე

*თბილისში ახალი ფესტივალი უნდა დამკვიდრდეს. პირველი ყოველწლიური აღმოსავლეთ ევროპის ხელოვნების "არტ-ექსპო" (EEAEE 2004) ამჯერად "თბილისობის" ფარგლებში იმართება; "არტ-ექსპომ", დედაქალაქის ამ მრავალწლიანი ზეიმის ფარგლებში დაგეგმილ სხვა კულტურულ ღონისძიებებთან ერთად, უნდა გაამართლოს "შევარდნაძის ზეიმად" ცნობილი დღესასწაულის არსებობა ახალ საქართველოში.*

ღონისძიება თბილისში სამი დღის განმავლობაში, 22-დან 24 ოქტომბრის ჩათვლითაა დაგეგმილი. ამ ეტაპზე კი ფესტივალის შესახებ ძალიან ცოტა რამ არის ჩვენთვის ცნობილი. ფესტივალის შესახებ ჯერ პრესკონფერენციაც კი არ გამართულა; ჟურნალისტებისთვის დარიგებული პრეს-რელიზები კი, "არტ-ექსპოს" შესახებ სრულ სურათს ნამდვილად არ იძლევა. ფესტივალის ორგანიზაციულ დონეზე, მოწვეული სტუმრების, დაგეგმილი ღონისძიებების ხარისხზე საუბარი, ალბათ, ფესტივალის პირველივე დღიდან იქნება გამართლებული.

ღონისძიების მხარდამჭერია თბილისის მერია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ქალაქის მუნიციპალურმა სამსახურმა მოწვეული სტუმრების საცხოვრებელი ხარჯები საკუთარ თავზე აიღო; ამას გარდა, პროგრამით გათვალისწინებული რამდენიმე ღონისძიებაც (სემინარები და ვორქშოპი) სწორედ მერიაში გაიმართება. რაც შეეხება ფესტივალის ორგანიზატორებს - ასეთი "არტ-ექსპოს" ორი ჰყავს: ამერიკული კომპანია Mariposa Artes, Inc (იმედია, ფესტივალის განმავლობაში, ამ ორგანიზაციის შესახებაც შევიტყობთ უფრო მეტს) და საქართველოში რეგისტრირებული "არტ-ბრიჯი" (უნდა ითქვას სიმართლე, რომ ფართო საზოგადოება არც ამ ფონდსა და მის მოღვაწეობას იცნობს ჯეროვნად).

"არტ-ექსპო" წარმოადგენს საპრეზენტაციო, სიმბოლურ ღონისძიებას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აღმოსავლეთ ევროპის სტრუქტურების თანადგომით, რაც ისახავს მიზნად აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ხელოვნების წარმოჩენასა და საერთაშორისო პრომოუშენის მოღვაწეობის დასაწყისს აღნიშნული რეგიონის ხელოვნების კონსოლიდაციის ბაზაზე. მიუხედავად რთული კონკურენციისა, პირველი "არტ-ექსპოს" მასპინძლობის სტატუსის მოპოვებაზე, საქართველოსა და კერძოდ, თბილისს, ხელი შეუწყო 2003 წლის ნოემბერში განვითარებულმა მოვლენებმა, და პირველი EEAEE 2004 ჩატარების ადგილად დადგინდა თბილისი", - ამგვარად გვაუწყებენ ორგანიზატორები პრესრელიზის საშუალებით ფესტივალის შესახებ იმ მცირედს, რაც ფესტივალის დაწყებამდე მასმედიისთვის გაიმეტეს. ამას გარდა, ირკვევა, რომ პროგრამაში მონაწილეები სხვადასხვა ქვეყნების მხარდამჭერი ორგანიზაციების მიერაა შერჩეული და დაცულია ბალანსი. პირველ EEAEE 2004-ს ასზე მეტი მონაწილე ჰყავს აღმოსავლეთ ევროპის ათი ქვეყნიდან; ასევე, ორგანიზატორები შეეცადნენ თურმე, პროგრამა მაქსიმალურად მრავალფეროვანი ყოფილიყო. ამგვარად, სამი დღის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება ხელოვნების სხვადასხვა დარგი: ოპერა, ფოლკლორი, კლასიკური მუსიკა, ცეკვა, სახვითი ხელოვნება...

ფესტივალის პირველ დღეს გუდიაშვილის ქუჩაზე (პრეს-რელიზის მიხედვით, გაურკვეველია ღონისძიების გამართვის ზუსტი ადგილი) დაგეგმილია სხვადასხვა სახის (წიგნების, ფოტო, ხატების) გამოფენები; პროგრამაშია სემინარები თემებზე: "ტერორიზმი", "მოხალისეობა", "ბიზნეს-ეთიკა"... პროგრამაშია ლიტერატურული და მუსიკალური პერფორმანსები; ტურისტული გასეირნება, არტ-დისკუსია, ჯაზ-ფოლკ საღამო, კლასიკური მუსიკის საღამო და მონაცემთა ბაზის პრეზენტაციაც (რომელიც, ნამდვილად ვერ გეტყვით, რა შეიძლება იყოს). მონაწილეებს შორის არიან უკრაინელი, აზერბაიჯანელი, სომეხი, უნგრელი, პოლონელი, ამერიკელი (მერე რა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ხელოვნების "არტ-ექსპოა") სტუმრები. გვარებსაც დავასახელებდით, მაგრამ საეჭვოა, ამან რაიმე ინფორმაცია მისცეს დაინტერესებულ მკითხველს. გული რომ არ გაგიტყდეთ, გეტყვით, რომ პროგრამაში ჩვენთვის ცნობილი ადამიანები თუ კოლექტივებიც აღმოვაჩინეთ: გუგა კოტეტიშვილი, "სამეფო უბნისა" და "თავისუფალი" თეატრები; ახალგაზრდული არტ-როკ ჯგუფი "სინათლის წელიწადი"... დანარჩენის გარკვევა კი პარასკევიდან მოგვიწევს.

# არტურ რემბო ვიდეოპროექციაში

ოთხშაბათს ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრაგენთის პატარა ქალაქ შარლევილში ფრანგი პოეტის არტურ რემბოს დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა. სტუმრებისთვის და ტურისტებისთვის ოფიციალურად გაიხსნა სახლი, სადაც რემბო ცხოვრობდა. თუმცა, ზღურბლსგადაბიჯებულ ფრანგებს ოთხ კედელს შორის ტრადიციული სახლი-მუზეუმის ნაცვლად სრულიად ახლებური სანახაობა დახვდათ - ავეჯისგან ბოლომდე დაცლილი ოთახები, რომელთა კედლებზეც ვიდეოპროექციის საშუალებით ერთმანეთს ცვლიდა რემბოს საყვარელი და ახლობელი ქალაქების ხედები.



იდეა, მართლაც, შთამბეჭდავი გამოდგა, მით უფრო, რომ პოეტს თავისი მშობლიური ქალაქი დიდად არასდროს უყვარდა და ამბობდა, რომ ის "ყველაზე სულელურია პატარა პროვინციულ დასახლებებს შორის".

"მსგავსი სახლ-მუზეუმის მოწყობის იდეა მას შემდეგ გაგვიჩნდა, რაც აღმოვაჩინეთ, რომ რემბო თავის ლექსებშიც კი მუდამ უარყოფდა მშობლიურ ქალაქს. გამოდიოდა, რომ მის სახლს დიდი ფასეულობა ტურისტულ ღირსშესანიშნაობად ქცევისთვის არ გააჩნდა. ეს შენობა მისთვის, უბრალოდ, იყო ათვლის წერტილი, ერთგვარი გამშვები პუნქტი როგორც პოეტური ფანტაზიებისთვის, ისე მისი ფიზიკური ვოიაჟებისთვის", - განმარტავს პროექტის ავტორი ფილიპ კომტე ფირმიდან "გულივერ დიზაინი" და სტუმრებს გულითადად ეპატიჟება სახლში, რომელიც ვიდეოპროექციის საშუალებით უკვე სრულყოფილად გადმოგვცემს იმ ძლიერ კავშირებს, რაც რემბოს პოეზიაზე ჰქონდა რამდენიმე ევროპულ ქალაქს.

პირველ სართულზე "გაშენებულია" თვითონ შარლევილი, პარიზი, ლონდონი და ბრიუსელი - ადგილები, რომლებმაც რემბოს შემოქმედებაზე უდიდესი გავლენა იქონიეს.

მეორე სართული კი უკვე მის დანარჩენ ძიებებსა და ვოიაჟებს ეთმობა - ზოგადად ევროპას, აფრიკას, ადენს იემენში და ჰარარეს ეთიოპიაში.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შარლევილი პროვინციული ფრანგული დასახლებაა, იქაურები ყველა ტიპის გემოვნების დაკმაყოფილებას მაინც ცდილობენ. მათ, ვისაც არტურ რემბოს დაცარიელებული სახლის იდეა არ მოსწონს, იქვე, რამდენიმე მეტრში რემბოს ძველებურად მოწყობილ მუზეუმში შესვლა შეუძლია. ეს შენობა 1969 წელს გაიხსნა და ტრადიციული გემოვნების მქონე მკითხველისთვის რემბოს შესახებ ყველაფერს შეიცავს - ნახატებს, ორიგინალ ხელნაწერებს და სხვა არტეფაქტებს.

# ბოლო შტრიხი ბიოგრაფიული ნახატისთვის

89 წლის არტურ მილერს სწორედ ასე გამოუვიდა. დაწერა პიესა სათაურით "ნახატის ბოლო შტრიხი" (Finishing the Picture), რომელშიც მერილინ მონროსთან გატარებული პერიოდი გაიხსენა და თეატრალური სამყარო კიდევ ერთხელ აალაპარაკა.



მილერის ამ ბოლო პიესის მსოფლიო პრემიერა ჩიკაგოში, გუდმანის თეატრში 7 ნოემბრამდე გასტანს. მართალია, რეცენზიებში აღფრთოვანებული ტონი არ ჭარბობს, მაგრამ ფაქტია, რომ პუბლიკა მილერის უახლეს ნაწარმოებს უდიდესი სიამოვნებით ეცნობა. რაც მთავარია, ემოციებს ვერ მალავენ თვითონ მსახიობები და სპექტაკლის რეჟისორი.

"ამ პიესას იბსენისა და შექსპირის გვიანი პერიოდის ნაწარმოებებს ვამსგავსებ. სტრიქონებიდან მოწყალებისა და თანაგრძნობის უდიდესი მუხტი მოდის", - აცხადებს რეჟისორი რობერტ ფოლზი.

თითქმის ასევე პათეტიკურად ახასიათებენ ნაწარმოებს მსახიობებიც. "როცა პირველად წავიკითხე, ჩეხოვი გამახსენდა. ფრაზები გულიდან ამოგლეჯილია თითქოს, ინტელექტი გრძნობას უზავდება. ეს უძლიერესი ადამიანური დრამაა", - ემოციებს ვერც ლინდა ლევინი მალავს.

ასაკოვანი დრამატურგი კი საწერ მაგიდასთან ზის და წარსულს იხსენებს. უფრო სწორად იმ ეპიზოდს საკუთარი ბიოგრაფიიდან, როცა მერილინ მონრო მისი ცოლი იყო. 1961 წელს ისინი ერთად იღებდნენ მონაწილეობას Misfits-ის გადაღებებში, ფილმის, რომლის სცენარიც მილერმა დაწერა. გადაღებები ქაოტურად მიმდინარეობდა. მერილინ მონროს დილაობით ადგომა და კამერებით სავსე მოედანზე გამოჩენა ძალიან უჭირდა, უგუნებოდ იყო. სხვები ნერვიულობდნენ... იდეაც ახალი პიესისთვის სწორედ ამ ინციდენტებით სავსე გადაღებებიდან წამოვიდა.

თუმცა, რეჟისორი ცალსახად განმარტავს, რომ "ნახატის ბოლო შტრიხი" Misfits-ზე მუშაობის ჩვეულებრივი თეატრალური ქრონიკა არ გახლავთ. არტური გვაგრძნობინებს, რომ ის მოვლენებს საკუთარ წარმოსახვაში ფილტრავს. და არც მაყურებელმა უნდა მიაკეროს იარლიყები სპექტაკლში გაცოცხლებულ რეალურ ადამიანებს.

მერილინ მონროს პიესაში ქითი ჰქვია, მაგრამ რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მას ტექსტი თითქმის არ აქვს. ქითი მთელი სპექტაკლის განმავლობაში ლოგინში წევს და კაიფშია. "ვფიქრობ, ეს ბრწყინვალე დეტალია. რადგან პიესა ქითის შესახებ კი არ არის, არამედ იმაზე, თუ როგორ აღიქვამს მას პუბლიკა. ჩვენც სწორედ პუბლიკაზე - სხვებზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი", - განმარტავს რეჟისორი და იხსენებს მილერთან მუშაობის პროცესს: "მასთან ერთად სპექტაკლზე მუშაობა სასწაულია. ხანდახან ისე ენერგიულად იქცეოდა, 33 წლის კაცი მეგონა. სახელოებაკაპიწებული დაახტებოდა სცენაზე, შენიშვნებს გვაძლევდა, ასწორებდა ტექსტს, ჭრიდა ეპიზოდებს. მგონი, ეს მისი საუკეთესო პიესაა".

# ხმა მიეცით დიზის!

ეს ლონდონში, სოჰოს თეატრში დადგმული თეატრალური შოუს სათაურია, რომელსაც ამერიკელი მსახიობი ჯეიკ ბროდერი წარმოადგენს. ოღონდ ამ დევიზს - რომელიც ერთი შეხედვით სპექტაკლისთვის შექმნილი ეგონება მაყურებელს, კავშირი სინამდვილესთან მაინც აქვს. 60-იანი წლების შუა ხანებში ხომ დიზი გილესპის პრეზიდენტად არჩევის იდეა, მართლაც, არსებობდა.



და მაშინ ყველაფერი სხვაგვარად წარიმართებოდა. დიუკ ელინგტონი სახელმწიფო მდივანი იქნებოდა, მაქს როუჩი სამხედრო ფლანგს მიხედავდა, CIA-ს ხელმძღვანელობას კი მაილს დევისი აიღებდა საკუთარ თავზე.

ამგვარ ალტერნატივას ამერიკის პოლიტიკურ ელიტას მესაყვირე და ბიბოპის პიონერი, ჯონ ბირკს "დიზი" გილესპი სთავაზობდა; მუსიკოსი, რომელმაც საკუთარი კანდიდატურა 1964 წელს ლინდონ ჯონსონისა და ბერი გოლდუოტერის წინააღმდეგ წამოაყენა. ზემოთ ჩამოთვლილი ჯაზ-ვარსკვლავებით დაკომპლექტებული სამთავრობო კაბინეტის გარდა, გილესპი ამერიკას სთავაზობდა ვიეტნამიდან ამერიკული ძალების გამოყვანას, აფრო-ამერიკელი ასტრონავტების კოსმოსში გაშვებას და თეთრი სახლის სახელის გადაკეთებას - "ბლუზ ჰაუზად" (ბლუზის სახლი).

ამ ნაკლებად ცნობილი ისტორიული ფაქტის შესახებ გაზეთი "გარდიანი" გვიამბობს. ჩვენზე უფრო მეტის გაგების შანსი კი, ბუნებრივია, ჯაზის მოყვარულ ლონდონელებს აქვთ. საკმარისია, გადაიხადონ 5 გირვანქა სტერლინგი და შეაბიჯონ სოჰოს თეატრში, რომ მსახიობი ჯეიკ ბროდერი მათ ყველაფერში უმალ გაარკვევს, თან ამას ცოცხალი მუსიკის თანხლებით არტისტულად და იმპროვიზირებულად გააკეთებს, აჟღერდება გილესპის საარჩევნო სიმღერაც Vote Dizzy და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ამერიკა, მართლაც, არ მისცემს ხმას თეთრი სახლის ახალ ბინადარს. ოღონდ 60-იანი წლებისა და სოჰოს თეატრის მყუდრო დარბაზში არსებული რეალობისგან განსხვავებით, ამერიკელებს არჩევანის გაკეთება 2 ნოემბერს ჯორჯ ბუშსა და ჯონ კერის შორის მოუწევთ.

რაც შეეხება მშრალ ფაქტებს ისტორიიდან, "გარდიანის" ჟურნალისტის მიხედვით, სინამდვილე ასეთია: 1963 წელს გილესპიმ დაამზადა ემბლემები წარწერით - Dizzy for President, რათა ფულადი შემოწირულობები მიეღო "რასობრივი თანასწორობის კონგრესისთვის" და სხვა სამოქალაქო პროექტებისთვის მარტინ ლუთერ კინგის ხელმძღვანელობით. მაგრამ მის თაყვანისმცემლებს ისე მოეწონათ იდეა, რომ გილესპი პოლიტიკაში უფრო აქტიურად ჩაერთო. საბოლოო ჯამში კი, დიზი გილესპი საპრეზიდენტო კამპანიას უსახსრობის გამო არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე გამოეთიშა, მაგრამ ამ დროისთვის გილესპის მიმდევრებს უკვე გათავისებული ჰქონდათ საყვარელი სიტყვები - რომ თუ მსოფლიო ლიდერები შეისმენდნენ ჯაზის ღია, კოლექტიურად მოტივირებულ და საზღვრების გადამლახავ ენას, არავინ იქნებოდა მდიდარი, მაგრამ არც არავინ იდარდებდა სიღარიბეზე. მსოფლიო კი უსაფრთხო და მშვიდი ადგილი იქნებოდა საცხოვრებლად...

"როცა რომელიმე კომედიას ულრმავდები, ყოველთვის ბრაზსა და გაღიზიანებას პოულობ. მაგრამ ასე არაა დიზი გილესპის შემთხვევაში. დიზის სამყაროში იქექები და რაც არ უნდა ღრმად შეტოპო, მაინც სიყვარულს გადააწყდები" - აცხადებს ამერიკელი მსახიობი ჯეიკ ბროდერი და ლონდონელებს ჯაზის გილესპისეულ პოლიტიკურ კომედიაზე ეპატიჟება.

ნინია კაკაბაძის სვეტი

# თბილისობის რიმეიკი თბილისურად



1979 წელს "კარენოი" თუ ახალბედა თბილისელებმა ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, გადაწყვიტეს - მოდი, ჩვენს ლამაზ ქალაქს ერთი კაი "პრილიჩნი" დღესასწაული მოვუწყოთო. ამის შემდეგ, ყოველ წელიწადს, შემოდგომაზე, ოქტომბრის ბოლოს, ჩვენი დედაქალაქი საკუთარ დღეობას აღნიშნავს. გვიხაროდა და გვიხარია, თბილისელებსაც და არათბილისელებსაც - ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქისადმი მიძღვნილი დღესასწაულია. მე აღარ დავიწყებ იმის მოყოლას, თუ რა ხდებოდა წლევანდელ წლამდე, მხოლოდ ორი სიტყვით მოგახსენებთ, ჩამოდიოდნენ რაიონებიდან, ჩამოჰქონდათ საშემოდგომო მოსავალი და ყიდდნენ შეღავათიან ფასებში სხვადასხვა ეროვნულ ნობათს. მაგალითად, მე ყველაზე მეტად ჩურჩხელა მიყვარდა, და თბილისობის მოახლოება ყოველთვის მიხაროდა, ვინაიდან ზუსტად ვიცოდი - კახეთიდან ჩამოტანილ გემრიელ ჩურჩხელას სადმე გადავაწყდებოდი. მოკლედ ჩურჩხელა იქით იყოს და მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნო, რომ ეს დღესასწაული, თავისი არსით, ჩემში ყოველთვის ერთგვარ გაღიზიანებას იწვევდა. შესაძლებელია, არის კიდეც, მაგრამ მე არ გამიგია პარიზობა, ნიუ იორკობა, ლონდონობა თუ სხვა. და ამ შემთხვევაში, არც იმას ვამბობ, რომ თუკი პარიზი არ "ქეიფობს" თავის დღეობას, ჩვენ ვინლა ვართო?! რითი დაიმსახურა ამ ქალაქმა სამდღიანი "დაბადების დღე" არც მაშინ მესმოდა, და არც ახლა მესმის. მიუხედავათ ამისა, ამის შესახებ ბევრს არ ვფიქრობდი, მისი არსებობით ყველაზე მეტად წელს შევწუხდი და მივხვდი, რომ მაშინდელი თბილისობა უფრო მისაღები იყო ჩემთვის, ვიდრე დღევანდელი. არ ვიცი, როგორი იქნება წელს საზოგადოებრივი აზრი თანამედროვე თბილისობის შესახებ, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ "კარენოი" თბილისელები წელს უფრო კმაყოფილები დარჩებიან. ადრე კი არ მოსწონდათ, ასე ამბობდნენ: ოხ, ჩამოვა ეხლა მთელი სოფელი, დაანაგვიანებენ აქაურობას, დაიწყება ეს მწვადების შეწვა და ა.შ. მოკლედ "ქალაქელები" საკუთარ დღესასწაულად ამ თარიღს თუ ერთმანეთზე მიწყობილ თარიღებს არ მიიჩნევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დღესასწაულის არსი ჩემთვის სრულიად მიუღებელია, ეს გარკვეულ წილად, მაინც სახალხო ზეიმი იყო და ის ხალხიც იყო, ვინც ამ ღონისძიებას ელოდებოდა. ისევე როგორც მე ჩურჩხელებს კახეთიდან.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, უკვე 25 წელიწადია საქართველო დედაქალაქობას ზეიმობს. ვის გაუჩნდა ამ ზეიმის იდეა ვიცი, მაგრამ რატომ გაუჩნდა, სრულიად გაუგებარია. მე უფრო გამიხარდებოდა, თუ მიანცადამაინც რომელიმე ქალაქის დღეობა უნდა ვიზეიმოთ, ეს ჩემი სუბიექტური აზრია და სიღნაღი მომწონს და გვეზეიმა, მაგალითად, სიღნაღობა.

დრო გავიდა, და მართალი გითხრათ, უკვე მერამდენედ უნდა გავიმეორო, რომ ჩემთვის რევოლუცია მხოლოდ ერთი მთავრობის მეორე მთავრობით შეცვლა არ იყო და გაცილებით დიდ ცვლილებებს მოველოდი, მათ შორის კიდევ ერთ ნაკლებად მნიშვნელოვან ცვლილებას - მეგონა თბილისობა, როგორც ერთ-ერთი უაზრო და უშინაარსო მოვლენა, გაუქმდებოდა. მაგრამ, ამაოდ. წელს ქართველი ერი გაორმაგებული და გაათმაგებული სახით იზეიმებს დედაქალაქობას. და თუკი აქამდე, თბილისობა "კარენოი" თბილისელებისთვის არც თუ ისე მისაღებ ფორმებში ხორციელდებოდა, წელს მგონი "ქალაქელების" ინტერესები გაათმაგებულად გათვალისწინებულია.

ახალი მთვარობის პირობებში ეს ტენდენცია, პირადად ჩემთვის, სიახლეს წარმოადგენს. და რაზე მაქვს საუბარი? მეგონა, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, ასევე ხელისუფლებისა თუ საზოგადოების წევრები, კომუნისტურ ეპოქაში ცენტრისტული აქცენტებისგან, თუ ასე შეიძლება ითქვას, დეცენტრალიზაციისაკენ მიდიოდნენ. დღეს რაიონებს, ცალკეულ სოფლებს თუ იქ მაცხოვრებელ ადამიანებს ყურადღება აშკარად უფრო მეტად ექცევა, ვიდრე ეს კომუნისტების თუ გაქრისტიანებული კომუნისტების პირობებში იყო. მე გულწრფელად მიხარია, რომ ქვეყნის მეთაური ბევრს დადის რაიონებში, და მართალია, იქ ძირითადად უსახო სანახაობებს აწყობს და უწყობენ, ეს მაინც იმის მანიშნებელია, რომ საქართველო არა მხოლოდ "თბილისი და თბილისელებია". ამიტომაც მოხდა, რომ წელს ამ უსახო ღონისძიებას აღარ ველოდი. მაგრამ, ქართული, მახინჯი მენტალობის აღმოფხვრა, ბუნებრივია, 11 თვეში წარმოუდგენელი აღმოჩნდა და ამიტომ, ასევე მახინჯი მოწიწება თბილისელებისა და თბილისელი "ნაღები საზოგადოების" მიმართ ვერ მოხერხდა. გაუთავებელი საკონსულტაციო საბჭოები, ბორდები, ცალკეული კონსულტანტები ყველა სამინისტროს ჰყავს და ყველგან ერთი და იგივე ხალხია შესული. ხალხი, რომელიც რბილად რომ ვთქვათ, სოციალურად აქტიურია და ჩვენი თანამოქალაქეები არიან. მაგრამ, ამაზე საუბარს აღარ გავაგრძლებ, იმისათვის რომ ჩვენი "ქალაქობა" უყურადღებოდ არ დაგვრჩეს.

წელს თბილისის მუნიციპალიტეტი და კიდევ სხვა, კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაციები ყველაფერს აკეთებენ, რომ აქამდე დაწუნებული თბილისობა "გაასვეტსკონ". ამიტომ, ახლა არა მხოლოდ ჩურჩხელებს და მწვადებს ვნახავთ ამ დღეებში, არამედ წარმოდგენილი იქნება: არტ-ვორკშოფი "კენედის ცენტრი", სემინარი "ტერორიზმი", ლიტერატურული პერფორმანსი, გამოფენათა კასკადი სხვადასხვა გალერეებში, პერფორმანსი "ჰამლეტი", თანამდეროვე ცეკვა "ჰარი აფ", დიჯეი ჯგუფი "ჩილ აუთ" და აგრეთვე საბრძოლო ხელოვნების "ხრიდოლის" წარმოდეგნა. ეს მხოლოდ პატარა ნაწილია იმ უზარმაზარ ნუსხაში, რომელსაც თბილისი თბილისელებს სთავაზობს. მე დარწმუნებული ვარ, დაინტერესებულ თბილისელებს სრულ პროგრამას აუცილებლად მიაწვდიან. ეს კი მე მომხვდა თვალში და ვფიქრობ, საკმაოდ სასაცილოდ და საინტერესოდ გამოიყურება. ჰო, კიდევ გამიხარდა, რომ ტრადიცია არ ირღვევა და ამ დღეებში მორიგ საპატიო თბილისელსაც ავირჩევთ. როგორ გინდა, ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტით არ გაიხარო. თბილისელობა ხომ ჩვენში ისედაც არაოფიციალური თანამდებობის ტოლფასია და მერე ამ თანამდებობას რომ გაგიოფიციალურებენ, ამაზე სასიხარულო რა შეიძლება იყოს?!

ერთი სიტყვით, ერთეულ თბილისელებს თუ მასობრივად ყველას - "დიდი ზეიმი" ელის ამ "სვეტსკი" weekend-ზე. ამ "ტუსოვკების" ბიუჯეტი კი ოფიციალურად 180 ათასი ლარია გამოცხადებული, იმედი მაქვს შერცხვათ და ნაწილი მაინც დამალეს. მიუხედავად ამისა, დღევანდელ დღეს, როდესაც უამრავი თბილისელი ღია ცის ქვეშ ცხოვრობს, ან დღე-დღეზე თავზე ჭერი დაენგრევა, ამ თანხების უფრო მიზანმიმართულად და გამართლებულად ხარჯვის მომხრე უფრო ვარ, ვიდრე ამ სნობური, უშინაარსო "ქალაქელების" "ქალაქური" დღესასწაულის. არ მინდა, ჩემი სიტყვები ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს იმ გამოფენების, კონცერტების თუ ვორკშოფების წინააღმდეგი ვიყო, განსაკუთრებით კი "ხრიდოლის" წარმოდგენის. ეს ხომ ისედაც ხდება და რიგ შემთხვევაში საინტერესო და რიგ შემთხვევაში უინტერესო მოვლენების მახინჯურ-ქალაქურ ჩარჩოში მოქცევა, მგონი, ზედმეტია. მე კი ისევ ჩურჩხელებს დაველოდები და თუკი რამე უფრო საინტერესოს ვნახავ, არც იმას დავტოვებ უყურადღებოდ.

საქართველოს მთავრობას, მუნიციპალიტეტს, ხელისუფლებას და საზოგადო მოღვაწეებს კი: ვუწონებ ყველა კეთილ საქმეს, რომელსაც განახორციელებს, ვუწუნებ ყველა ძველი სიმახინჯის ახლებურად გადამღერებას და ნებისმიერი შემოქმედებითი აქტების, კიდევ უფრო სნობურ ჩარჩოში მოქცევას.

დაბოლოს. დროა "თბილისი და თბილისელები", "ქალაქელობა", "თბილისობა" და სხვა მსგავსი სისულელეები დღის წესრიგიდან ამოვაგდოთ, და ამის მოთხოვნა, პირველ რიგში, საზოგადოებამ უნდა დააყენოს, თუნდაც იმ მიზნით, რომ თბილისელებისთვის მომავალ წელს საჩუქარი არა გაპრანჭული სანახაობები, არამედ მატერიალური დახმარება იყოს. ბუნებრივია, ვინც ამ დახმარებას საჭიროებს და არა საპატიო თბილისელებს.

კალათბურთი

# ვინ, რა, როგორ NBA-ში

## დასავლეთ კონფერენცია

სანდრო ნავერიანი

**4."სან-ანტონიო სფურზი"**

**სასტარტო ხუთეული:** ტონი პარკერი, მანუ ჟინობილი, ბრიუს ბოუენი, ტიმ დანკანი, რაშო ნესტეროვიჩი.

ის, რომ სანანტონიოელი ჩლიქები ძალიან სერიოზულ ძალას წარმოადგენენ, ყველასთვის ცნობილია. მარტო ის რად ღირს, რომ გუნდი, რომელიც ორჯერ ზედიზედ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი გახდა, ფაქტობრივად, არ დაშლილა და იგივე შემადგენლობით აპირებს ამ სეზონში გამარჯვებას. იმას ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ შარშანდელი სეზონი ტეხასელებმა ჩააგდეს, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ უმაღლეს დონეზე ჩაატარეს. როგორც უკვე გითხარით, სანანტონიოელთა სასტარტო ხუთეული არ შეცვლილა და თუ რამე ან ვინმე შეიცვალა, ეს მანუ ჟინობილია, რომელმაც ათენის ოლიმპიურ თამაშებზე საოცარი კალათბურთი აჩვენა და არგენტინის ეროვნულ ნაკრებს ოლიმპიური ოქროს მოპოვებაში დაეხმარა. ჟინობილის გარდა, შარშანდელთან შედარებით უკეთ ათამაშდა 2002 და 2003 წლების MVP ტიმ დანკანი. თუ შარშანდელ სეზონს გადავავლებთ თვალს, გაგვახსენდება, რომ დანკანმა უამრავი მცირე ტრავმა მიიღო, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუშალა წარმატების მიღწევაში მასაც და ტეხასურ გუნდსაც. რაც შეეხება გამთამაშებელ ტონი პარკერს, მასზე ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ თამაშს მოუმატა. პარკერმა უფრო იმაზე უნდა იფიქროს, რომ სადმე, ევროპაში გადაბარგდეს, ან თუნდაც თავისი მფლობელობის ქვეშ მყოფ "პარიზ ბასქეთ რეისინგში". საქმე ის არის, რომ "სან-ანტონიო სფურზის" ხელმძღვანელობა უკვე წლეულს ფიქრობდა, კონტრაქტი გაეწყვიტა ფრანგ გამთამაშებელთან, თუმცა, ეს არ გააკეთა. ამის მიზეზი ის იყო, რომ კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში ტეხასური კლუბის ხელმძღვანელობას ტონი პარკერისთვის დამატებითი თანხა უნდა გადაეხადა. ამიტომაც ამჯობინა, კიდევ ერთი წელი კლუბში დაეტოვებინა. დანარჩენი კალათბურთელები, შეიძლება ითქვას, კარგ ფორმაში არიან, მაგრამ, როგორც გასულ სეზონებში, წლეულსაც უკანა პლანზე მოუწევთ ყოფნა. რაც შეეხება პლეი-ოფში გასვლას, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, მთავარია, პლეი-ოფის რომელ ეტაპამდე მიაღწევენ.

**5. "საკრამენტო ქინგზი"**

**სასტარტო ხუთეული:** მაიკ ბიბი, კევინ მარტინი, კრის ვებერი, პრედრაგ სტოიაკოვიჩი, გრეგ ოსტერტაგი (ადამ პარადა).

შარშან, სეზონის დაწყებამდე, ამერიკული პრესა თვლიდა, რომ "საკრამენტო ქინგზი" ლიგის საუკეთესო გუნდი გახდებოდა. მათი პროგნოზი არ გამართლდა, მაგრამ კალიფორნიულმა კლუბმა ხარისხიანი კალათბურთი ითამაშა და პლეი-ოფში "მინესოტა თიმბერვულვზთან" დამარცხდა. მინესოტელებთან განცდილი მარცხი არ შეიძლება წარუმატებლობად ჩავთვალოთ, უბრალოდ, საკრამენტოელმა მეფეებმა აჩვენეს ის თამაში, რაც იცოდნენ, თავს ზემოთ ახტომა კი ვერ შეძლეს. შარშანდელ სეზონში საკრამენტოელთა გამარჯვებების მთავარი შემოქმედი სერბი პრედრაგ სტოიაკოვიჩი იყო. საერთოდ, ის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელია ლიგაში, ოღონდ არა დაგროვილი ქულებით, არამედ ნატყორცნი ბურთების გამოყენებით. მისი შარშანდელი პროცენტული მაჩვენებელი ოთხმოცს აღწევდა. წლევანდელ სეზონში საკრამენტოელები ისევ სტოიაკოვიჩის იმედად არიან, თუმცა, მათ ჰყავთ ძლიერი გამთამაშებელი მაიკ ბიბი, რომელიც სტოიაკოვიჩთან ერთად შარშანაც კარგად მოქმედებდა და წლეულსაც შეეცდება, სერბი კალათბურთელი კარგი გადაცემებით მოამარაგოს. ზაფხულში, როდესაც სატრანსფერო ფანჯარა ღია იყო, "საკრამენტო ქინგზის" ხელმძღვანელობამ "იუტა ჯაზიდან" გრეგ ოსტერტაგი გადაიბირა. ვერ ვიტყვი, რომ ეს კალათბურთელი კალიფორნიულ კლუბს არაფერში გამოადგება, მაგრამ ვერც იმას იტყვის კაცი, რომ ოსტერტაგის გადაყვანით "საკრამენტო ქინგზის" ფარქვეშ ყველაფერი რიგზე იქნება. ჯერ არ არის გარკვეული, თუ რომელი კალათბურთელი (გრეგ ოსტერტაგი თუ ადამ პარადა) დაიკავებს ადგილს საკრამენტოელთა ფარქვეშ, მაგრამ ფაქტია: ამ ორ კალათბურთელს ბევრი შრომა მოუწევს იმისთვის, რომ სასტარტო ხუთეულში საბოლოოდ დაიმკვიდროს ადგილი. რაც შეეხება დამრტყმელ ძალას, სტოიაკოვიჩს და ბიბის, მათ კრის ვებერი და კევინ მარტინი დაეხმარებიან. ორივე კალათბურთელს დაყენებული სროლა აქვს და თავისუფლად შეუძლია, საშუალოდ თამაშში 10-15 ქულა გააკეთოს.

TV-პროგრამა

**პარასკევი. 22 ოქტომბერი**

**НТВ+ФУТБОЛ**
06:30 NBA TV. წინასასეზონო მატჩი. "LOS ANGELES LAKERS" - "GOLDEN STATE WARRIORS". პირდაპირი ტრანსლაცია
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 ჩემპიონთა ლიგა. "ვალენსია" - "ინტერი"
14:15 ჩემპიონთა ლიგა. "სპარტა" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 "FUTBOL MUNDIAL"
16:55 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
17:25 ჩემპიონთა ლიგა. მატჩების მიმოხილვა
19:25 თავისუფალი დარტყმა
19:40 სახვალიო ტელეპროგრამა
19:45 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:15 "ექსპერტიზა"
20:45 ჩემპიონთა ლიგა. "მილანი" - "ბარსელონა"
22:40 თავისუფალი დარტყმა
22:55 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:50 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:45 01:45-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს დღიური
03:30 NBA TV. NBA შიგნიდან
04:00 NBA TV. წინასასეზონო მატჩი. "ATLANTA HAWKS" - "MIAMI HEAT". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:00, 16:05, 21:00 პრესცენტრი
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჭადრაკი. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა ესპანეთში
11:15 ჩოგბურთი. "Masters Series" მადრიდში
13:35 "მოტოვებული კვირა"
14:20 "ჰოკეი-პლუს"
14:35 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
15:05 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
15:35 "ბორის მაიოროვის არქივიდან"
16:20 "არტეფაქტი". ველოსიპედი
16:50 ტაილანდური კრივი
17:45 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი. "SKATE AMERICA". წყვილები. ვაჟები. მოკლე პროგრამები. შესვენებისას (19:15) - პრესცენტრი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 "ჰოკეი-პლუს"
21:45 "ნოკაუტი" - ტელეჟურნალი
23:00 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
23:30 ბრძოლა წესების გარეშე. "Ultimate Fighting Championship". შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
00:55 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი. "SKATE AMERICA". ორიგინალური ცეკვები. ქალები. მოკლე პროგრამები. საჩვენებელი პროგრამა. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:30 ფეხბურთი. უეფას თასი
12:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
13:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
14:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
15:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი შვეიცარიაში. მეოთხედფინალები პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
20:00 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო 24 კლუბი
20:30 ფეხბურთი. უეფას თასი
22:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
23:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
00:00 ყველაზე ძლიერი ადამიანი. საერთაშორისო შეჯიბრება პოლონეთში
01:00 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო 24 კლუბი
01:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:00 ახალი ამბები
02:15 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები 2004 03:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი კორსიკაზე

ფეხბურთი

# ფრანგულის გაკვეთილი

UEFA-ს თასის ჯგუფური ეტაპი
პირველი მატჩი

**დინამო 0:2 სოშო**

**დინამო:** *მამალაძე, შაშიაშვილი, ჭიჭვეიშვილი, სალუქვაძე, რომერო (დვალი 82`), კაშია (ალადაშვილი 72`), კანდელაკი, ნემსაძე, ახალაია, კაკალაძე, მელქაძე.*
**სოშო:** *რიშერი, პესლეი, აროჟოდალინა (ნდავი 46`), ორუმა, იზაბეი, ლონფა, პიტრო, დიავარა, მატიე, მენეზი (დე კარვალიო 58`), დაფი.*
**გოლები:** *1:0 აროჟოდალინა (17`), 2:0 პესლეი (37`).*
**გაფრთხილება:** *კაშია (19`), ჭიჭვეიშვილი (45`), ალადაშვილი (87`) - ორუმა (70`), პესლეი (89`).*
**მსაჯი:** *შტაფან მესნერი (ავსტრია).*


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

პრაღის "სლავიას" და კრაკოვის "ვისლას" დარი გუნდების დამარცხების შემდეგ, თითქოსდა "სოშოს" დამარცხებაც რეალური იყო. ყოველ შემთხვევაში, ქართველ გულშემატკივარს ამის იმედი ნამდვილად ჰქონდა. მატჩამდე სამი დღით ადრე, "ლოკომოტივის" სტადიონის სალაროებთან ხალხი ბილეთების რიგში იდგა, ყველა მოელოდა, რომ გუშინდელ თამაშზე ანშლაგი იქნებოდა. თუმცა, ცარიელი ადგილები მაინც იყო, თანაც საკმაოდ მრავლად, ალბათ სუსხიანმა ამინდმაც იქონია თავისი ზეგავლენა.

სამწუხაროდ, მატჩის პირველი ტაიმი ისეთი სცენარით წარიმართა, რომ სტადიონზე მისვლას ის გულშემატკივრებიც ნანობდნენ, რომლებიც სიცივეს არ შეუშინდნენ და მაინც მივიდნენ "დინამოს" საქომაგოდ.

ის, რომ გუშინდელ შეხვედრაში ვერ ითამაშებდნენ კანკავა *(სამი ყვითელი ბარათის გამო)* და კვირკველია *(ტრავმის გამო)*, წინდაწინვე ცნობილი იყო, თუმცა, ალბათ, არავის უნდოდა იმის დაჯერება, რომ ამ ორი ფეხბურთელის არყოფნა ასე ძალიან დაეტყობოდა "დინამოს".

გუშინდელი "დინამო" არ გავდა იმას, რომელმაც ასე კარგად დაგვამახსოვრა თავი წინა შეხვედრებში. უნდა ითქვას, რომ მასპინძელთა პასიური თამაში გამიზნული სიფრთხილით იყო გამოწვეული. აშკარად ჩანდა, რომ მატჩის დებიუტში "დინამო" მეტოქის "დაზვერვას" უფრო ცდილობდა, ვიდრე ინიციატივის ხელში ჩაგდებას. სიფრთხილე გასაგებია, მაგრამ ვაი, რომ ეს სიფრთხილე არ იყო იქ, სადაც ისე ყველაზე მეტად არის საჭირო - დაცვაში. პირველი ტაიმის სცენარი ასეთი იყო: შეტევაში "დინამო" ვერაფერს აკეთებდა, დაცვა კი ისეთი არეული ჰქონდა, რომ მეტოქის ნებისმიერი შეტევა სახიფათო იყო. დაცვის უყურადღებობის გამო გავიდა პირველი გოლიც. სტუმართა მე-9 ნომერი ილან აროჟოდალინა ისეთ თავისუფალ კორიდორში მოხვდა, რომ პირდაპირ წასვლა და კარში დარტყმა სჭირდებოდა მხოლოდ. აროჟოდალინას არც კაცის მოტყუება დასჭირვებია და არც უკეთეს პოზიციაში მყოფი თანაგუნდელის მოძებნა - 0:1.

მეორე გოლი კი კუთხურიდან გავუშვით. მოაწოდეს და თავით გაგვიტანეს, მამალაძეს კარიდან გამოსვლის მცდელობაც არ ჰქონია. მამალაძე ვახსენეთ და აქვე ისიც ვთქვათ, რომ სტუმართა თავკაც გი ლაკომბს ძალიან კარგად ჰქონია შესწავლილი "დინამოს" თამაში. მათ შორის ჩვენი ახალგაზრდა მეკარეც კარგად გაუცვნია. "სოშოს" ფეხბურთელებს აშკარად დავალებული ჰქონდათ, რომ ნებისმიერ სიტუაციაში, ნებისმიერი დაშორებიდან დაერტყათ მამალაძის კარში...

პირველი ტაიმი ისე მიილია, რომ "დინამოს" ერთი სახეირო შეტევაც კი არ განუხორციელებია. იმის იმედი, რომ მატჩის მეორე ნახევარში ჩვენები რაიმეს გამოსწორებას შეძლებდნენ ცოტას თუ ჰქონდა. თუმცა, შესვენების შემდეგ "დინამო" აშკარად სხვა განწყობით გამოვიდა მოედანზე. მეორე ტაიმი სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა იმ ავადგასახსენებელი პირველისგან. შეტევას შეტევა მოსდევდა, "დინამო" ძალიან აქტიურად ათამაშდა და მეტოქის კართან უამრავ საგოლე მომენტსაც ქმნიდა. განსაკუთრებით სახიფათო იყო ლევან მელქაძე, რომლის თავური დარტყმები ხან მიზანს სცდებოდა, ხანაც "სოშოს" მეკარე რიშერი "ვაჟკაცობდა". შესანიშნავი იყო "დინამოელთა" კაპიტანი ნემსაძე, რომელმაც მთელი მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა, პირველი ტაიმის ჩათვლით. 72-ე წუთზე გეგუჩაძემ კახაბერ ალადაშვილი გამოიყვანა მოედანზე, რომელიც შესანიშნავად ჩაერთო თამაშში და აქამდე შედარებით პასიურად მოქმედი მარჯვენა ფლანგი აშკარად გამოაცოცხლა. საინტერესოა, თუ რატომ არ მისცეს ალადაშვილს მატჩის პირველივე წუთიდან თამაშის საშუალება?

"დინამოს" მიერ მეორე ტაიმში ნაჩვენები ფეხბურთით უკმაყოფილოები ნამდვილად არ უნდა ვიყოთ, თუმცა სამწუხარო ის არის, რომ ამ აქტიურობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ჩვენებმა ერთი გოლის გაქვითვაც ვერ მოახერხეს. შეგვიძლია ეს უიღბლობას დავაბრალოთ, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ "სოშო" 2:0-ს იგებდა და მეორე ტაიმში ანგარიშის შენარჩუნებაზე უფრო მეტად ფიქრობდა, ვიდრე ქართველ გულშემატკივარზე შთაბეჭდილების მოხდენას.

UEFA-ს თასის ჯგუფურ ეტაპზე "დინამოს" მომდევნო თამაშების განრიგს თუ გავითვალისწინებთ, გუშინდელ მატჩში დამარცხება მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს ფაქტობრივად აღარ გვიტოვებს, "დინამოს" ხომ ნიუკასლში აქვს სათამაშო *(რომელმაც, გუშინ 0:1 მოუგო "პანიონისს")...*

თუმცა, ამ ერთი წაგების გამო, ყველაფერს წყალში ნუ ჩავუყრით "დინამოს". ის, რაც "დინამომ" აქამდე შეძლო, უკვე დიდი წარმატებაა. "სოშოსთან" თამაში კი "დინამოს" უდავოდ წაადგება მომავალში, მიუხედავად იმისა, რომ ამ მატჩში დავმარცხდით...

ფორმულა 1

# ფორმულა 1 ისევ იცვლება

ფორმულა 1-ის კლასის მანქანებით რბოლებში კვლავ ცვლილებებია მოსალოდნელი. უახლოეს დღეებში შეიძლება კვალიფიკაციის წესები გაუმჯობესდეს. სპეციალისტების ვარაუდით, პირვანდელი კვალიფიკაცია მეტისმეტად გაწელილი იყო და ხელს აძლევდა გერმანელ მიხაელ შუმახერს.

მომავალი წლიდან ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატებზე საკვალიფიკაციო რბოლების ფორმატი შეიცვლება. ბევრი დაჟინებით მოითხოვს, რომ საკვალიფიკაციო რბოლები ორ დღეზე გაიჭიმოს: შაბათს და კვირას. ამ ინიციატივის წინააღმდეგი ფედერაციის მხრიდან არც ბერნი ეკლსტოუნი ყოფილა. სიახლეს ფორმულა 1-ის ბოსები კენჭს უყრიან უახლოეს პარასკევს, როცა ბრაზილიის გრან-პრის პრაქტიკული რბოლები დაიწყება.

ფორმულა 1-ის გუნდების მფლობელებმა საკვალიფიკაციო რბოლების ფორმატის შეცვლაზე პრინციპულ შეთანხმებას ჯერ კიდევ მაისში მიაღწიეს. ვარაუდობენ, რომ ამიერიდან კვალიფიკაცია გათვლილი იქნება ორ 20-წუთიან სესიაზე, რომლის მსვლელობისას პილოტები ექვსი წრის შემოვლას შეძლებენ.

საბოლოო შედეგის გასათვალისწინებლად ყოველი პილოტის საუკეთესო შედეგის საშუალო მონაცემს აიღებენ თითოეული სესიიდან. ამასთან, მანქანის ავზებში ბენზინის რაოდენობა არ იქნება რეგლამენტირებული. პირველი კვალიფიკაცია შაბათს, დღის მეორე ნახევარში გაიმართება. მისი შედეგების გათვალისწინებით განლაგდებიან პილოტები სტარტზე მეორე სასესიო რბოლისთვის. მეორე საკვალიფიკაციო რბოლა კი კვირა დილით გაიმართება.

პირველ კვალიფიკაციაზე პილოტები მსუბუქი ბოლიდებით გამოვლენ, ხოლო მეორე კვალიფიკაციაში იმ ბოლიდებით, რომლებიც უშუალოდ რბოლისთვის იქნება გამზადებული. ფინალური რბოლისთვის პილოტების განლაგების მედიატორი იქნება ორი სესიის ჯამური მაჩვენებელი.

საკვალიფიკაციო რბოლების ახლანდელი წესი გულისხმობს, რომ პილოტები სტარტზე რიგრიგობით გამოდიან და ორი სესიის ჯამში თითო წრეს უვლიან. ამასთან, კვალიფიკაციის დამთავრებამდე ბენზინის ავზების შევსება პილოტებს აკრძალული აქვთ. ამ სისტემას მუდმივად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ის სანახაობრივად უინტერესო და ძალიან გაწელილია. ახლანდელი ფორმატით კვალიფიკაციას არცთუ ისე ხშირად 2 საათზე მეტი დრო სჭირდება.

ამას გარდა, წლის დასაწყისში ბერნი ეკლსტოუნი აცხადებდა, რომ კვალიფიკაციის ამჟამინდელი ვარიანტი ხელს აძლევს გერმანელ მიხაელ შუმახერს, რომელიც შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი გახდა (თუმცა, ფორმულა 1-ის ბოსი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რატომ აძლევს ხელს კვალიფიკაცია მაინცდამაინც მიხაელ შუმახერს). თუმცა, ახლავე ნათელია, რომ ყველა ქმედება ცვლილებებთან დაკავშირებით მიმართული იქნება იმისკენ, რომ მიხაელ შუმახერს მაქსიმალურად გაუჭირდეს ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის მოგება.

ახლანდელი სისტემის ნაკლოვანებები ნათლად გამოჩნდა 2004 წლის სეზონის პირველივე რბოლაში - ავსტრალიის გრან-პრიზე. ჯერ ერთი, პირველ წრეზე პილოტების უმრავლესობა, უბრალოდ, თავის მოვალეობას ასრულებდა და ამით თავს არიდებდა ბოლიდის დაზიანების რისკს. ამას გარდა, კვალიფიკაციას ორ საათზე მეტი დრო დასჭირდა, იმაზე მეტი, ვიდრე თვითონ რბოლას.

ფორმულა 1-ის სხვა ცნობებიდან აღსანიშნავია მისი გეოგრაფიის გაზრდა. მექსიკამ გამოთქვა მზადყოფნა, უმასპინძლოს ფორმულა 1-ის გრან-პრის ეტაპს 2006 წელს. მექსიკის მთავრობამ გააკეთა განცხადება, რომ ქვეყანა მზად არის, ფორმულა 1-ის ვარსკვლავებს 2006 წლის ოქტომბერში საკურორტო ქალაქ კანკუნში უმასპინძლოს. ტრასის მშენებლობა მექსიკას 66 მილიონი ევრო დაუჯდება.

ფორმულა 1-ის მფლობელს ბერნი ეკლსტოუნს მექსიკელთა ინიციატივა ოფიციალურად ჯერ არ დაუდასტურებია, მაგრამ შეიძლება მექსიკის ინიციატივის ბედი გაირკვეს 25 ოქტომბერს, როცა ოფიციალური განცხადება გაკეთდება. აღსანიშნავია, რომ მექსიკაში ფორმულა 1-ის ეტაპები 1992 წლამდე იმართებოდა, მაგრამ იმ რბოლებს მეხიკო მასპინძლობდა.

ჭადრაკი

# ლიდერებში არ ვართ, მაგრამ...

პაატა თოთაძე

ესპანეთის ქალაქ კალვიაში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადა თანდათან უახლოვდება ეკვატორს. უკვე 6 ტურია ნათამაშები და თანდათან იკვეთება იმ გუნდთა ვინაობა, რომლებიც უმაღლეს ჯილდოს შეეცილებიან ერთმანეთს.

მამაკაცებში კვლავაც უკრაინის ნაკრები ლიდერობს, თუმცა, მისი უპირატესობა იმდენად დიდი აღარ არის, როგორც ეს ამ ტურამდე იყო. მეექვსე ტურში უკრაინელებმა აზერბაიჯანი დაამარცხეს 2,5:1,5 და 19 ქულა დააგროვეს, ხოლო რუსეთის ნაკრებმა თავის კონკურენტს, ისრაელის ნაკრებს სძლია 3,5:0,5 და უკრაინელებთან ჩამორჩენა 1 ქულამდე შეამცირა. მეხუთე გამარჯვება მოიპოვეს ქართველმა მამაკაცებმა. მათ ბოსნიის ნაკრები დაამარცხეს 3:1. პარტიები მოიგეს ბაადურ ჯობავამ და თამაზ გელაშვილმა, ზურაბ აზმაიფარაშვილი და მერაბ გაგუნაშვილი კი ყაიმს დასჯერდნენ. ქართველ მამაკაცთა გამოსვლას ოლიმპიადაზე ჯერჯერობით წარმატებული ეთქმის. ექვსი ტურიდან ჩვენები მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ ესპანეთის საკმაოდ ძლიერ გუნდთან და ახლა 15,5 ქულით მეცხრე ადგილზე არიან. თბილისიდან წასვლამდე ნაკრების კაპიტანი თამაზ გიორგაძე ამბობდა, რომ გუნდს გადამწყვეტი ბრძოლები ტურნირის ბოლოსკენ ელის. ამდენად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძალების დაზოგვას, რათა ფინიშზე კარგად ვითამაშოთ. თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ეს წინასწარ იყო დაგეგმილი, საქართველოს ნაკრებისგან საკმაოდ კარგ შედეგს უნდა ველოდოთ. გუშინ ოლიმპიადაზე დასვენების დღე იყო, დღეს კი საქართველოს ნაკრების მეტოქე იქნება კუბის გუნდი, რომელსაც ქართველების მსგავსად 6 ტურის შემდეგ 15,5 ქულა აქვს.

სამწუხაროდ, წარუმატებლად გამოდის ქალთა ნაკრები. ის ექვსი ტურის შემდეგ 11 ქულით მე-17 ადგილზეა და ლიდერს, ჩინეთის გუნდს, 5 ქულით ჩამორჩება. ეს საკმაოდ დიდი სხვაობაა, თანაც, ჩინელთა სიძლიერის გათვალისწინებით, საეჭვოა, მათ ვინმე დაეწიოს. ისინი დღემდე არც ერთ ტურში არ დამარცხებულან. საპრიზო სამეულში მოხვედრა კი რეალურად შეგვიძლია. მეორე ადგილზე მყოფ საფრანგეთის ნაკრებს მხოლოდ 13 ქულა აქვს, მომდევნო შვიდ გუნდს კი - 12-12 ქულა. მეექვსე ტურში ქართველი ქალები ამერიკელებთან დამარცხდნენ 1:2. ქართველთაგან მხოლოდ ლელა ჯავახიშვილმა მოიგო, მაია ჩიბურდანიძემ და ნანა ძაგნიძემ კი წააგეს. დღეს, მეშვიდე ტურში, ჩვენები ასევე 11 ქულის მქონე რუმინეთის ნაკრებს ხვდებიან.

# აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გარანტირებული აღდგენის კონცეფცია

### წინასიტყვაობა

წინამდებარე ტექსტს "გარანტირებული აღდგენის" კონცეფცია ეწოდება იმიტომ, რომ მასში ჩამოთვლილია საქართველოს ხელისუფლების ის ნაბიჯები (და მათი თანმიმდევრობა), რომლებიც საკმარისია, რათა შედეგს აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენა განურჩევლად იმისა, ჰყავს თუ არა საქართველოს მსოფლიოს წამყვან ძალთა შორის "შეგობრები", ანუ საქართველოს დიპლომატიური, ეკონომიკური, პოლიტიკური ან რამის სხვა სახის დახმარებისათვის განწყობილი ქვეყნები. საქართველოს მიერ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე თავისი იურისდიქციის სრულფასოვანი აღდგენისათვის მას სჭირდება ერთადერთი პირობა მსოფლიოს პოლიტიკურ, იურიდიულ და სტრატეგიულ ურთიერთობათა სისტემაში: მსოფლიო თანამეგობრობა უნდა კრძალავდეს ერთი სუვერენული სახელმწიფოს მიერ მეორე სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ ომის დაწყებას, თუ ეს ომი არ არის მოტივირებული და ეს მოტივაცია არ არის საკმარისად დასაბუთებული საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დამყარებით. ეს პირობა დღეს შესრულებულია: საერთაშორისო სამართლით არადასაბუთებული ან არასაკმარისად დასაბუთებული ომის დაწყება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთს არ შეუძლია. ამგვარად, თუ საქართველოს ხელისუფლება საქართველოს დღევანდელი და სამომავლო სახელმწიფო ინტერესების ერთგულია, ანუ თუ მას კეთილი ნება აქვს, მაშინ იგი აფხაზეთში თავის იურისდიქციას აღადგენს ყველა შესაძლო შემთხვევაში. თუ საქართველოს ეყოლება მსოფლიოში მეგობარი ძალები, ამით, ცხადია, გასასვლელი მძიმე გზა შემოკლდება ანუ ამოცანის გადაჭრა გაადვილდება. ჩვენ, რაღა თქმა უნდა, ამოცანის ასეთ გაადვილებას სიხარულით შევხვდებით. მაგრამ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ - და გარანტირებულად გავთვალოთ - აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენის მთელი გზა იმ შემთხვევისთვისაც, თუ ასეთი დამხმარე (დამხმარეები) არ აღმოგვიჩნდება. ჩვენი თეზისი მხოლოდ ის გახლავთ, რომ საქართველოს შეუძლია ამოცანის გადაჭრა ასეთი გაადვილების გარეშეც და ეს გარემოება უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა მოლაპარაკებასა და შეთანხმებათა პროცესში, რომლებიც აფხაზეთის საკითხებს ეხება.

**I. არსებული ფონი (მოლაპარაკებათა ფორმატი და მათზე წანამძღვრებად მიღებული შეხედულებები)**.

დღემდე შევარდნაძის ხელისუფლების ინიციატივით ტარდება მოლაპარაკებები "აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ" გაეროს უშიშროების საბჭოს ეგიდით ნიუ-იორკში და ჟენევაში. მოლაპარაკებებში "მხარეებად" არიან "შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები", სახელდობრ, არძინბას ჯგუფი, როგორც კონფლიქტის "აფხაზური მხარე", ერთის მხრივ, და საქართველოს ხელისუფლება, როგორც "ქართული მხარე", მეორეს მხრივ. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ქართული ნაწილი თ. ნადარეიშვილის მეთაურობით მოლაპარაკებათა პროცესში ჩართულ იქნა, მაგრამ არა "მხარის" სტატუსით, მხოლოდ მოგვიანებით. რუსეთს მინიჭებული აქვს "მხარეთა" შორის შეთანხმების მიღწევის "ხელშემწყობის" ("ფასილიტატორის", გამაადვილებლის) სტატუსი.

მოლაპარაკებებში ამოსავალ წანამძღვრებად მდუმარედ ნაგულისხმევია შემდეგი დებულებები:

აფხაზეთში 1992-1993 წლებში მომხდარი ომი იყო ქართულ-აფხაზური ომი (ან: საქართველოსა და აფხაზების ომი) და იგი აფხაზებმა მოიგეს (ან: აფხაზეთმა მოიგო)

აფხაზეთი არის აფხაზების ქვეყანა. აფხაზები არის ის ხალხი, რომელიც თავის თავს "აფსუა"-ს უწოდებს. მართალია, აფხაზეთში იყო ქართველი მოსახლეობა (46%) და ეს იყო მოსახლეობის უმრავლესობა, მაგრამ ეს იყო გვიან მოსული მოსახლეობა, უმთავრესად სტალინისა და ბერიას მიერ ჩასახლებული 1930-იან წლებში. საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ ამ მოსახლეობამ არჩია აფხაზეთიდან აყრა და საქართველოში გადასახლება. აფხაზური მოსახლეობა, მართალია, იმამდე შედეგებით მთელი მოსახლეობის მხოლოდ 17%, მაგრამ ეს სიტუაცია განსაზღვრა იმან, რომ მეფის რუსეთმა XIX საუკუნეში ჩაატარა აფხაზი მოსახლეობის დიდი დეპორტაცია (გასახლება) თურქეთში.

აფხაზეთი და საქართველო ორი სხვადასხვა ქვეყანაა. აფხაზეთის ყოფნა საქართველოს შემადგენლობაში ისტორიულად მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკურ ფაქტორთა შედეგია. ეს არის ერთ-ერთი შემთხვევა, როცა ერთი ქვეყანა თავისი ხალხითურთ ინკორპორებულია უფრო დიდ ქვეყანაში. ამიტომ ერთი (ხალხთა) თვითგანსაზღვრის (როგორც ქართულად თარგმნიან ხოლმე: თვითგამორკვევის) პრინციპი, რომელიც დღეს მსოფლიოს მიერ აღიარებულია და რეალიზებულიცაა დეკოლონიზაციის პროცესის სახით, იმას მეტყველებს, რომ აფხაზებსაც თავისი ქვეყნიანად, ანუ აფხაზეთიანად, თავისუფლება უნდა ჰქონ-[illegible]

[illegible]

მას შემდეგ, რაც აფხაზეთში არსებულ [illegible]

**II. აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის იდეოლოგიური (სახელდობრ, ისტორიოგრაფიული, მორალური და პოლიტიკური) საფუძვლები, რომლებიც მსოფლიოს უნ-და მოსსენდეს და აუხსნას, სახელდობრ, შემდეგი:**

**1. აფხაზეთში 1992-93 წლებში წარმოებული ომი იყო ქართულ-რუსული და არა ქართულ-აფხაზური ("აფხაზური") ომი.** ქართველი მოსახლეობის გენოციდი, რომელიც ახლაც გრძელდება (მხოლოდ გალის რაიონში, სადაც დგანან რუსეთის "სამშვიდობო ძალები" [illegible], 1993 წლიდან დღემდე მოკლულია 1800 მშვიდობიანი მოსახლე, ქართველი ეროვნებისა, ანუ მთელი დღეს იქ მყოფი მოსახლეობის 3,6 პროცენტი), ორგანიზებულია და ჩატარებულია ძირითადად რუსეთის მიერ.

სახელდობრ, რუსეთის მხრიდან უშუალოდ ბრძოლაში მონაწილეობდნენ:

- რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ტყვეებად ჩაიგდეს.
- რუსეთის "დაქირავებული" სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც "დაქირავებულ" იყვნენ გამოგზავნილნი.
- რუსეთის სამხედრო ნაწილები (345-ე ავიასადესანტო პოლკი და სოხუმის ბატალიონი),
- რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც მზადდებოდნენ და იარაღდებოდნენ რუსეთში და იგზავნებოდნენ საქართველოში, როგორც "მოხალისენი" (კაზაკები, სხვა რუსები ან არარუსი მოხალისენი, ადიღეელები, ყაბარდოელები, ოსები, მცირე რაოდენობით - ჩეჩნები)
- სამხედრო "კონსულტანტებად" და "ინსტრუქტორებად" წარმოგზავნილი (არაოფიციალურად) რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები.

გარდა ამისა, რუსეთის ფედერაცია

- ამარაგებდა არძინბას ჯგუფის შეიარაღებულ ძალებს შეიარაღებით, საწვავით, ტყვია-წამლით, სხვა სამხედრო მასალებით, საკვებით,
- აძლევდა მათ სადაზვერვო ინფორმაციას.
- თავისი სამაუწყებლო აპარატის საშუალებით აწარმოებდა "საპროპაგანდო ომს" მათ მხარეზე.

ამგვარად, მოლაპარაკებებზე გაზიარებული პირველი წანამძღვარი ყალბია.

**2. ქართველი ხალხი აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორიის ერთადერთი ავტოქტონი ხალხია,** ანუ ის ხალხი, რომელმაც ეს ტერიტორია ხელუხლებელი ტყეების მდგომარეობიდან გადაიყვანა განვითარებული ფეოდალური ცივილიზაციის მდგომარეობაში, ხოლო ქართული ენა ის ერთადერთი ენაა, გარდა ბერძნულისა ყოფილი საპორტო ბერძნული კოლონიების ტერიტორიაზე, რომელზედაც აქ შუა საუკუნეთა ეპიგრაფიკა (ქვაზე წარწერები) არსებობს. ეთნონიმს "აფსუა" არა აქვს ლინგვისტური კავშირი ეთნონიმთან "აფხაზი" (იხ რ. Гамкрелидзе) და ტოპონიმთან "აფხაზეთი", რომელიც ცნობილია VIII საუკუნიდან როგორც ხან დღევანდელი აფხაზეთის, ხან მისი ერთი ნაწილის, ხან მთლიანად დასავლეთი საქართველოს აღმნიშვნელი. ხალხი აფსუა, ადიღეური მოდგმისა, ჩრდილოეთი კავკასიიდან გადმოსახლდა კავკასიონის ქედის სამხრეთით, საქართველოში, ჯერ, სპორადულად, XIII საუკუნიდან, ხოლო შემდეგ, მასობრივად, XVII-XVIII საუკუნეებში, როცა ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა თურქული ლაშქრობების შედეგად. სახელი "აფხაზი" იმ იმიგრანტ ადიღეურ ტომებს დაერქვათ (ქართველების მიერ) იმიტომ, რომ პროვინციას, რომელშიც ისინი დასახლდნენ, "აფხაზეთი" ერქვა.

ამგვარად, აფხაზეთი არ არის აფსუების ("აფხაზების") ქვეყანა. იგი ჯერ ქართველების, შემდეგ კი აფსუების ("აფხაზების") ქვეყანაა. ამ ტერიტორიის ბედის გადაწყვეტაში ერთი აფსუას ("აფხაზის") ხმას არ შეიძლება ენიჭებოდეს მეტი წონა, ვიდრე ერთი ქართველის ხმას, შესაბამისად - მთელი აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობის ხმას (90 ათასი სული) - მეტი წონა, ვიდრე მთელი ქართველი მოსახლეობის (300 ათასი სული) ხმას.

დღეს აფსუა ("აფხაზ") ხალხს საკუთარი, ადიღეური მოდგმის სხვა ხალხთაგან განსხვავებული ეთნიკური თვითცნობიერება აქვს და, ამდენად, საქართველოს გარეთ სხვა სამშობლო აღარ აქვს. მაგრამ დღეს არის მკაფიო ტენდენცია აფსუა ("აფხაზი") ხალხის ეთნიკური თვითცნობიერების რეინტეგრაციისა ადიღეური მოდგმის სხვა ხალხებთან. თუ ეს მოხდება, მაშინ აფსუა ("აფხაზი") ხალხი დიასპორის მდგომარეობაში აღმოჩნდება.

თქმულიდან გამომდინარეობს - და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომელნიც აფხაზეთით ინტერესდებიან, ეს უნდა იცოდნენ საქართველოს ხელისუფლებისაგან, - რომ აფხაზეთში რუსების მიერ დანერგილი და აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობის საკმაოდ ფართო წრის მიერ ფართოდ ატაცებული ლოზუნგები - "სმერტ გრუზინამ" და "გრუზინი, ვონ იზ აბხაზიი", რომლებიც განხორციელდა კიდეც იმავე რუსეთის ინიციატივითა და დახმარებით 1992-93 წლებში - ზემოხსენებულ ყალბ ისტორიულ წანამძღვარს ემყარება, სახელდობრ, იმ თეზისს, რომ ქართველები აფხაზეთში მოსული და აფხაზეთის დამკავებელი ხალხია, თუმცა ამ "დაკავების" ფორმასა და თარიღს, თუნდ ათასწლეულის სიზუსტით, ვერავინ უთითებს.

არ არის მართალი არა მხოლოდ ის, რომ აფხაზეთში ქართველი მოსახლეობა მოსული ეთნიკური ელემენტია, არამედ არც ის, რომ აფხაზეთში საბჭოთა წლების მანძილზე მომხდარ იმიგრაციაში ქართველების პროცენტი ჭარბობდა. ძირითადი იმიგრაცია, რომელსაც ხელს უწყობდნენ საბჭოთა სახელმწიფოებრივი სტრუქტურები (განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან), ხდებოდა რუსებისა და სომხების სახით. შედარებით მცირე მასშტაბით ეს ხდებოდა რევოლუციამდეც, საბჭოთა წლებში კი ამ მიგრაციამ (სომხებისა და რუსებისამ) წამლეკავი ხასიათი მიიღო. ამის შედეგად აფხაზეთის მოსახლეობის 30% (16%-სომხები, 14%-რუსები) შეადგინა რუსული იმპერიული ადმინისტრაციის მიერ ასი წლის (ძირითადად კი - ბოლო 40 წლის) მანძილზე შესახლებულმა პირწმინდად უცხო ეთნიკურმა ელემენტებმა.

ამგვარად, მოლაპარაკებებზე გაზიარებული მეორე წანამძღვარიც ყალბია.

არ არის მართალი, რომ აფხაზეთი არის ან ოდესმე ყოფილა საქართველოში ინკორპორირებული, მაშასადამე, ძალდატანებით შეყვანილი არაქართული ტერიტორია. აფხაზეთი მისი დღევანდელი ტერიტორიის სახით ან დაახლოებით ამ ტერიტორიის სახით იყო აფხაზეთის სამთავრო - სხვა ანალოგიურ ნაწილთაგან განუსხვავებელი ელემენტი ქართული ფეოდალური მონარქიისა - და ასეთად დარჩა მის შემდეგაც, რაც მოსახლეობა აფსუური ელემენტით შეივსო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში (1921წ) აფხაზეთი ფიგურირებს როგორც "სოხუმის ოლქი", რომესაც "ადგილობრივ საქმეებში" ავტონომია აქვს. 1935 წლის აფხაზეთის კონსტიტუცია, რომელიც შედგენილი იყო საბჭოთა ადმინისტრაციის მიერ და რომელსაც აფსუა ("აფხაზი") სეპარატისტები იმოწმებენ, როგორც აფხაზეთის საქართველოსაგან ცალკე ყოფნის იურიდიულ საფუძველს, კონსტიტუცია კი არ იყო, არამედ პროექტი, რომელიც არც ერთი, რაგინდარა მარიონეტული საკანონმდებლო ორგანოს მიერ არ მიღებულა.

ამგვარად, მოლაპარაკებებზე მიღებული მესამე წანამძღვარიც ყალბია.

დღეს აფსუა ("აფხაზი") სეპარატისტები, რუსეთის მიერ იმედმიცემულნი და ძალამიცემულნი, თავისი ორი ამბიციის რეალიზაციას ფიქრობენ.

**პირველი.** მათ სურთ, რომ აფხაზეთი, როგორც მთელი, გამოყოს საქართველოს და [illegible]

**მეორე.** მათ სურთ, რომ აფხაზეთი, როგორც მთელი [illegible]

[illegible]

თის ტერიტორიის მოწყობისა და მომავალი ბედის განსაზღვრაში გასათვალისწინებელია) - არა ერთი, არამედ სამი ნება.

სახელდობრ,

- აფხაზეთის ყველა კანონიერი მაცხოვრებლის ნება, რომ ჰქონდეს უსაფრთხოება, კეთილდღეობა, თანამედროვე ცივილიზაციისა და დემოკრატიის შესაბამისი ცხოვრების პირობები. (ამ ნების დამთხვევა არძინბასა და მისი ჯგუფის პოლიტიკურ კურსთან და, კერძოდ, საქართველოსაგან აფხაზეთის სეცესიის (გამოყოფის) ან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან აფხაზეთის მაქსიმალური დამოუკიდებლობის მიღწევის კურსთან, ჯერჯერობით არსად - არც რომელსამე დემოკრატიულად ჩატარებულ არჩევნებში ან რეფერენდუმში, არც სხვა რამ ფორმით - არ დადასტურებულა).

- ქართველი ერის და მის რიცხვში - აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ნება, რომ აფხაზეთის ტერიტორიას განიხილავდეს როგორც თავისი ეროვნული თვითრეალიზაციის ასპარეზს აწ და მარადის, თავისი ეროვნული ბუნებრივი და კულტურული მახასიათებლების, თავისი წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების გათვალისწინებით აგებული საზოგადოების მოწყობისა და განვითარების ასპარეზს. (ქართველი ერის და, კერძოდ, აფხაზეთის ქართული მოსახლეობის უფლება, რომ ეს ნება განახორციელოს, როგორც უკვე ითქვა, კითხვის ქვეშ ვერ დადგება, ვინაიდან, როგორც ვთქვით, ქართველი მოსახლეობა ამ ტერიტორიის ავტოქტონური მოსახლეობაა, მასზე არსებული შუასაუკუნოვანი და მანამდელი მატერიალური და სულიერი კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ერთადერთი შემქმნელი).

- აფსუა (როგორც თვითონ ხალხი უწოდებს თავისთავს) ანუ აფხაზი (როგორც სხვანი უწოდებენ ქართული ეთნონიმის მიხედვით) ხალხის ნება, რომ აფხაზეთის ტერიტორიას განიხილავდეს როგორც თავისი ეროვნული თვითრეალიზაციის ასპარეზს აწ და მარადის, თავისი ეროვნული ბუნებრივი და კულტურული მახასიათებლების, თავისი წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების გათვალისწინებით აგებული საზოგადოების მოწყობისა და განვითარების ასპარეზს. აფსუა ("აფხაზი") ხალხის უფლება, რომ ეს ნება განახორციელოს, აგრეთვე ვერ დადგება კითხვის ქვეშ, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ აფსუა ("აფხაზი") ეთნოსი არ არის ავტოქტონური, არამედ XIII-XVIII საუკუნეთა მანძილზე კავკასიონის ქედის ჩრდილოეთი კალთებიდან გადმოსული ადიღეური მოდგმის ტომების ჩამომავალია, იგი დღეს კულტურულად და ეროვნულად დიდადაა დაშორებული ადიღეელებს და, როგორც აღვნიშნეთ, საკუთარი ეროვნული იდენტობის ცნობიერება აქვს.

ეს სამი ნება ურთიერთიდენტური არ არის, მაგრამ მათ შორის შეურიგებელი წინააღმდეგობაც არ არის. შესაძლებელია ყოველთვის, რომ მეორეს და მესამეს სხვადასხვა პოზიცია ჰქონდეთ აფხაზეთის სტატუსის რაგვარობის, აფხაზეთის ხელისუფლებასა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის უფლებამოსილებათა და კომპეტენციათა გამიჯვნის შესახებ, მით უმეტეს - აფხაზეთის შიგნით განსახორციელებელი პოლიტიკური და გეოგრაფიული მოწყობის, ოპტიმალური დარაიონების, სოხუმისა და რაიონების უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ. მაგრამ ამ სხვაობათა ჰარმონიზაცია შესაძლებელია (პირდაპირ მოლაპარაკებათა შედეგად). დაუშვებელია მხოლოდ დისკრიმინაცია, სახელდობრ, ერთი აფსუასათვის ("აფხაზისთვის") მეტი უფლებამოსილების მინიჭება აფხაზეთის, როგორც მთელის, ბედის განსაზღვრაში, ვიდრე ერთი ქართველი მოსახლისათვის.

ამგვარად, წინამდებარე წერილში წარმოდგენილი გეგმის იდეოლოგია არის

- საქართველოს კანონიერ სახელმწიფო ინტერესთა დაცვა
- აფსუა ("აფხაზი") ხალხის ყოველმხრივი თვითრეალიზაციისა და განვითარების დაცვა (რადგან, მიუხედავად აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ ქართველთა გენოციდისადმი თანაგრძნობისა და მასში მონაწილეობისა, არ გვაქვს უფლება დავაზარალოთ აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის, მათ შორის - ახალი და მომავალი თაობების ინტერესები)
- დევნილი და ლტოლვილი მოსახლეობის ინტერესთა უკომპრომისო სამართლიანი დაცვა, მისი მატერიალური და მორალური ზარალის სრული ანაზღაურების ჩათვლით
- დამნაშავეთა დასჯა.
- სიცოცხლისუნარიანი პირობების შექმნა აფხაზეთში ქართველი და აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობის მომავალი მშვიდობიანი და ნაყოფიერი თანაცხოვრებისათვის.

### აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ქართული იურისდიქციის სრული აღდგენისა და აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის ღონისძიებები შესაბამის ნაბიჯთა თანმიმდევრობა

ეს ნაბიჯები შემდეგია:

ა) საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური განცხადება მსოფლიოს წინაშე, რომ აფხაზეთის ომი იყო და არის რუსეთის აგრესია (დღეს - მისი მიწის ოკუპაცია) რუსეთის მხრიდან; აფხაზეთის პრობლემის ყოველგვარი ინტერნაციონალიზაციის მოხსნა (მისი საქართველოს შინაურ პრობლემად მიჩნევა) ყოველმხრივ, გარდა ერთადერთი ასპექტისა: მისი განხილვისა, როგორც რუსეთის აგრესიისა საქართველოს წინააღმდეგ.

ბ) (პარალელურად) რუსეთის შეიარაღებული ძალებისათვის "სამშვიდობო" მანდატის გაუქმება და მათი გაყვანა, აგრეთვე რუსეთის ბაზების გაყვანის კატეგორიული და დაუყოვნებლივი მოთხოვნა და მიღწევა (არსებული ბაზების ბლოკირების გამოყენებით, აგრეთვე საქართველოზე რუსეთის სატრანზიტო ტვირთების ბლოკირების გამოყენებით).

გ) (პარალელურად) საქართველოს პირველ ამოცანად ოფიციალურად გამოცხადება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და მთელი ძალისხმევის მიმართვა ამ მიზანზე. ამ მიზნის მიღწევამდე რეფორმათა დიდი ნაწილის შეჩერება ამ მიზნისათვის საჭიროთა გარდა.

დ) (პარალელურად) შეიარაღებული ძალების განუხრელი გაზრდა, გაწვრთნა, საბრძოლო იარაღისა და ტყვია-წამლის სამამულო წარმოების აწყობა.

ე) (პარალელურად) საქართველოში აფხაზეთის გადარჩენისათვის პარტიზანული მოძრაობის რეაბილიტაცია, როგორც სამშობლოს დასაცავად მიმართული ბრძოლისა.

ვ) (პარალელურად) შევარდნაძის მიერ დადებულ კაპიტულანტურ ხელშეკრულებათა დენონსაცია.

ზ) (პარალელურად) პროკურატურის მიერ საქმის აღძვრა ქართველების გენოციდსა, ეთნიკურ წმენდასა და სხვა მასობრივ დანაშაულებებში მონაწილე და ორგანიზატორი პირების მიმართ.

თ) (პარალელურად) რუსეთის მიერ საქართველოსათვის აფხაზეთში მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალის განსაზღვრა და მისი ანაზღაურების ოფიციალური მოთხოვნა შესაბამისი პროცედურებით.

ი) (პარალელურად) დევნილ ქართველ მოსახლეობასთან, ლტოლვილ ქართველ და აფსუა ("აფხაზ") მოსახლეობასთან, აგრეთვე აფხაზეთში მყოფ ქართველ, აფსუა ("აფხაზ") და სხვა მოსახლეობასთან, მსოფლიოს მეცნიერულსა და პოლიტიკურ წრეებთან შეძლებისდაგვარად ვრცელი კონსულტაციით (მაგრამ არავისაგან ნებართვის თხოვნით) იდეალურად სამართლიანი და მაქსიმალურად პერსპექტიული (სიცოცხლისუნარიანი) ფორმის განსაზღვრა აფხაზეთის სტატუსისათვის საქართველოს სახელმწიფოში და ამ განსაზღვრის მიღება საქართველოს პარლამენტის მიერ როგორც საქართველოს კონსტიტუციის ნაწილისა. სტატუსის ეს განსაზღვრა შედგება ორი ელემენტისაგან:

- აფხაზეთის, როგორც მთელისა და როგორც საქართველოს ნაწილის, უფლებრივი მიმართება საქართველოსთან, როგორც მთლიანთან, ანუ უფლებამოსილებათა გამიჯვნა თბილისის ნებასა და სოხუმის ნებას შორის.
- აფხაზეთის შინაგანი პოლიტიკური და ადმინისტრაციული მოწყობის განსაზღვრა, ანუ იმ მექანიზმების (იმ უფლებრივი მიმართებების) განსაზღვრა, რომლითაც ფორმირდება სოხუმის ნება, და იმ სამართლებრივი ბაზის განსაზღვრა, რომლითაც ხდება აფხაზეთის ქართველი, აფსუა ("აფხაზი") და არც ქართველი, არც აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობის ინტერესთა, მათ შორის - ეროვნულ ინტერესთა რეალიზაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე და მთლიანად საქართველოში.

საქართველოს სახელმწიფოს ყველა შემდგომი პრაქტიკული მოქმედება აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღსადგენად განიხილება, როგორც ხსენებული კონსტიტუციური ნორმის რეალიზაცია.

კ) (პარალელურად) საქართველოს ხელისუფლება თავის უფლებად და თავის შეუვალ მოვალეობად აცხადებს აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის სრულ აღდგენას, - ან ერთიანად აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, ან ნაწილ-ნაწილ, - ხოლო იმას, ეს აღდგენა მოხდება მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფსუა ("აფხაზი") ხალხის წარმომადგენლებს შორის თუ ძალის გამოყენებით, დამოკიდებულად თვლის მოვლენათა რეალურ განვითარებაზე. საქართველოს ხელისუფლებას მყარი ორიენტაცია აქვს აღებული პრობლემის გადაჭრაზე მშვიდობიანი გზით.

საქართველოს ხელისუფლების უფლებაა და შეუვალი მოვალეობაა აფხაზეთში ყველა დევნილისა და ლტოლვილის უპირობოდ და დაუყოვნებლივ დაბრუნება და მათი მორალური და მატერიალური ზარალის სრული კომპენსაცია. საქართველოს ხელისუფლება არ ცნობს არც ერთ ნასყიდობის დოკუმენტს და დასახლების ნებართვის მიცემის არც ერთ დოკუმენტს, რომელიც აფხაზეთის დღევანდელი დამნაშავე ხელისუფლების მიერ იქნა გაცემული აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ლ) იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელსამე ცალკე ნაწილში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენა ხდება ძალის გამოყენებით, შესაბამის ტერიტორიაზე მდგომარეობის შემდგომი ნორმალიზაცია ხდება ნაბიჯთა შემდეგი თანმიმდევრობით:

- ინიშნება სამხედრო დროებითი ადმინისტრაცია.
- ხდება ადგილობრივი კანონიერი მოსახლეობის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის (ყველა დონის) არჩევა.
- (პარალელურად) სამხედრო დროებითი ადმინისტრაციის დაცვით ბრუნდებიან დევნილნი და ლტოლვილნი და უპირობოდ იბრუნებენ თავის სახლებს და ქონებას.
- დევნილთა და ლტოლვილთა ყოველი მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნების შემდეგ ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის ხელახლა არჩევა (გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაბრუნებულთა უმრავლესობა თანახმაა არსებული თვითმმართველობის დარჩენისა).
- აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ან მის დიდ ნაწილში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენისა და დევნილთა და ლტოლვილთა დიდი ნაწილის დაბრუნების შემდეგ ხდება საქართველოს კონსტიტუციის და საარჩევნო კანონის შესაბამისად აფხაზეთის ხელისუფლების ფორმირება არჩევნების და კანონით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გზით. აფხაზეთის არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანო იღებს აფხაზეთის კონსტიტუციას და სხვა კანონებს საარჩევნოს ჩათვლით, რის შემდეგაც ტარდება აფხაზეთში წარმომადგენლობითი ხელისუფლების ყველა დონის არჩევნები ამ კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად.

როგორც საარჩევნო პროცესებში, ისე ლტოლვილთა და დევნილთა დაბრუნების პროცესში სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციათა და მსოფლიოს ქვეყანათა (მაგრამ არა მეზობელ ქვეყანათა) მიერ ქმედითი მონიტორინგის ჩატარება.

### საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის იდეალურად სამართლიანი და სრულყოფილად პერსპექტიული განსაზღვრის პრინციპები

საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის იდეალურად სამართლიანი და პერსპექტიული (ანუ მთელი განჭვრეტადი მომავლისათვის გამოსადეგი) განსაზღვრა, რომელიც მიიღება საქართველოს პარლამენტის მიერ, როგორც საქართველოს კონსტიტუციის ნაწილი, მიზნად ისახავს

- საქართველოს სახელმწიფოს დაცვის, გაძლიერების, მისი მართვის მაქსიმალური ეფექტიანობის უზრუნველყოფას.
- საქართველოს ყველა მოქალაქისათვის მისი ყველა ფუნდამენტური ადამიანური ინტერესის, მათ შორის - მისი ეროვნული (ეთნიკური) ინტერესის დაკმაყოფილების თანასწორი პირობების შექმნას, ანუ ისეთი პირობებისა, რომელშიც ყველა ინდივიდს თანასწორი შესაძლებლობა ექნება, თავისი უნარი და ძალისხმევა მოახმაროს თავისი ერის სამარადისოდ დაცვისა და განვითარების საქმეს, და ყველას თანასწორად ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს თავის წინაპართა მიერ შექმნილი ეროვნულად სპეციფიკური კულტურით. ამ მიზანში შედის ქართული და აფსუური ("აფხაზური") ეროვნების მოქალაქეებისათვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული დამატებითი სპეციფიკური პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნაც და კანონმდებლობაში სპეციფიკური ნორმების არსებობაც, იქიდან გამომდინარე, რომ ქართული და აფსუური ("აფხაზური") ეროვნების პირთათვის მათი ერის მარადიულყოფისა და სრული მთლიანეროვნული თვითრეალიზაციის ერთადერთი ასპარეზი დედამიწაზე საქართველოს საზღვრებშია.

საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის იდეალურად სამართლიანი და პერსპექტიული განსაზღვრა შედგება ორი ელემენტისაგან:

- აფხაზეთის, როგორც მთელის, იმ ადგილის, როლისა და უფლებამოსილების განსაზღვრა, რომელიც მას მოუდის, როგორც საქართველოს ნაწილს.
- აფხაზეთის, როგორც მთელის, შინაგანი მოწყობის ფორმის განსაზღვრა იმგვარად, რომ სამართლიანად და ქმედითად იყოს დაცული როგორც საქართველოს სახელმწიფოს ინტერესი, ისე მოსახლეობის ყველა ეროვნული ჯგუფის ყველა ინტერესი, მათ შორის - აფსუა ("აფხაზი") ხალხის ინტერესიც, რომ თავისი დღევანდელი სახლობის სივრცეში და მის გარეთ შექმნას და შეინარჩუნოს ობიექტური სამართლებრივი და ფაქტობრივი პირობები თავისი მარადიულყოფისა და შეუზღუდველი განვითარებისათვის.

### აფხაზეთის სტატუსი საქართველოს სახელმწიფოში

აფხაზეთი არ არის საქართველოს მიერ (ისტორიულად - აღმოსავლეთ საქართველოს მიერ ან დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის მიერ) ოდესმე მიერთებული ან დაკავებული ტერიტორია. იგი დღეისათვის ცნობილი მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოს ნაწილია. აფხაზეთის, როგორც პოლიტიკური ერთეულის ("სოხუმის ოლქის" სახელწოდებით) სტატუსი საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში განსაზღვრულია როგორც ავტონომია.

საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის სწორი (ანუ სამართლიანი და პერსპექტივაში სიცოცხლისუნარიანი) განსაზღვრა მიზნად გულისხმობს

- საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას.
- აფხაზეთის ყველა კანონიერი მაცხოვრებლის კანონიერი ინტერესების დაცვას, მათ ეროვნულ (ეთნიკურ) ინტერესთა ჩათვლით.
- აფსუა ("აფხაზი") ხალხისათვის, ობიექტური პირობების უზრუნველყოფასა და დაცვას შეუზღუდველი ყოველმხრივი თვითრეალიზაციისა და განვითარებისათვის.

დღეს აფსუა ("აფხაზი") ხალხის შეუზღუდველი და ყოველმხრივი თვითრეალიზაციის ობიექტური პირობების შექმნა და შენარჩუნება საქართველოს სახელმწიფოს და აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ინტერესთა დაუზარალებლად შესაძლებელია ორი გზით:

**პირველი.** აფხაზეთი თავის დღევანდელ საზღვრებში (ანუ როგორც აფსუური ("აფხაზური"), ისე ქართული დასახლების ტერიტორიათა მოცვით) ინარჩუნებს ავტონომიის სტატუსს ("აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის" სახელწოდებით), რაც ლოგიკურად გულისხმობს, რომ ამ ერთობლივ პოლიტიკურ ერთეულში არ იმოქმედებს მხოლოდ აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობის ნება, არამედ იმოქმედებს სხვა ნებაც (იხ. ზემოთ).

**მეორე.** ავტონომია ექნება აფხაზეთის, პრინციპში, მხოლოდ იმ ტერიტორიას, რომელზეც არის კომპაქტური აფსუური ("აფხაზური") მოსახლეობა. ასეთ შემთხვევაში მას ვეღარ ერქმევა "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა" (რადგან ეს გეოგრაფიულად და ეთნონიმურად არასწორი იქნება), არამედ ერქმევა "აფსუური ავტონომიური ტერიტორია", "აფსუური ავტონომიური რეგიონი", "აფსუური ავტონომიური ოლქი", "აფსუური ავტონომიური რესპუბლიკა" ან სხვა რამ მსგავსი სახელი.

სავარაუდოა, რომ აფსუა ("აფხაზი") ხალხის სრული თვითრეალიზაციის ინტერესებისათვის პირველი., ტრადიციული ვარიანტი უმჯობესია.

აფხაზეთის აფსუურ ("აფხაზურ") მოსახლეობას ვერ ექნება იმის ამბიცია, რომ ერთპიროვნულად განსაზღვროს აფხაზეთის მთელი ტერიტორიის ბედი, მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობა, მისი მართვა, მასზე მოქმედი კანონების რაგვარობა და ა. შ., ამ რიცხვში - იმ ტერიტორიებისაც, სადაც აფსუა ("აფხაზ") ხალხს არასოდეს უცხოვრია და სადაც ავტოქტონური ქართველი მოსახლეობა ყოველთვის ცხოვრობდა და ცხოვრობს (გალის რაიონი მთლიანად, დალის ხეობა). (ამ ტერიტორიების მოწყობისა და მართვის რაგვარობაზე აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობა ზემოქმედებას მოახდენს იმავე წესით, რაც ყველა სხვა ამომრჩეველი, სახელდობრ, აფხაზეთის უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში მონაწილეობით). აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობის სპეციფიკური სამართლიანი ამბიცია აფხაზეთის შინაგანი მოწყობის რაგვარობასთან დაკავშირებით ვრცელდება (და შეიძლება ვრცელდებოდეს) მხოლოდ შემდეგზე:

-დასახლების იმ სივრცის უპრობლემოდ (ანუ მისი შეზღუდვის შიშის გარეშე) შენარჩუნებაზე აწ და მარადის, სადაც იგი რეალურად ცხოვრობს (სახელდობრ, კომპაქტურად ცხოვრობს, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, საუკუნეთა მანძილზე. ესაა გუდაუთის რაიონის და ოჩამჩირის რაიონის დიდი ნაწილი და ამ ტერიტორიის მიმდგომი დღესდღეობით დაუსახლებელი ტერიტორიები ზემოთ, კავკასიონისკენ). აფსუურ ("აფხაზურ") მოსახლეობას უნდა ჰქონდეს უშიშარი პერსპექტივა ამ ტერიტორიის გამოყენებით შეუზღუდველი გამრავლებისა და თავის რჩენის მატერიალური ბაზის ქონისა.

- ყოველმხრივი, მათ შორის - ეროვნული თვითრეალიზაციის პრაქტიკულ შესაძლებლობებზე და სათანადო პირობების გარანტიაზე. ესაა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებადი ყველა დონე განათლებისა აფსუურ ("აფხაზურ") ენაზე, ყველა სახის კულტურული დაწესებულებები, სამართალწარმოებაში აფსუური ("აფხაზური") ენის გამოყენება და ა. შ.

- ეროვნული არა მხოლოდ კულტურული, არამედ აგრეთვე სოციალური და პოლიტიკური განვითარების (ანუ საკუთარი ეროვნული მენტალიტეტის შესაბამისი თანამედროვე საზოგადოების შენების) ობიექტური პირობების ქონაზე. სახელდობრ, აფხაზეთის უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს და მთავრობას უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთობების რეგულირების სფეროში (ოჯახი, ქორწინება, გაყრა, ღირსება, შეურაცხყოფა და ა. შ) მიიღონ აფსუური ("აფხაზური") კომპაქტური დასახლების რაიონებისათვის ან მთლიანად აფხაზეთისათვის იმგვარი კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება აფსუური ("აფხაზური") ტრადიციული მენტალიტეტის სპეციფიკა.

აფხაზეთის, როგორც მთელის, სტატუსს საქართველოს სახელმწიფოში ეხება ერთი მხრივ, თითქოს, შედარებით წვრილმანი, მაგრამ რეალურად პრინციპული და ფსიქოლოგიურად უმნიშვნელოვანესი სფერო - სიმბოლური ინტერესების სფერო. აქ პრინციპული საკითხია: რატომ არის საჭირო (ან: მიზანშეწონილი, აუცილებელი, დასაშვები, "სამწუხაროდ აუცილებელი" და ა. შ) აფხაზეთში, რომელშიც ე.წ. "სატიტულო" მოსახლეობას ქართველები და აფსუები წარმოადგენენ, ქართული კულტურულ-პოლიტიკური ინვენტარის (მაგ. წარწერების ენა, ქართული სკოლა და ბიბლიოთეკა.) არსებობა, ერთი მხრივ, და აფსუურისა ("აფხაზურისა") - მეორე მხრივ. ამ კითხვისთვის შესაძლებელია ორი პასუხი, ერთიმეორესთან სავსებით შეთავსებადი. **პირველი**: "იმიტომ, რომ აფსუა ("აფხაზმა") ბერიკაცმა და ბავშვმა გენწვისში (სადაც ქართველების გარდა არავინ ცხოვრობს) ან ქართველმა ბერიკაცმა და ბავშვმა ლიხნში (სადაც აფსუების ("აფხაზების") გარდა არავინ ცხოვრობს) დამოუკიდებლად წაიკითხოს წარწერა "შესვლა აკრძალულია" თავის დედა-ენაზე. ანუ: წარწერები ქართულ (ან: აფსუურ ("აფხაზურ") ენაზე ემსახურება შესაბამისი მოსახლეობის კომფორტს". **მეორე**: "იმიტომ, რომ ქართველმა (ან: აფსუამ ("აფხაზმა") თვალნათლივ დაინახოს, რომ მისი ხალხი ამ ტერიტორიის (ლიხნი, გენწვიში და ა. შ.) უფლებამოსილ ბატონ-პატრონად (არა ერთადერთ ბატონ-პატრონად, მაგრამ მაინც ბატონ-პატრონად) აღიარებულია მთელ აფხაზეთში, ამ კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტის ჩათვლით. ანუ: წარწერები ჩემს ენაზე სიმბოლოა, ნიშანია, აღიარებაა იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე ჩემი ხალხიც უფლებამოსილია, თავისი პოლიტიკური ნება იქონიოს და თავისი თავის ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, პოლიტიკური და სხვა ყველანაირი თვითდამკვიდრება მოახდინოს, როგორც თავის სამშობლოში". პირველი მოტივი უფრო თვალსაჩინოა, მეორე - უფრო ღრმა და პოლიტიკური ქმედებისთვის უფრო მასტიმულირებელი. თუ მეორე მოტივი მხედველობაში არ მიიღება, მაშინ აფხაზეთში კომპაქტური ქართული დასახლების ტერიტორიების მოწყობის მიმართ აფხაზეთის სხვა ნაწილთა აფსუა ("აფხაზ") მოსახლეობას ვერანაირი სამართლიანი პრეტენზია ვერ ექნება: ეს არის მიწა-წყალი, რომელზეც აფსუა ("აფხაზ") ხალხს არასოდეს უცხოვრია და რომელზეც დღეს არანაირი ბაზა არ გააჩნია. თუ აფსუა ("აფხაზ") ხალხს სურს, რომ ამ ტერიტორიაზე მისი რეალური და სიმბოლური სპეციფიკურად ეროვნული ინტერესების ანგარიშგაწევა ხდებოდეს (რაც სავსებით ბუნებრივი სურვილია), მაგალითად, სავალდებულო იყოს რკინიგზის სადგურების წარწერები ან სკოლის ბუფეტის წარწერები აფსუურ ("აფხაზურ") ენაზე იქაც, სადაც მხოლოდ ქართველი მოსახლეობაა, მაშინ მას თავისი სურვილისათვის აუცილებლად ეს მოტივაცია უნდა ჰქონდეს: "მე უნდა ვხედავდე, რომ მიწა, სადაც ამ წუთში ვდგავარ, ჩემი და შენი, ქართველო, ერთობლივი ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის, აფხაზეთის ნაწილია, და არა მხოლოდ შენის", რაზეც ქართველი უპასუხებს "დიახ, ასეა. და სწორედ იმიტომ, რომ ეს ასეა, აფხაზეთი ვერ იქნება ერთპიროვნულად აფსუური ("აფხაზური") სახელმწიფო; სწორედ ამიტომაა, რომ ამ მიწა-წყლის ბედის განსაზღვრაში მე და შენ აბსოლუტურად თანასწორი ხმის უფლება გვაქვს". აფსუა ("აფხაზი") ეროვნების ადამიანთა დიდი ნაწილის ზემოხსენებული სურვილი რომ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, ამა თუ იმ ზომით და ამა თუ იმ ფორმით, ხორციელდებოდეს, ამა თუ იმ კომბინაციაში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ნებასთან და აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ნებასთან, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები შეთანხმებულნი არიან იმაზე, რომ აფხაზეთი მთლიანობაში, როგორც ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეული, ქართველი და აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობის ერთობლივი ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულია, რომელშიც ერთი ქართველი მაცხოვრებლის და ერთი აფსუა ("აფხაზი") მაცხოვრებლის აზრს (ხმას) ერთი და იგივე გავლენისუნარიანობა აქვს (მკითხველს შევახსენებთ, რომ წინამდებარე ტექსტის ამ ნაწილში ჩვენ საუბარი გვაქვს მხოლოდ იმაზე, როგორი უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის იდეალური (სრულყოფილად სამართლიანი და გარანტირებულად პერსპექტიული) განსაზღვრა, რომელიც მხარეთა სავსებით გულწრფელ კომპრომისს გულისხმობს. ეს არ ნიშნავს, რომ, კომპრომისის ვერმიღწევის შემთხვევაში, აფსუა ("აფხაზ") მოსახლეობას გადაწყვეტილებების მიღებაზე ვეტოს უფლება ეკუთვნის).

### აფხაზეთის შინაგანი მოწყობის პრინციპები

გამოუთქმელ კითხვას "ვისია აფხაზეთი?" აფხაზეთში არსებული პრობლემის გადაჭრის ვერც ერთი სერიოზული ცდა ვერ გაექცევა. აფსუა ("აფხაზ") სეპარატისტებს ამ კითხვის ცალსახა პასუხი აქვთ: "რა თქმა უნდა, აფხაზების (იგულისხმება: აფსუების)". ეს პასუხი მიუღებელია, ვინაიდან აფხაზეთს ჰყავს სხვა ე.წ. სატიტულო მოსახლეობაც, სახელდობრ, ქართველი მოსახლეობა და ეს მოსახლეობა თავისი ეროვნული კუთვნილობით ავტოქტონურია (ამაზე ლაპარაკი გვქონდა ზემოთ). ერთი აფსუა ("აფხაზი") მაცხოვრებლის ხმას, როგორც ვთქვით, ვერ ექნება მეტი წონა აფხაზეთის მართვაში და მისი ბედის გადაწყვეტაში,ვიდრე ერთი ქართველის ხმას. (საწინააღმდეგოს მტკიცება აბსურდია).

გაგრძელება B6 გვერდზე

# აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გარანტირებული აღდგენის კონცეფცია

მეხუთე გვერდიდან

ამგვარად, მივდივართ ფორმულირებამდე, რომ აფხაზეთი აფსუებისა ("აფხაზებისა") და აფხაზეთელი ქართველებისაა ან: აფხაზეთელი ქართველების და აფსუებისაა ("აფხაზებისაა"). მაგრამ, გარდა ამ ორისა, აფხაზეთი ეკუთვნის ქართველ ერსაც მის ერთიანობაში, იგი ქართველი ერის ეთნიკური ტერიტორიაა (მისი კუთვნილია ყოველგვარი მიგრაციის გარეშე), მისი ყოფნა თუ არყოფნა საქართველოს შემადგენლობაში ღრმა გავლენას ახდენს ყველა ქართველის ცნობიერებაზეც და პრაქტიკულ ინტერესებზეც. ამგვარად, მივდივართ ფორმულირებამდე: "აფხაზეთი არის აფსუების ("აფხაზებისა"), აფხაზეთელი ქართველებისა და ქართველი ხალხისა მის მთლიანობაში". ამ სამი პრეტენდენტიდან, რომ აფხაზეთი "მისი" იყოს, მესამეს - ქართველ ერს მის მთლიანობაში - ასახიერებს საქართველოს სახელმწიფო თავისი ცენტრალური ხელისუფლებითურთ, რომელსაც (ამ ხელისუფლებას) ეკუთვნის გარკვეული უფლებამოსილებები აფხაზეთის მართვაში. მაგრამ როგორ - რა იურიდიული ფორმით - ხორციელდება ის, რომ აფხაზეთი აფსუებისაა ("აფხაზებისაა") და აფხაზეთელი ქართველებისაა? საამისოდ საყოველთაოდ მიღებული იურიდიული ფორმა არის ის, რომ აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობაც და ქართველი მოსახლეობაც ერთობლივად ირჩევენ აფხაზეთის უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს, ანუ მას ანდობენ ყველა არსებითი საკითხის გადაჭრას. მაგრამ აფხაზეთში დღევანდელ პირობებში და განჭვრეტად მომავალში ეს იურიდიული მექანიზმი საკმარისი არ არის: მხოლოდ ამ მექანიზმის მოქმედება, სხვა მექანიზმთა დაუხმარებლად, გამოიწვევს მუდმივ შინაგან ძაბვას ქართველ და აფსუა ("აფხაზ") ამომრჩევლებს შორისაც და დეპუტატებს შორისაც. სახელდობრ, ბრძოლა იქნება რიცხობრივი უპირატესობისათვის იმ ორგანოში, რომელიც ყველაფერს წყვეტს, ხოლო იმ საკანონმდებლო ორგანოს შიგნით დეპუტატთა ხმები დანაწილდება ეროვნული ჯგუფობრიობის მიხედვით და არა განსახილველი კონკრეტული საკითხებისადმი არგუმენტირებული დამოკიდებულების მიხედვით. (ქართული მოსახლეობის დეპუტატებს მოვლენათა ბუნებრივი მიმდინარეობის შემთხვევაში ექნებათ რიცხობრივი უპირატესობა აფსუა ("აფხაზ") დეპუტატებთან, ხოლო ამ უკანასკნელებს, არაქართველ და არააფსუა ("არააფხაზ") დეპუტატებთან ერთად არჩევნების მცირედი მანიპულირების შემთხვევაში - ქართველ დეპუტატებთან). ამიტომ აფხაზეთის შინაგან მოწყობაში, ზემოხსენებულ ზოგად დემოკრატიულ მექანიზმთან ერთად, გამოყენებულ უნდა იქნას სხვა მექანიზმიც, სახელდობრ, ისეთი, რომელიც ქმედითს გახდის (დადებითი მიმართულებით) თემური სოლიდარობის ფაქტორს. აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლება არ უნდა იყოს ყოვლისშემძლე თავის ურთიერთობაში აფხაზეთის კონკრეტულ თემებთან (რაიონებთან), არამედ მათი უფლება-მოვალეობები ერთმანეთის მიმართ რაც შეიძლება დეტალურად უნდა იყოს განსაზღვრული აფხაზეთის კონსტიტუციით. თემთა (რაიონთა) უფლებები აფხაზეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში უნდა იყოს საკმარისად ფართო, რათა მათ შეძლონ ისეთი ღონისძიებების არდაშვება, თავის ტერიტორიაზეც და ზოგადად მთელ აფხაზეთშიც, რომლებიც მათს თემურ ინტერესებს ან მათი მოსახლეობის მენტალიტეტს ეწინააღმდეგება. დასაშვებია და მიზანშეწონილია, რომ კანონი (კონსტიტუცია) მათი საკუთარი ნების უფლებრივ მიმართებას აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლების ნებასთან განსაზღვრავდეს იმისდა მიხედვით, რა კონკრეტული მიზნები და ამოცანები დგას ამ თემის წინაშე. მაგალითად, არც ერთი თემის (რაიონის) მოსახლეობას, გარდა აფსუური ("აფხაზური") კომპაქტური დასახლების თემებისა (გუდაუთისა და ოჩამჩირისა), არა აქვს პრობლემა, რომ შეზღუდოს თავის ტერიტორიაზე იმიგრაცია სხვა რაიონებიდან, შესაბამისად, ამ ორი თემის ადმინისტრაციას კანონი უფრო ფართო უფლებებს უნდა აძლევდეს ამ კონტროლის განსახორციელებლად, ვიდრე სხვა თემებში (ამაზე უფრო ვრცლად - ქვემოთ).

რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვის გარეშე რაიონის ტერიტორიის გამოყენების უფლება მშენებლობისათვის, მინერალური ნედლეულის მოპოვებისათვის, სათავდაცვო, ეკოლოგიური, ეკონომიკური, დემოგრაფიული ან სხვა ნებისმიერი მოზნებისათვის აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას და საქართველოს პრეზიდენტს, ისიც - მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილი გამჭვირვალე მოტივაციის შემთხვევაში

ამგვარად, თუ საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილის - აფხაზეთის - - შინაგანი მოწყობის რეალისტურად განსაზღვრა გვინდა, ეს მოწყობა უნდა დავამყაროთ მოსახლეობის მორალური, სოციალური და პოლიტიკური ჯგუფური თვითიდენტიფიკაციის ძირითად რეალურ ერთეულზე - თემზე (community, община ). აფხაზეთის მოსახლეობა თავის მორალურსა და პოლიტიკურ აზროვნებაში თავისთავს ყოფს ეთნიკურ თემებად, იგი თავის პრაქტიკულ ინტერესებსაც და მორალურ ვალდებულებებსაც ამ თემების მიხედვით საზღვრავს. ყველაზე მკაფიოდ გამოხატულია (და, სამწუხაროდ, ერთიმეორისადმი დაპირისპირებულია) ქართული და აფსუური ("აფხაზური") თემი, რომლებიც გეოგრაფიულად გაყოფილნი არიან: ერთი შედგება (ძირითადად) გალისა, დალის ხეობისა და გაგრის ზონებისაგან (გაგრაში, უფრო, შერეული დემოგრაფიული სიტუაციაა). ეს ქართული თემებია. მეორე შედგება (ძირითადად) გუდაუთისა და ოჩამჩირის ზონებისაგან. ეს აფსუური ("აფხაზური") თემია. პირდაპირსა და უშუალო კონტაქტში ეს თემები არიან სოხუმში და რამდენსამე სხვა ადგილას. დასახელებული ადგილები საყრდენია, "ციხესიმაგრეა" აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის მდგომარეობისათვის, ერთი მხრივ, და აფსუური ("აფხაზური") მოსახლეობის მდგომარეობისათვის - მეორე მხრივ. თუ გვინდა, რომ ორივე ეს მოსახლეობა მშვიდად (უშიშრად) იყოს, ეს საყრდენები უნდა მყარი იყოს, ანუ აფხაზეთის ცენტრალურ ხელისუფლებას, რაგინდარა ბოროტი ნების შემთხვევაში, არ უნდა შეეძლოს მათი ხელყოფა - ვთქვათ, გალისა და დალის ხეობისა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მოინდომა უზენაესი საბჭოს არაქართულმა უმრავლესობამ, და გუდაუთისა და ოჩამჩირისა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მოინდომა უზენაესი საბჭოს ქართულმა უმრავლესობამ. აფხაზეთის რაიონთა (მათი თვითმმართველობისა და მოსახლეობის) უფლებები აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლების წინაშე მკაფიოდ და ფართოდ უნდა იყოს განსაზღვრული აფხაზეთის კონსტიტუციაშიც და საქართველოს კონსტიტუციის იმ მუხლებშიც, რომლებიც აფხაზეთს ეხება.

რაიონების უფლებები აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლების წინაშე ეხება ამ უკანასკნელის უფლებამოსილებათა საზღვრებს მათი ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა და რეგულირებაში (ტყე, მჟავე წყლები, საკურორტო შესაძლებლობები და სხვა), მათი მრეწველობის მართვაში, მათ ტერიტორიაზე მშენებლობაში და ა.შ. რაიონისა და აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლების დავას ხსენებული კომპეტენციების შესახებ იხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

ამგვარად, აფხაზეთის შინაგან მოწყობას ერთგვარი ფედერალურობის სახე აქვს. აფხაზეთის ძირითადი ეთნიკური თემები - ქართველი მოსახლეობა და აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობა - წინასწარი ურთიერთშეთანხმებით (და, იგულისხმება, აფხაზეთში მოსახლე სხვა მოქალაქეთა ნების გათვალისწინებით) წყვეტენ, თავისთვის მნიშვნელოვანი რომელი და რომელი პრობლემების რეგულირების (გაძღოლის) უფლებამოსილება დაუთმონ (მიანდონ) აფხაზეთის ცენტრალურ ხელისუფლებას, რა ფორმით, რა ზომით და კონტროლის რა გარანტიებით. ეს შეთანხმება ფიქსირდება აფხაზეთის კონსტიტუციის შესაბამის მუხლთა ტექსტის სახით. ეს პუნქტი - აფხაზეთში ცენტრალური ხელისუფლებისა და რაიონების უფლებამოსილებათა განსაზღვრა და ურთიერთგამიჯვნა - ერთი იმ პუნქტთაგანია, რომელიც,-- თუ გვინდა, რომ მომავალმა აფხაზეთის კონსტიტუციამ იმუშაოს, - ყველაზე უფრო მკაცრი აუცილებლობით მოითხოვს წინასწარ კონსულტაციასა და შეთანხმებას აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის (ამჟამად დევნილის) და აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობის ავტორიტეტულ წარმომადგენლობებს შორის.

იმისთვის, რომ აფხაზეთის ესოდენ ელასტიური და ამავე დროს ქმედითი შინაგანი ორგანიზაცია არ შეიცავდეს რაიმე საშიშროებას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ქმედითუნარიანობისათვის აფხაზეთში, აუცილებელია და საკმარისია ორი პირობა:

**პირველი:** რაიონსა და ცენტრს ("სოხუმს") შორის წამოჭრილ დავათა საბოლოო განხილვა უნდა ხდებოდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ან საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**მეორე:** საქართველოს კონსტიტუციაში უნდა იყოს ნათქვამი, რომ რაიონის ნებართვის გარეშე მისი ტერიტორიის გამოყენების უფლება მშენებლობისათვის, მინერალური ნედლეულის მოპოვებისათვის, სათავდაცვო, ეკოლოგიური, ეკონომიკური, დემოგრაფიული ან სხვა ნებისმიერი მიზნისათვის აქვს მხოლოდ საქართველოს პარლამენტს და საქართველოს პრეზიდენტს, ისიც - სრული და ამომწურავი ოფიციალურად გამოქვეყნებული მოტივაციით (სათავდაცვოს გარდა).

## უფლებამოსილებათა განაწილების პრინციპები

უფლებრივი მიმართებები, რომლებიც უნდა განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის დამდგენ იდეალურად სამართლიანსა და პერსპექტიულ დოკუმენტში, მდგომარეობს ფუნქციათა და უფლებამოსილებათა იდენტიფიკაციასა და გამიჯვნაში ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა ("თბილისს") და აფხაზეთის ცენტრალურ ხელისუფლებას ("სოხუმს") შორის, მეორეს მხრივ აფხაზეთის ცენტრალურ ხელისუფლებასა ("სოხუმსა") და აფხაზეთისავე რომელიმე ადმინისტრაციულად გამოყოფილ ერთეულს (რაიონს) - "გალს", "დალის ხეობას", "გუდაუთას", "ოჩამჩირეს" და ა. შ. - შორის. ამ უფლებამოსილებათა სასურველი სრული რუკის წინასწარ (ურთიერთმოლაპარაკებამდე) შედგენა შეუძლებელია., რადგან ამ სფეროში არის მრავალი კონკრეტული საკითხი, მათ შორის - მსხვილი საკითხიც, რომლის გადაჭრას (ხაზს ვუსვამთ, გადაჭრას და არა არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების ჩამოთვლას) სჭირდება წინასწარი შეთანხმება მხარეებს შორის და რომლის გადაჭრასაც ფასი (ანუ მხარეთა მიერ რეალურად აღიარების პერსპექტივა) მხოლოდ ასეთი წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში აქვს. მაგრამ ზოგადი პრინციპების მოხაზვა და მათი გარკვეულ ზომამდე დაკონკრეტებაც შესაძლებელია. ქვემოთ წარმოვადგენთ ამ პრინციპებს როგორც "თბილისის" და "სოხუმის", ისე "სოხუმისა" და "რაიონის" უფლებამოსილებათა გამიჯვნისათვის.

## საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ("თბილისის") და აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლების("სოხუმის") უფლებამოსილებათა გამიჯვნა

გამიჯვნის პრინციპი სხვა ვერა იქნება რა თუ არა შემდეგი: ყველა მმართველობითი ფუნქცია და, შესაბამისად, ყველა უფლებამოსილება, რომელიც, სახელმწიფოს უსაფრთხოების თვალსაზრისით, მოითხოვს ერთ ხელში თავმოყრას, უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ხელში. ასეთ ფუნქციათა და შესაბამის უფლებამოსილებათა ჩამონათვალი არის და ყოველთვის დარჩება ღია, ვინაიდან ყოველთვის შესაძლებელია და მოსალოდნელია, მოვლენათა რეალურმა განვითარებამ (პოლიტიკურმა, ტექნოლოგიურმა, სტრატეგიულმა და სხვამ) შექმნას ან გამოავლინოს ახალი მმართველობითი ფუნქცია, რომელიც მმართველობით ფუნქციათა ამ კლასს ეკუთვნის. ასეთი ფუნქცია, ბუნებრივია, მოექცევა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ექსკლუზიური (ერთპიროვნული) უფლებამოსილებების რიცხვში.

დავასახელებთ ასეთ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ერთპიროვნულ კომპეტენციაში მყოფ ფუნქციათა და უფლებამოსილებათა მაგალითებს:

- საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ყოფნა: საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო სახელმწიფოებრივი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადების, საქართველოს სახელით ვალდებულებების აღებისა და განცხადებების გაკეთების უფლება
- საქართველოს საზღვრის დადგენა და დაცვა, ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფის დაცვა და კონტროლი.
- თავდაცვა და უშიშროება, შეიარაღებული ძალების, უშიშროების ძალების, შინაგანი ჯარისა და ნებისმიერი სხვა სახის შეიარაღებული ფორმირებების შექმნა წესრიგის დაცვის პოლიციის გარდა: შეიარაღების წარმოება და იარაღით ვაჭრობა.
- მოქალაქეობის ინსტიტუტის ქონა; მოქალაქეობის მიცემა და ჩამორთმევა.
- ომის გამოცხადება და ზავის დადება; საომარი და საგანგებო მდგომარეობის შემოღება და გაუქმება.
- სახელმწიფო ფინანსები, ფულის ნიშნების ემისია, საგარეო ვალის აღება და მისი მომსახურება.
- ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და განკარგვის სტრატეგიის განსაზღვრა.
- სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის და ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ენერგეტიკული ობიექტების ფუნქციონირების, განკარგვის, მშენებლობისა და განვითარების სტრატეგიის, აგრეთვე უცხო ინვესტიციათა დაშვების სტრატეგიის განსაზღვრა.

სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის აუცილებელ ნავსადგურთა, აეროდრომთა, რკინიგზათა, საავტომობილო გზათა ფლობა, მართვა და განკარგვა, მათი შექმნისა და განვითარების სტრატეგიის, აგრეთვე უცხო ინვესტიციათა მიღების სტრატეგიის განსაზღვრა.

- სანიტარული კორდონის, სავიზო რეჟიმის, იმიგრაციის კონტროლი.
- შეწყალება და ამნისტირება და სხვა.

ფუნქციათა და უფლებამოსილებათა ამ კლასის გარდა, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების ("თბილისის") ერთპიროვნულ კომპენტეციაში უნდა იყოს, განსაზღვრული უნდა იყოს მათი ის კლასიც, რომელიც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და აფხაზეთის ხელისუფლების ("თბილისისა" და "სოხუმის") ერთობლივ კომპენტეციაში შედის. მაგრამ კანონმდებელი უნდა ეცადოს, რომ ეს კლასი შეძლებისდაგვარად მცირე იყოს, რადგან ორი სხვადასხვა ნების გადაკვეთა ერთსა და იმავე სფეროში ("თბილისის" ნებისა და "სოხუმის" ნებისა) იწვევს დროის მანძილზე გაღრმავებად კონფლიქტს მათ შორის და, შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის და "ცენტრის" ფსიქოლოგიურ ურთიერთგამიჯვნას და დაპირისპირებას. მაგალითად, იმის თქმას, რომ საავტომობილო გზათა მშენებლობა ორივეს ერთობლივ კომპენტეციაშია - ცენტრი ზრუნავს "საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის" გზებზე, აფხაზეთის ხელისუფლება კი "ადგილობრივი მნიშვნელობისაზე", - ბევრად სჯობია იმის თქმა, რომ ცენტრი აშენებს იმ გზებს, რომელსაც თვითონ საჭიროდ თვლის, და ასევე იქცევა აფხაზეთის ხელისუფლებაც, მაგრამ ცენტრი კონტროლს უწევს აფხაზეთის ხელისუფლების მიერ გზათა მშენებლობას ზოგადსახელმწიფოებრივი სტრატეგიის თვალსაზრისით, მაგალითად, არ იძლევა უფლებას გზატკეცილის გასაყვანად კავკასიონის ამა თუ იმ უღელტეხილამდე, რომლის გადაღმა მხარესაც საქართველოზე დარტყმისათვის მომზადებული რუსული გზატკეცილი ამოდის.

ამგვარ "ერთობლივ კომპენტენციას" მიკუთვნებულ ფუნქციათა და უფლებამოსილებათა რაოდენობა დიდია. სასურველია, რომ ყველა ამ უფლებამოსილებებისათვის კანონში მითითებული იყოს, რომელ მხარეს ეკუთვნის ინიციატივა და რომელს - კონტროლი. მაგალითად, ტოპონიმთა დარქმევა გეოგრაფიული პუნქტებისათვის არ შეიძლება არ კონტროლდებოდეს ცენტრალური ხელისუფლების მიერ, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ აფხაზეთში ტოპონიმების დარქმევის ინიციატივა მოდიოდეს მხოლოდ ცენტრიდან, ადგილობრივ საზოგადოებას კი არ ჰქონდეს უფლება დაარქვას ამა და ამ გეოგრაფიული პუნქტს ნებისმიერი სახელი, რომელიც არ ქმნის კონფლიქტს სახელმწიფოს ზოგად კურსისა და იდეოლოგიასთან.

"თბილისისა" და "სოხუმის" ერთობლივ კომპენტენციაში შესაყვანი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების მაგალითად (მხოლოდ მაგალითად, და არა სრულ ჩამონათვალად) შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი:

**- განათლება.** განათლების სისტემის მმართველთა შორის აფხაზეთში უნდა იყონ ისეთი პირები, რომელნიც კომპენტენტურნი იქნებიან აფხაზური ენისა (სალიტერატურო ენისა) და კულტურის რეალურ მდგომარეობაში და მისგან გამომდინარე ამოცანებში, აფსუა ("აფხაზი") საზოგადოების მენტალიტეტის რეალურ სადღეისო მდგომარეობაში, მის მიერ ისტორიისა და საკუთარი ეროვნული ამოცანების ხედვაში და მათ უნდა ჰქონდეთ სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნასა და შემოღებაში ინიციატივის კომპეტენცია. მაგრამ ამ ინიციატივას ესაჭიროება კონტროლი ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, რათა არ წარმოიშვას შეურიგებელი შინაარსობრივი წინააღმდეგობა ერთის მხრივ აფხაზეთში მიღებულ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებსა და მეორეს მხრივ, დანარჩენ საქართველოში მიღებულ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს შორის.

**- სიმბოლიკა** (დროშა, ალამი, ჰიმნი); აფხაზეთის ტერიტორიის ადმინისტრაციული საზღვრები; აფხაზეთის ოფიციალური სახელი.

ეს სფერო პირდაპირ კავშირშია საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის რაგვარობასთან, ამიტომ აღნიშნულ საკითხებზე პოზიტიური გადაწყვეტილებების მიღება (ანუ ისეთებისა, რომელიც ეხება რაღაცა ნაბიჯის გადადგმას და არა აღკვეთას, რაღაცა ახალი ინსტიტუტის შექმნას და არა გაუქმებას), უნდა ხდებოდეს აფხაზეთის ხელისუფლების ინიციატივით, მაგრამ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დასტურით.

**- ჯანდაცვა** - ნორმალურ პირობებში, ანუ როცა ცენტრი არ მოელის ავტონომიისაგან პირდაპირ მტრულ ქმედებას და საქმის დივერსიას, ბუნებრივია ამ დარგში ორგანულად შეწყობილი თანამშრომლობა მათ შორის. მაგრამ თუ პირობები განსაკუთრებულია, - მაგალითად, ცენტრი მოელის მიზანმიმართულ დივერსიას, ვთქვათ, ამა და ამ მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების არგაწევას ავტონომიის ჯანდაცვის ორგანოთა მიერ, - მაშინ ცენტრს უნდა ჰქონდეს, კონსტიტუციით, ჩარევის უფლება, სახელდობრ, მან დროებით უნდა ჩამოართვას ავტონომიის ჯანდაცვის ორგანოებს მოცემული საქმე (მოცემული დასახელებული პუნქტის ჯანდაცვის კურატორობა: ვთქვათ, ქართული სოფლის) და იგი თავის ხელში უნდა აიღოს. იგივე ითქმის წესრიგის დაცვის სამსახურებზე (კრიმინალური პოლიცია, როგორც ვთქვით, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში უნდა შედიოდეს).

ერთობლივი კომპეტენციის მომთხოვნ ფუნქციათა და უფლებამოსილებათა მაგალითების დასახელებას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ეს ჩამონათვალიც, ისევე როგორც ცენტრის ერთპიროვნულ კომპეტენციაში მყოფი ფუნქციებისა, ღიაა: ყოველთვის შეიძლება აღმოჩნდეს, რომ აფხაზეთის ხელისუფლების ("სოხუმის") კომპეტენციაში შემავალი ესა თუ ის ფუნქცია მოითხოვს ერთობლივთა რიცხვში გადაყვანას ან პირიქით, იმისდა მიხედვით, თუ საით წავა დროის მოცემულ მონაკვეთში პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ამინდის ევოლუცია.

აფხაზეთის ხელისუფლების ("სოხუმის") ერთპიროვნულ კომპეტენციაში ბუნებრივია შედიოდეს ყველა ისეთი ფუნქციები, რომლებიც ეხება შინაგან რეგულირებას და რომელთა შესრულების ხარისხი და მიმართულება არ ახდენს და ვერ მოახდენს მნიშვნელოვან სახიფათო ზეგავლენას საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე. (ვთქვათ, ქალაქმშენებლობა, საკურორტო მრეწველობის განვითარება, სპორტის განვითარება და ა. შ.). (იგულისხმება, კაცობრიობის მდიდარი გამოცდილებით, რომ ამგვარი ფუნქციები უკეთ სრულდება ცენტრის მონაწილეობის გარეშე, ვიდრე მასთან ერთობლივად). ასეთ სფეროში აფხაზეთის ხელისუფლების თანამშრომლობას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ვერ ექნება სავალდებულო ხასიათი, არამედ იგი იქნება მხოლოდ ნებაყოფლობითი. მეორე პრინციპად უნდა აღებულ იქნას ის, რომ რომელიმე სახის ეკონომიკური აქტივობისაგან მიღებული და მისაღები შემოსავლების არაპროპორციულად დიდი მოცულობა (ვთქვათ, ტურიზმისა) ვერ გახდება და ვერ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ ეკონომიკის ეს დარგი აფხაზეთის ერთპიროვნული კომპეტენციიდან გადაყვანილ იქნას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და აფხაზეთის ხელისუფლების ერთობლივ კომპეტენციაში ან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ერთპიროვნულ კომპეტენციაში. (სხვა სიტყვით რომ ვთქვათ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გამდიდრების შეზღუდვა დაუშვებელია).

აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლებისა და აფხაზეთის სხვადასხვა თემების (რაიონების) კომპეტენციაზე და მათი არაადექვატური გამიჯვნით განპირობებულ საშიშროებებზე ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი. ცენტრალური ორგანოების (უზენაესი საბჭოს და მთავრობის) ყოვლისშემძლეობამ შესაძლებელია (და მოსალოდნელია) არაერთხელ აცდუნოს დღეს, სამწუხაროდ, დაპირისპირებული ეროვნული ჯგუფები, რომ გაათკეცებული ენერგიით ეცადონ ამ ცენტრალურ ორგანოებში რიცხობრივი უპირატესობის მოპოვებას, რათა მისი გამოყენებით მოახდინონ მოპირისპირე თემის შეზღუდვა და დათრგუნვა. ეს რომ ვერ მოხდეს, საჭიროა ორგვარი იურიდიული მექანიზმის შემოღება:

**პირველი.** როგორც უკვე ითქვა ზემოთ, კანონმა უფლება უნდა მისცეს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, ყველა ცალკეულ შემთხვევაში თავის ხელში აიღოს - დროებით - აფხაზეთში არსებული იმ საქმის რეგულირება (წარმართვა), რომლეშიც იგი აფხაზეთის ხელისუფლების მიზანმიმართულ საბოტაჟურ მოქმედებას აღმოაჩენს.

**მეორე.** აფხაზეთის უზენაეს საბჭოსთან უნდა იყოს კანონის მიერ დიდი უფლებამოსილებებით აღჭურვილი რაიონთა საბჭო, რომელიც შემდგარი იქნება რაიონთა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან. (ამის ანალოგია შეგვიძლია დავინახოთ გერმანიის ბუნდესრატში, რომელიც ლანდების ("ქვეყნების") აღმასრულებელ ხელისუფლებათა მაღალი წარმომადგენლებისაგან შედგება).

ეს ორი სამართლებრივი ხერხი საკმარისი იქნება, რათა შესაძლებელი გახდეს აფხაზეთის რეალობაში ეროვნული ჯგუფის ინტერესის დაცვა თემის (რაიონის ან რაიონების) დონეზე.

გამიჯნულ უფლებამოსილებათა მოქმედება აფხაზეთის სხვადასხვაგვარ (ქართველი მოსახლეობის, აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობის, სხვა და შერეული მოსახლეობის მყოლ) ტერიტორიებზე რამდენსამე პრინციპულ (და ამასთანავე იდეოლოგიურ) საკითხს ბადებს, სახელდობრ შემდეგს:

ის, თუ რატომ არის საჭირო, რომ აფსუების ("აფხაზების") კომპაქტური სახლობის სივრცეში საჯარო წარწერები იყოს ქართულ და აფსუურ ("აფხაზურ") ენაზე, გასაგებია: ქართული უნდა იყოს იმიტომ, რომ ეს სახელმწიფო საქართველოა, აფსუური ("აფხაზური") კი იმიტომ, რომ ეს სწორედ ის ტერიტორიაა, აფხაზეთისა და მთლიანად საქართველოს სწორედ ის ნაწილია, რომელიც აფსუა ("აფხაზი") ხალხის მარადიული ცხოვრებისა და ყოველმხრივი თვითრეალიზაციის ასპარეზად იგულისხმება. ისიც ნათელია, რომ იქ, სადაც შერეული ქართული და აფსუური "აფხაზური" მოსახლეობაა, წარწერები ასევე უნდა იყოს მოთავსებული, როგორც მარტოოდენ აფსუური ("აფხაზური") სახლობის ადგილებში. მაგრამ უნდა იყოს თუ არა აფსუური წარწერები გალში ან გენწვისში (დალის ხეობა), სადაც არც ერთი აფსუა ("აფხაზი") არ ცხოვრობს, არ უცხოვრია და სადაც არც ერთის მოსვლა, თუ არა იშვიათ შემთხვევაში, არ იგულისხმება? პასუხია ან "არა", ან "დიახ", რომელსაც აუცილებლად თავისი მოტივაცია ახლავს: "დიახ, იმიტომ, რომ აფსუა ("აფხაზი") ხალხის ყოველმხრივი თვითრეალიზაციის ასპარეზი მთელი აფხაზეთია". მაგრამ ამ პასუხს მოსდევს ახალი კითხვა: რატომ (რა საფუძველზე) ვთვლით გალს ან დალის ხეობას აფსუა ("აფხაზი") ხალხის თვითრეალიზაციის ასპარეზად?". ეს კითხვა უpasuხოა, თუ არ ვიხმართ სიტყვას "შეთანხმება". მაშინ პასუხი ასეთი იქნება: "იმიტომ, რომ ქართველები და აფსუები, საერთო ინტერესიდან გამომდინარე, ასე შევთანხმდით". არსებობს ამ საკითხზე უფრო ყოფითი შეთანხმების შესაძლებლობაც, მაგალითად, ასეთი: "გენწვისში, რა თქმა უნდა, კინოფილმის აფიშას აფსუურად ("აფხაზურად") არავინ თარგმნის, მაგრამ გალის რკინიგზის სადგურში, იმიტომ, რომ ეს მნიშვნელოვანი ობიექტია, აფსუური ("აფხაზური") წარწერაც უნდა მოვათავსოთ". უფრო რთული კითხვაა: "რა ენაზე იყოს წარწერები აფხაზეთის სომხურ და ესტონურ სოფლებში, სადაც აფსუური არავინ იცის?" ქართულს რაც შეეხება, პასუხი უკვე ვიცით. რაც აფსუურს ("აფხაზურს") შეეხება, აქ ისევ იმ სიძნელის წინაშე ვდგებით: მივათვალოთ თუ არა ეს სომხური დასახლება აფსუა ("აფხაზი") ხალხის ზემოხსენებული მარადიული და ყოველმხრივი თვითრეალიზაციის ასპარეზს? ანალოგიური კითხვაა: აფსუური ("აფხაზური") ენა ასევე ჩავთავალოთ თუ არა ყველასათვის სავალდებულო სახელმწიფო ენად (აფხაზეთის) ტერიტორიაზე, როგორც ქართულს ვთვლით? პრინციპულ დონეზე ამ კითხვის პასუხი უკვე გავეცით: "დიახ, ჩავთვალოთ, რადგან შევთანხმდით". აქ უკვე რეალიზმის საზღვრების პრობლემას ვაწყდებით. ე.წ. "წარწერების ომი" მსოფლიოში ცნობილი და ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. მასთან დაკავშირებულია ბევრი ბუნებრივი ადამიანური გრძნობაც, ლოგიკურად გამართული არგუმენტიც და ბევრი ულოგიკობაც. ამ პრობლემის გარდაუვალი სიმწვავე აფხაზეთში ჩვენ იმის ერთ-ერთ მაგალითად უნდა გავიგოთ, რომ აუარებელ შემთხვევაში ჩვენ, გვინდა თუ არა, არაფორმალური მოლაპარაკების, ადამიანური შეთანხმების საჭიროების წინაშე დავდგებით, რომელიც კომპრომისს შობს და ამ კომპრომისს ნებაყოფლობითი შეთანხმების მყარ ბეჭედს ასვამს ფსიქოლოგიურად. მეორე მაგალითად, რომელსაც ნაკლებ სიმბოლური ხასიათი აქვს და ამავე დროს პრაქტიკულად არანაკლებ მწვავე, სასამართლოს ენის საკითხი დავასახელოთ. ქართულ ენაზე, ანუ სახელმწიფო ენაზე რომ ყველა სასამართლო პროცესის ჩატარება შესაძლებელი უნდა იყოს, ეს ცხადია. მაგრამ რომელ ენაზე გავასამართლოთ აფსუური ("აფხაზური") ენის სრულებით არმცოდნე გაგრელი სომეხი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა გუდაუთაში? რა ენაზე ჩავატაროთ სოხუმში სამოქალაქო პროცესი ადგილობრივ ქართველსა (რომელმაც აფსუური ("აფხაზური") ენა არ იცის და ადგილობრივ აფსუას ("აფხაზს") შორის, რომელმაც ქართული იცის, მაგრამ მის ცოდნას შეგნებულად მალავს?

აფხაზეთში მნიშვნელოვანი რაოდენობით არსებობს ტერიტორიები, სადაც რუსეთის შემოსვლის დროისათვის (XIX ს-ის პირველი ნახევარი) მოსახლეობა აფსუური ("აფხაზური") იყო, ამჟამად კი სხვაა - ძირითადად, სომხური და რუსული. ისეთი ტერიტორია, სადაც იმ დროს აფსუები ("აფხაზები") სახლობდნენ, 1992-93 წლების გენოციდამდე კი ქართველები, თითქმის არ არსებობს. მიზეზი შემდეგია: რუსეთის ხელისუფლებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობის მუსლიმანურ ნაწილში, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიის ხალხებში, აქტიურად გაწია მუჰაჯირობის პროპაგანდა და შეძლო (ზეწოლის პირობებში) ამ მოსახლეობის თითქმის ნახევრის ამ გზით გადასახლება თურქეთში. მათ ნასახლარებზე რუსეთმა მოიყვანა ყველაზე დიდი რაოდენობით სომეხი მოახალშენეები თურქეთიდან, მათზე ნაკლებად - რუსები და ესტონელებიც კი, მაგრამ ქართველების დასახლება ამ ადგილებში მას არ დაუშვია. სომხების და რუსების შემოსახლების სტიმულირება გაგრძელდა საბჭოთა ეპოქაშიც, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირისდროინდელი სომეხი და რუსი იმიგრანტების რიცხვმა აფხაზეთში ჯამში დიდად გადააჭარბა საქართველოს სხვა ადგილებიდან შესული ქართველებისას.

ამ პროცესის მორალური მხარე და ამ უკანასკნელისაგან გამომდინარე შედეგი დღევანდელ სიტუაციაში ორიენტირებისათვის ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: იმაში, რომ რუსულმა ადმინისტრაციამ ზეწოლის ქვეშ დაითანხმა მუსლიმანი აფსუების ("აფხაზების") თითქმის ნახევარი თურქეთში მუჰაჯირად წასვლაზე და ეს ნაწილი მოსახლეობისა მას დაეთანხმა, იმ დროის ქართველ მოსახლეობას, ქართველ საზოგადოებრიობას ბრალი არ უდევს (და საქართველო ამ ტრაგედიაზე პასუხისმგებელი არ არის). პირიქით: ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა ცდილობდა მუსლიმი აფსუებისათვის ("აფხაზებისათვის") გადაეთქმევინებინა სამშობლოს მიტოვება და ამაში გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია მათი ნაწილის დარჩენის სახით. საყურადღებოა, რომ რუსული ადმინისტრაციის მცდელობა ქართველთა და აფსუათა ("აფხაზთა") შორის მტრობის ჩამოგდებისა სწორედ ამის შემდეგ დაიწყო. პირველ ყოვლისა საღვთო წერილის აფსუურ ("აფხაზურ") ენაზე თარგმნის მცდელობის სახით, რათა მოეწყვიტათ ეს ქრისტიანები ქართული ღვთისმსახურებისაგან. ამ წამოწყების ჩავარდნის ერთადერთ მიზეზად სახელდება ის, რომ (абхазский язык Советом Общества был признан настолько младенческим и неразвитым, что всякие попытки к передаче на нем книг Священного Писания были оставлены" Обзор деятельности Общества Восстановления Православного Христианства на Кавказе, 1860-1910 г. Тифлис, стр 157). ეს გარემოება - აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობის ნაწილის ესოდენ ვერაგული განდევნა მისი საცხოვრებლიდან, - საკმარის საფუძველს წარმოადგენს იმისათვის, რომ აფსუა ("აფხაზი") ხალხის სამართლიანად კუთვნილი თვითრეალიზაციის ასპარეზი უფრო ფართო სივრცედ ჩავთვალოთ, ვიდრე აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობის დღევანდელი კომპაქტური ცხოვრების არეალის საზღვრებია. მაგრამ, ცხადია, ამ საზღვრებში ვერ მოექცევა აფხაზეთის ყველა ტერიტორიები, რომლებშიც მოსახლეობა არც ქართულია და არც აფსუური ("აფხაზური"), რადგან ანგარიშგაუწეველი ვერ დარჩება ის ფაქტი, რომ, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, ქართველი ხალხი ავტოქტონურია აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. ხსენებული ტერიტორიების განაწილება ასეთი გადაწყვეტილების შემთხვევაში ერთი იმ საკითხთაგანია, რომლის გადაჭრისათვის ერთადერთი გონივრული მეთოდი არსებობს: ქართველების და აფსუების ("აფხაზების") პირდაპირი მოლაპარაკება არაფორმალურ პირობებში.

## უფლებამოსილებათა განაწილების რამდენიმე კონკრეტული საკვანძო საკითხი

როგორც აღინიშნა ზემოთ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციათა, აფხაზეთის ხელისუფლების კომპეტენციათა და ერთობლივ კომპეტენციათა იდეალურად სამართლიანი და სიცოცხლისუნარიანი (პერსპექტიული) ფორმულირება შეუძლებელია აქტიურ საზოგადოებასთან (როგორც ქართულთან, ისე აფსუურთან ("აფხაზურთან") წინასწარი კონსულტაციის გარეშე. მაგრამ ზოგი საკვანძო პრობლემა უკვე სრულად ჩანს და მასზე პრინციპული პასუხის გაცემა შესაძლებელია.

## წიაღის და ბუნების სხვა სიმდიდრეების გამოყენება

ის, თუ ვინ არის ბუნებრივ სიმდიდრეთა მესაკუთრე და, შესაბამისად, ვის აქვს მათგან შემოსავალი, არ არის დაკავშირებული სახელმწიფოს უშიშროების ამოცანასთან, თუკი ეს სიმდიდრეები სტრატეგიული არ არის. ასეთ შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოს ერთპიროვნულ კომპეტენციაში უნდა იყოს ამ სიმდიდრის გამოყენებისა და განკარგვის ზოგადი სტრატეგია, მაგრამ არა მისი კომერციული გამოყენების მართვა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ბუნებრივი სიმდიდრის კომერციული ექსპლოატაცია ნებადართულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ, ეს უკანასნელი არ ერევა მის მართვაში. იგი იღებს კანონით დადგენილ პროცენტს იმ თანხიდან, რომელიც ეკუთვნის ამ ბუნებრივი სიმდიდრის მესაკუთრეს, და კანონით დადგენილ გადასახადს წარმოებაზე.

## საგარეო ვაჭრობა

საგარეო ვაჭრობის კონტროლი სტრატეგიული მასალების და ნაწარმის გატანის თვალსაზრისით საქართველოს სახელმწიფოს ერთპიროვნულ კომპეტენციაშია, რათა არ შეიქმნას საქართველოს რომელიმე სტრატეგიული მასალის ან ნაწარმის გარეშე დატოვების მექანიზმი ექსპორტის ფორმით.

გ) **ტოპონიმიკა**

ტოპონიმიკის თემას უკვე შევეხეთ ზემოთ. აფხაზეთის ხელისუფლებას და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას აქვს ინიციატივის უფლება აფხაზეთის ტერიტორიაზე ტოპონიმთა შეცვლაში ან ახალთა შექმნაში. გადაწყვეტილებებს ტოპონიმის შეცვლის ან ახლის შექმნის შესახებ იღებს აფხაზეთის ხელისუფლება და ამტკიცებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ეს უკანასნელი უფლებამოსილება აუცილებელია იმისათვის, რომ ბოროტი ნების არსებობის შემთხვევაში არ მოხდეს პოლიტიკური დივერსიული მიზნით ტოპონიმიკის გაყალბება ან ტოპონიმებად ისეთ პირთა სახელების გამოყენება, რომელნიც მიუღებელნი არიან საქართველოს ზოგადი მენტალიტეტისათვის.

დ) **სასჯელაღსრულების სისტემა**

სასჯელაღსრულებითი სისტემა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაშია. აფხაზეთის ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენის ფაქტი ვერ იქნება სასჯელის აფხაზეთში მოხდის საფუძველი. თუ აფხაზეთში მაცხოვრებელ პატიმარს (გასამართლებულს აფხაზეთში ან სხვაგან) სურს სასჯელის მოხდა აფხაზეთში და საამისო პირობები აფხაზეთში არსებობს, მისი სურვილი უნდა შესრულდეს.

## საკონსტიტუციო სასამართლო

საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოში ერთია: ესაა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. აფხაზეთის უზენაეს სასამართლოს აქვს უფლება თავისი შემადგენლობიდან ან მოწვეული და ნდობით აღჭურვილი იურისტის სახით თავისი წარმომადგენელი ჰყავდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მოსამართლის რანგში, რომელსაც (ამ წარმომადგენელს) უფლება ექნება მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის კონსტიტუციასთან დაკავშირებული საქმეების სასამართლო განხილვაში.

## სამხედრო სამსახური

აფხაზეთის მაცხოვრებელი სამხედრო ვალდებულია ისევე, როგორც საქართველოს ყოველი სხვა მოქალაქე. მას უფლება აქვს სამხედრო ვალდებულება მოიხადოს საერთო წესით (თუ ეს სურს), აგრეთვე უფლება აქვს იგი მოიხადოს აფხაზეთში ან მის მახლობლად დისლოცირებულ ნაწილში, აგრეთვე უფლება აქვს აირჩიოს ალტერნატიული სამსახური კანონის თანახმად. აფხაზეთის მაცხოვრებლისათვის (კანონით დადგენილ თარიღამდე) საქართველოს ჯარში სამსახურის არსურვილი საკმარისი საფუძველია ალტერნატიული სამსახურის არჩევისათვის.

## სიმბოლიკა

აფხაზეთის ოფიციალური სიმბოლიკა (დროშა, გერბი, ალამი) და სახელწოდება განისაზღვრება იმავე წესით, რაც აფხაზეთის კონსტიტუციის სხვა მუხლები.

## მიგრაციის რეგულირება

საქართველოს სახელმწიფო, ისევე როგორც ყველა სხვა, ვერ დაუშვებს უკონტროლო იმიგრაციას. ამიტომ ყოველი ახალი ადამიანის შემოსახლება საქართველოს რომელსამე წერტილში, აფხაზეთის ჩათვლით, დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დასტურით. ამავე დროს ფაქტია, რომ აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობისათვის ყველაზე დიდი სოციალური შიშის წყარო არის ამ მოსახლეობის პროცენტული წილის სიმცირე აფხაზეთის მოსახლეობაში მთლიანად. ეს შიში არ კმარა იმის საფუძვლად, რომ აფხაზეთში შიდამიგრაციული პროცესები და მთლიანად საქართველოს შიდამიგრაციული პროცესები, აფხაზეთში საქართველოს სხვა ადგილებიდან ამა თუ იმ მიზეზით ახალ მოქალაქეთა შემოსახლების ჩათვლით, შეწყდეს. მაგრამ ამ შიშის მოხსნა შეიძლება იმით, რომ იმ რაიონებში, სადაც აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობა კომპაქტურია და სადაც, ამგვარად, არის ძირითადი ბაზა აფსუა ("აფხაზი") ხალხის ყოველმხრივი ეთნიკური, კულტურული, სოციალური და პოლიტიკური წინსვლისათვის, ადგილობრივ არჩევით თვითმმართველობის ორგანოებს კანონითა და კონსტიტუციით მიეცეთ დამატებითი უფლებამოსილება, რათა დართონ ან არ დართონ მუდმივი დასახლების (სახლის შეძენის ან აშენების ჩათვლით) უფლება ნებისმიერი სხვა ადგილიდან, მათ შორის საქართველოს რომელიმე სხვა ადგილიდან მოსულ მოქალაქეს.

დამატება

## მოლაპარაკებათა ფორმატისა და ტაქტიკისათვის

ქართული და აფსუური ("აფხაზური") საზოგადოებრიობის ურთიერთმოლაპარაკება უნდა წარმოებდეს ერთით ერთზე. მასში მესამე მხარის ჩაბმა არბიტრის სახით გარდუვალად დაარღვევს როგორც გულწრფელი მიდგომის, ისე რეალისტური მიდგომის ატმოსფეროს.

არძინბას ჯგუფთან მოლაპარაკება უაზროა, ვინაიდან მის პოზიციას სავსებით განსაზღვრავს უცხო (რუსული) ნება.

რუსეთთან მოლაპარაკება მისაღებია მხოლოდ როგორც მოწინააღმდეგესთან.

მსოფლიოსთან (მსოფლიო თანამეგობრობასთან) მოლაპარაკება, როგორც არბიტრთან, საკითხის განვითარების გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელია გარდუვალი აღმოჩნდეს. ამ არბიტრისათვის წარსადგენი გეგმა სიტუაციის იდეალური დარეგულირებისა (ეს წინადადება გაუგებარია - ზ.ფ.) საქართველოს, როგორც დავინახეთ, აქვს (იხ. აქვე ზემოთ). მაგრამ მოლაპარაკებათა აგება მხოლოდ ასეთი სქემით - "მაგიდაზე დევს ქართული გეგმა და იგი განიხილება, მოლაპარაკების პროცესში შეთანხმება მიღწეულად ჩაითვლება, როცა აფსუური ("აფხაზური") მხარე დაეთანხმება მას" - არც სამართლიანია და არც რეალისტური. მაგიდაზე უნდა იდოს ორივე გეგმა - ქართულიც და აფსუურიც ("აფხაზურიც"), - რათა ჩანდეს ამ უკანასკნელის გარდუვალი შეუთავსებლობა სამართლის, უფლებადაცვის, პოლიტიკისა და მორალის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებთან და მოლაპარაკების მონაწილეებს შეეძლოთ მისი კრიტიკული ანალიზი.

## მოლაპარაკების აყვანა უფრო მაღალ საფეხურზე

წინამდებარე ტექსტი შეიცავს წინადადებებას ქართველებისა და აფსუების ურთიერთთანხმობის იმ მინიმუმის მისაღწევად, რომელიც აუცილებელია, რათა შეიძლებოდეს თანაცხოვრება, ანუ ერთიმეორის ხელშეუხებლობა, წესრიგის დაცვა და აუცილებელი მინიმალური თანამშრომლობა. ამ მინიმუმის მიღმა იხსნება შესაძლებლობა სამომავლო მოკავშირეობის განჭვრეტისა, როცა ქართველი და აფსუა ("აფხაზი") ხალხი - მხოლოდ ერთმანეთთან მოკავშირეობით და სხვა, მესამე და მეოთხე მეწილის ჩაურევლად, - შეთანხმდება და დაგეგმავს უსაზღვრო სამომავლო პერსპექტივას, რომელიც დამყარებულია ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობაზე (პირველ რიგში) და ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებზე (მეორე რიგში). ეს პერსპექტივა შეეხება შეუზღუდველ გამდიდრებას, შეუზღუდველ წინსვლას, ნახტომს განათლების საქმეში (მიზანმიმართული დაგეგმვით და ზემოხსენებული სიმდიდრის გეგმაზომიერი გამოყენებით), საკუთარი ეროვნული საზოგადოების მაქსიმალურად პერსპექტიული სტრუქტურის, სამომავლო კონკურენტუნარიანი საწარმოo (ამ სიტყვის ფართო აზრით) სტრუქტურის და ეროვნული ინფრასტრუქტურის შექმნას აგრეთვე პერსპექტივის შექმნას გავლენისათვის. მთელ რეგიონში, პირველ ყოვლისა - ჩრდილო კავკასიაში.

*ნოდარ ნათაძე*

## ორშაბათი 24.10

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ტურბულენტურობა-3: ჰევი მეტალი" (18) (კრეგ შეფერი) **02.00** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ძახილი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** კონცერტი - "ქუჩის ბიჭები" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.25** დოკ. ფილმი **15.20** "ფორტუნა" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" 1-ლი ს. **16.30** ფრაგმენტები სურათისთვის **17.00** მულტსერიალი **17.25** ჩემი მშვენიერი ლედი **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "კარიბის გული" 1-ლი ს. **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.00** თბილისობა **00.00** ღამის მატარებელი **01.00** მხ. ფილმი "დიდი ოჯახები" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** ვიპ-შოუ **21.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** "კენო" **23.00** დებატები 202-ზე

### კავკასია

**11.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **13.00** საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **14.00** ინდ. მხ. ფილმი "ცხოვრებაში ყველაფერი ხდება" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** ქართული მუსიკა **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **23.00, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ვუპი" **11.35** ერთი ჟურნალისტის მზერა. **12.05** ტელეჟურნალი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "სცენა" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ცდუნება" (15) (ლეტიცია კასტა)

### ЛБТ

**08.00** "ქართული ათეული" **12.00** "ფოლკი" **12.30, 20.00** "მხიარული ხუთეული" **13.00** "კლიპ-მიქსი" **18.00** "ფოლკი" **19.00** "ტევე-პოპი" **20.30** "ფოლკი" **21.00** "ტევე-პოპი" **00.00** "ნონ-სტოპი"

### [ლოგო]

**18.00** მინისერიალი "ლიცეუმი" 1-ლი ს. **19.05** დოკ. ფილმი **20.05** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი "სისხლის მოგონება" (15)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "უშიშრები" **19.50** მულტსერიალი **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** კონცერტი **22.25** მხ. ფილმი "ჩემებრ ლამაზი გოგო" (გ)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** დროება **12.40, 14.25, 02.05** ტვ-მარკეტი **13.15** სერიალი "კლონი" **14.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **15.00** ფეხბურთი. "თბილისი" (თბილისი) - "დინამო" (თბილისი) **15.45, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.55** ქრონიკა **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.50** საქმე ტ **23.20** "არ დაიდარდო" **00.35** სპ. პროგრამა "გოლი" **01.00** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **02.35** იმედის მელოდიები

### აჭარა

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.20** მხ. ფილმი "ფავორიტი" **11.35** მუსიკა **11.50** მხ. ფილმი "რანი" **13.25** დოკ. ფილმი **14.30, 17.30,** 20.30. **23.30** საინფორმაციო გამოშვება **14.45** კომედია "გამოუსწორებელი თაღლითები" **16.35** მულტფილმი **18.55** სპექტაკლი "კავკასიური ცარცის წრე" **22.10** დოკ. ფილმი **00.00** თრილერი "გოთიკა"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Харрисон Форд в фильме **"ИСКАТЕЛИ ПОТЕРЯННОГО КОВЧЕГА". 11.30** Смехопанорама **12.10** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20** Синди Уильямс в фильме **"ДИКАЯ СОБАКА БИНГО" 15.20** "Угадай мелодию" **15.50** "Последний герой". Суперигра. **17.00** "Пять вечеров". Понедельник. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **19.00** Сериал **"КЛОН". 20.00** Жди меня. **21.00, 23.30** Время. **21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА". 22.40** Спецрасследование. "Королевы красоты". **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Искатели. "Рязанский стоунхендж". **00.40** "Подводный мир Андрея Макаревича". **01.10** Патрик Суэйзи в фильме **"ЛУЛУ НАВСЕГДА" 02.40** Стивен Болдуин в триллере **"ЗЛО" 04.20** Джулия Кристи в фильме **"ЗА ОТДЕЛЬНЫМИ СТОЛИКАМИ"**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"БЕЗ СЛЕДА: ПРОПАВШАЯ НЕВЕСТА". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.20** Криминальная Россия. **10.55** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2". 13.35** Сериал **"ТАКСИСТКА". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"СОКРОВИЩА МЕРТВЫХ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"СЛЕПОЙ". 20.50** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ". 22.00** "Страна и мир". **22.35** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.25** "Школа злословия". Ток-шоу **00.40** "Земляне" плюс... **01.45** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 02.40** Айс Кьюб в боевике **"ОПАСНАЯ ЗЕМЛЯ" 04.10** Чрезвычайное происшествие. **04.30** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: игра в родителей". **05.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ"**.

## სამშაბათი 25.10

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ტურბულენტურობა-3" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **23.00** დოკ. ფილმი (ნ. ქაჯაია) **23.45** მხ. ფილმი "საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები". მთ. რ-ში: ნინო მანფრედი (18) **02.05** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "დიდი ოჯახები" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** "მატარებელი" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** ლერერის შოუ **15.20** "ანშლაგი" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **16.30** ისტორიანი **17.00** მულტსერიალი **17.25** "ამბობენ" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "კარიბის გული" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.00** ქიმერიონი **00.00** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" (გ) 1-ლი ს.

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** ვიპ-შოუ **21.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** "კენო" **23.00** დებატები 202-ზე

### კავკასია

**14.00** ქართული მუსიკა **16.00** "საქმე და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ოქროს საყურეები" **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **23.00, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

